საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში

29.06.2016-07.10.2016

შესავალი

2016 წლის 29 ივნისს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 და მე- 5 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის მინისტრის №140 ბრძანებით შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია („კომისია“) და დამტკიცდა კომისიის დებულება.

2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანების საფუძველზე კომისია საწყის ეტაპზე 13 წევრისგან (სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები) შედგებოდა. წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების ეფექტურად განხორციელების მიზნით კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა და მის საქმიანობაში ორი დამატებითი უწყება ჩართო – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი და სახელმწიფო აუდიტის წარმომადგენელი. ამასთან, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, განისაზღვრა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიცია, რომელიც, კომისიის საქმიანობის კიდევ მეტი ეფექტურობისათვის, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დაიკავა.

კომისია, რომელიც დროებითი ორგანოა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობს დიალოგს სახელმწიფო უწყებებსა და საარჩევნო სუბიექტებს შორის, უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ მოწოდებული, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას და, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევებზე რეაგირებისა და პრევენციის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ.

2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2015 წლის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კომისიის საქმიანობაში კვლავ აქტიურად მოხდა პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა. ასევე, მნიშვნელოვან მექანიზმად იქნა მიჩნეული 2013, 2014 და 2015 წლებში კომისიის მიერ გამოცემული რეკომენდაციები და ინსტრუქციები. ამ მიზნით კომისიამ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეშვეობით წინა ორი არჩევნებისას შემუშავებული რეკომენდაციები და ინსტრუქციები ხელახლა

გაავრცელა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისთვის, რათა მათთვის შეეხსენებინა, თუ რისი უფლება აქვთ და რა ეკრძალებათ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე. იგივე რეკომენდაციები და ინსტრუქციები იქნა გავრცელებული, როგორც წინა ორი არჩევნებისას, საქართველოს სამინისტროებსა და ცენტრალური ხელისუფლების სხვა სტრუქტურებში.

უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა 2016 წლის 13 ივლისს. მანამდე, კომისია საარჩევნო სუბიექტებთან ცხელი ხაზისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მუშაობდა. კანონმდებლობის შესაბამისად, 7 სექტემბრამდე სხდომები იმართებოდა ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ხოლო კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ – ყოველკვირა. ჯამში, საანგარიშო პერიოდში 8 სხდომა ჩატარდა, რომლის საშუალო ხანგრძლივობა 3 საათი იყო. კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომისიის 15 წევრის გარდა, მოწვევა ეგზავნებოდა უკლებლივ ყველა საარჩევნო სუბიექტს (19 პარტიას, 6 ბლოკს), არჩევნებში სადამკვირვებლო გამოცდილების მქონე ადგილობრივ (სულ – 18) და საერთაშორისო ორგანიზაციებს (სულ – 9). კომისიის ცხელი ხაზი (599850011) ამოქმედდა კომისიის შექმნის დღიდან და მუშაობდა 24 საათის განმავლობაში. საანგარიშო პერიოდში ცხელ ხაზზე რეაგირების მიზნით სულ 22 ზარი შემოვიდა. კომისიის შექმნის დღიდან ამოქმედდა კომისიის ელექტრონული ფოსტაც (IATF@justice.gov.ge).

2016 წლის 29 ივნისიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით კომისიის სახელზე ელექტრონული ფოსტისა და იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მეშვეობით 104 განცხადება შემოვიდა, თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კომისია, მისი საქმიანობის პერიოდში დანერგილი პრაქტიკის თანახმად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუდმივ მედიამონიტორინგს აწარმოებდა, რომლის საფუძველზეც სხდომაზე განხილულ ინფორმაციათა ნაწილს მედიაში გავრცელებული ცნობები შეადგენს. მედიამონიტორინგის ეფექტიან მუშაობაზე მიუთითებს წინასაარჩევნო პერიოდში კომისიის მიერ განხორციელებული მყისიერი რეაგირებები. ხშირად იყო შემთხვევა, როცა საარჩევნო სუბიექტის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განცხადების შემოტანამდე კომისიის სამდივნოს მედიამონიტორინგის შედეგად რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა შესაბამისი ღონისძიება გატარებული და უფლებამოსილი უწყებებიდან შუალედური ინფორმაცია მიღებული.

კომისიის მუშაობის პირველ ეტაპზე, ივნის-აგვისტოს განმავლობაში, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის კუთხით შედარებით ნაკლები ოდენობის განცხადება შემოდიოდა. ძირითადი პრობლემა და საფრთხე, რასაც შეიძლებოდა, მოჰყოლოდა გამწვავებები, იყო **კონტრაქციები და პროვოკაციები**, რომელთა პრევენციის მიზნითაც კომისიამ გამოსცა

რეკომენდაციები და მიმართა პოლიტიკურ პარტიებს (საარჩევნო სუბიექტებს), გაეცათ მკაფიო მითითება, რომ მათ აქტივისტებს თავი შეეკავებინათ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხული ყოფილიყო პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებს შეფერხების გარეშე მიცემოდათ ამომრჩეველთან კონტაქტის საშუალება.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სიახლეზე, რომლის თანახმადაც, კომისიის ეგიდით და მთავრობის გადაწყვეტილებით, წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის წინააღმდეგ ჩატარდა სპეციალური საინფორმაციო კამპანია (17 სექტემბრი-8 ოქტომბერი), რომელშიც მონაწილეობისათვის შეთავაზება გაეგზავნა ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ ყველა საარჩევნო სუბიექტს. საინფორმაციო კამპანიის მიზანია[1], არჩევნები ჩატარდეს ძალადობისგან თავისუფალ გარემოში და თითოეულმა ამომრჩეველმა, პარტიის მხარდამჭერებმა თავიანთვე ლიდერებისგან გაკეთებული მოწოდებების შედეგად გააცნობიერონ, თუ რა ზიანი მოაქვს ქვეყნისთვის წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ნებისმიერი ძალადობის ფაქტს. კამპანიის ლოზუნგია **„ძალა ვნებს არჩევნებს“.** კამპანიის ლოზუნგის და მიზნის მიხედვით შეიქმნა ერთიანი ვიზუალური კონცეფცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საარჩევნო სუბიექტის 11-მა ლიდერმა[2]. 18 ოქტომბრიდან 2 ოქტომბრამდე პერიოდში რგოლი 967 620-მა მაყურებელმა მინიმუმ ერთხელ მაინც ნახა. ვიდეორგოლი არჩევნების დასრულებამდე კვლავაც აქტიურად ვრცელდება ყველა ზემოხსენებული საკომუნიკაციო არხის საშუალებით.

კონტრაქციების პრევენციისა და პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივა და შეთავაზება, რომლის თანახმადაც, სპეციალურად საარჩევნო სუბიექტებისთვის გამოიყო თანამშრომელი და ამოქმედდა ცხელი ხაზი 24-საათიან რეჟიმში. შედეგად,

---

[1] კამპანიის მთლიანი ბიუჯეტი 100 430 ლარი, აქედან 65 ათასი ლარი - კლიპის განთავსება 4 ეროვნულ ტელეარხსა და ასევე საზოგადოებრივ მაუწყებელზე, 35 ათასი ლარზე მეტი - რგოლის 2 დღიანი გადაღებები, ე.წ. სტენსილები, მაისურები, ფლაერები, კამპანიის ლოზუნგის შექმნა. მოცემული ხარჯები დაფინანსდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წლიური ასიგნებებიდან საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების თანახმად.

[2] „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“, „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის“ , „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“, „საქართველო“, „ჩვენები – სახალხო პარტია“, „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“, „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“, „ზვიადის გზა – უფლის სახელით“, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

საარჩევნო სუბიექტებს მიეცათ შესაძლებლობა, წინასწარ გაეფრთხილებინათ შინაგან საქმეთა სამინისტრო მათი წინასაარჩევნო შეხვედრის გამართვის ადგილისა და დროის თაობაზე, ხოლო პოლიცია უზრუნველყოფდა შეხვედრის დროს ექსცესის თავიდან აცილებას. ხაზგასასმელია რიგი საარჩევნო სუბიექტების მზაობა შეთავაზებაზე და ამ კუთხით პოლიციასთან აქტიური თანამშრომლობა.

კომისიის მიერ ორჯერ გამოიცა რეკომენდაციები სააგიტაციო მასალის განთავსების საკითხებთან დაკავშირებით გამოვლენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პრევენციისთვის, კერძოდ: კომისიამ მოუწოდა პარტიებს, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან განთავსებაში ხელის შეშლა; ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს – მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას დროულად და ეფექტიანად უნდა გაეტარებინათ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

კომისიამ განაგრძო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას დამკვიდრებული წარმატებული პრაქტიკა, რაც გამოიხატა კომისიის ეფექტიანი თანამშრომლობით თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურთან, რის შედეგადაც, დადგინდა არაერთი სამართალდარღვევა და შედგენილ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები (სულ შედგენილია 384 ოქმი). როგორც არსებულმა შედეგებმა აჩვენა, მსგავსმა ოპერატიულმა ქმედებებმა იქონია პრევენციული ხასიათი, რის ფონზეც სამართალდარღვევის ოდენობამ იკლო.

კომისიის 10 აგვისტოს სხდომაზე მოსახლეობისა და დამსწრე ორგანიზაციების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენელმა გამართა პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი სიების სრულყოფას. პრეზენტაცია მოიცავდა ბიომეტრიულ და არაბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებულ 4 წლიან დინამიკას (2013-2016 წწ.).

2016 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით, 4 წლის განმავლობაში გაიცა **2 289 783** ბიომეტრიული დოკუმენტი (ელექტრონული პირადობის მოწმობა და ბიომეტრიული პასპორტი), რაც ნიშნავს იმას, რომ 8 ოქტომბრისათვის, ფოტოსურათებიან საარჩევნო სიაში, რომელიც 2014 წელს დაინერგა, 2 465 550 მონაცემი საბოლოოდ დაზუსტებული და უტყუარია. 2013-2016 წლებში გაცემული ელექტრონული პირადობის მოწმობებიდან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის სხვადასხვა ბრძანების საფუძველზე, 952 284 პირადობის მოწმობა უფასოდ გაიცა, ხოლო 190 864 პირადობის

მოწმობა შეღავათიან ფასად. ბოლო მსგავსი აქციები მოქმედებდა 2015 წლის 20 აპრილიდან 20 ივლისამდე, 2016 წლის 15 თებერვლიდან 30 ოქტომბრამდე (ისევ ძალაშია და ეხება რეგისტრაციიდან მოხსნილ და იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების მფლობელებს) და 2016 წლის 15 ივლისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით (ეხებოდა იმ პირებს, ვის დოკუმენტებსაც ვადა გასდიოდათ 2016 წლის 8 ოქტომბრამდე). ამ აქციებით სარგებლობის მიზნით მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდისათვის დაიბეჭდა და დარიგდა 100 000 ფლაერი. ამ აქციების შედეგად, 8 ოქტომბრისათვის, 123 194 უსაბუთო ამომრჩეველმა უფასოდ აიღო პირადობის მოწმობა და შეძლებს არჩევნებში მონაწილეობას, 9 381 რეგისტრაციიდან მოხსნილმა მიიღო უფასოდ პირადობის მოწმობა, 14 213 ისეთმა პირმა აიღო უფასოდ ახალი პირადობის მოწმობა, რომლის მოქმედ პირადობის მოწმობასაც 8 ოქტომბრამდე გასდიოდა ვადა და, შესაბამისად, შეძლებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. მთლიანობაში, მოცემული ორი აქციის შედეგად, 146 788 ამომრჩეველს მიეცა საშუალება ბარიერის გარეშე განეახლებინა დოკუმენტი და მისცემოდა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. ასევე 2016 წლის 26 მაისიდან 26 ივნისამდე პირადობის ელექტრონული მოწმობების მიღება ყველა მოქალაქისთვის იყო უფასო, რა დროსაც 193 648 პირზე გაიცა ეს დოკუმენტი.

ასევე, პროექტის „საარჩევნო სიების სრულყოფა - 2“ ფარგლებში მონაცემთა ბაზებში გაუქმდა 488 გაორებული და 151 გაყალბებული დოკუმენტი, გასწორდა 1 399 არასწორად მიბმული/აღრიცხული ფოტოსურათი, დარეგისტრირდა 3 654 გარდაცვალების აქტი იმ პირებზე, რომელთა გარდაცვალების შესახებაც ოჯახის წევრებმა თავის დროზე არ შეატყობინეს სახელმწიფოს (მათ შორის, საზღვარგარეთ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარდაცვლილ მოქალაქეებზე), მონაცემთა ბაზაში ფოტოსურათის გარეშე ჩანაწერების და უხარისხო ფოტოსურათების შემცირების მიზნით 1 135 პირს საფასურის გადახდის გარეშე დაუმზადდა პირადობის ელექტრონული მოწმობა, განხორციელდა საკონსულო სამსახურების მიერ გაცემული დოკუმენტების ფოტოსურათების დიგიტალიზაცია (ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა), ამ აქტივობის ფარგლებში ბაზაში აისახა 6 566 მოქალაქის ფოტო, შესწორებული იქნა 252 შეუსაბამო ჩანაწერი სქესის რეკვიზიტში.

კომისიის საქმიანობის საანგარიშო პერიოდში მედიამონიტორინგის შედეგად და სამდივნოში სხვა წყაროებიდან წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება უმოკლეს ვადებში დაიწყო სულ სისხლის სამართლის 71 საქმეზე; მათ შორის, სსკ 125-ე მუხლით (ცემა; სულ – 25 ფაქტი), 125-ე და 150-ე მუხლებით (ცემა, იძულება – 1 ფაქტი); 187-ე მუხლით (სხვისი ქონების განზრახ დაზიანება; სულ – 29 ფაქტი), 188-ე მუხლით (ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით – 1 ფაქტი); 177-ე მუხლით (ქურდობა; სულ – 6 ფაქტი); 151-ე მუხლით (მუქარა; სულ – 4 ფაქტი); 154-ე მუხლით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ

საქმიანობაში ხელის შეშლა – 1 ფაქტი); 162 პრიმა მუხლით (წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ცემა –1 ფაქტი); 164-ე პრიმა მუხლი (საარჩევნო მიზნით ფულის გადაცემის და წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება - 1 ფაქტი); 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება; სულ – 1 ფაქტი) და მე-19-109-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა; სულ - 1 ფაქტი).

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო სუბიექტების აქტივისტებზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებული ფაქტები ოპერატიულად მოწმდებოდა სამართალდამცველთა მხრიდან, მაგრამ უმეტესი მათგანი არ დასტურდებოდა თავად მითითებული დაზარალებულების მხრიდან და გამოკითხული პირებიც უარყოფდნენ მსგავს ქმედებებს, რაც გამოძიების დაწყების საფუძველს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, 12 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის 59 საქმეზე.

59 საქმიდან, არსებული მდგომარეობით, 9 საქმეზე უკვე განხორციელდა კონკრეტული პირების მიმართ (სულ 11 პირი) სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის – სსკ 125-ე მუხლით (ცემა) – 8 პირის მიმართ; 151-ე მუხლით (მუქარა) – 1 პირის მიმართ; და 162-ე პრიმა მუხლით (წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ცემა) – 2 პირის მიმართ. ამ საქმეებზე, სასამართლოს მიერ გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები.

მოცემულ 9 სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაცია ასეთია: 1. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის და წევრის ცემა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სპეციალისტის - საჯარო მოხელის მიერ; 2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ ამავე კომისიის წევრების („ქართული ოცნების“ წარმომადგენლების) ცემა; 3. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის მიერ უჩაშონის ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის („ქართული ოცნების“ წევრის) ცემა; 4. სოფელ დიდინეძში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წევრების და მხარდამჭერების, მათ შორის ერთი ახალგაზრდა გოგონას, წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ცემა; 5. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტის მიერ დამოუკიდებელი (უპარტიო) მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ცემა; 6. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წევრის მიერ „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის წევრის ცემა; 7. „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის მიერ პოლიტიკური გაერთიანების - „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის“ - წევრის, მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიმართ მუქარის განხორციელება; 8. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტისა და პოლიტიკური პარტია - „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის“ - აქტივისტის მიერ ერთმანეთის ცემის ფაქტი; 9. სოფელ გამარჯვებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ცემის ფაქტი „ქართული ოცნების“ აქტივისტის მიერ.

59 საქმიდან 1 საქმეზე სს კოდექსის მე-19-109-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) დაიწყო გამოძიება ინციდენტის საღამოსვე და გამოძიება ამჟამად მიმდინარეა (პარლამენტარ გ. თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების საქმე).

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში ასახულია კომისიის საქმიანობა 2016 წლის 29 ივნისიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაციები

(ასევე იხ. http://www.justice.gov.ge/)

2016 წლის 27 ივლისი

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას, რეკომენდაციით მიმართავს

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

ა) პოლიტიკურმა პარტიებმა გასცენ მკაფიო მითითება, რომ მათმა აქტივისტებმა თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებმა შეფერხების გარეშე შეძლონ ამომრჩეველთან კონტაქტი.

ბ) პოლიტიკურმა პარტიებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა გასცენ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებათ კონკურენტი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება ან განთავსებაში ხელის შეშლა.

აუცილებელია, მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დროულად და ეფექტიანად გაატარონ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებს:

იმისათვის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველა კანდიდატი უზრუნველყოფილ იქნეს, თანაბარი პირობებით განათავსონ ბეჭდური სააგიტაციო მასალა, პოლიტიკურმა პარტიებმა თბილისის მასშტაბით იმოქმედონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის №16-38 დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად, რომლის თანახმადაც, სააგიტაციო მასალისათვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების მიზნით, რათა ადგილობრივ დონეზე თანაბარი პირობებით შეძლონ პოლიტიკურმა პარტიებმა მათი სააგიტაციო მასალის განთავსება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი.

2016 წლის 10 აგვისტო

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიების მიერ წარდგენილი სიების წარმომადგენლებისა თუ დამკვირვებლების რეგისტრაციისას ხარვეზების თავიდან ასაცილებლად არჩევნების შედეგების შეჯამებამდე თავი შეიკავონ არსებული გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების სახელდებისაგან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს:

გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების სახელდების აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, უმოკლეს ვადებში განახორციელონ ნუმერაცია.

ასევე, თავი შეიკავონ, გარდა განსაკუთრებული საჭიროებისა, გეოგრაფიული ობიექტების, მათი კომპლექსებისა და ნაწილების გადანომვრისგან.

2016 წლის 14 სექტემბერი

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს (საარჩევნო სუბიექტებს):

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე პოლიტიკურმა პარტიებმა (საარჩევნო სუბიექტებმა) მიმართონ ყველა ძალისხმევას, რათა უზრუნველყონ, რომ მათმა აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ან მათი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან, ასევე, ამ შეხვედრების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი კონტრაქციისგან, რითაც უნდა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირების რისკი.

2016 წლის 21 სექტემბერი

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

პოლიტიკურმა პარტიებმა (საარჩევნო სუბიექტებმა) გასცენ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს/წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებათ კონკურენტი პარტიის (საარჩევნო სუბიექტის) სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა, დაზიანება ან განთავსებაში ხელის შეშლა;

აუცილებელია, მსგავსი ხასიათის დარღვევების გამოვლენისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა დროულად და ეფექტიანად გაატარონ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

პოლიტიკურმა პარტიებმა კიდევ ერთხელ მოუწოდონ თავიანთ წევრებსა და აქტივისტებს შიდაპარტიული დისციპლინის დაცვისა და კანონმორჩილებისაკენ.

ცხრილი №1. ინფორმაცია, რომელიც გახდა პრევენციის ან/და რეაგირების საგანი

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
1	„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ირმა პავლიაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 09.07.2016	ინფორმაციის თანახმად, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე გიორგი ჭიღვარია სოციალური ქსელის (FACEBOOK) მეშვეობით 2016 წლის 1, 4 და 5 ივლისს, სამუშაო საათების განმავლობაში, სავარაუდოდ, ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას. ითხოვენ, კომისიამ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და რეკომენდაციის მიღება მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით.	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით № 59 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიმდინარე წლის 22 ივლისს გაიმართა ზეპირი მოსმენა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება გასაჩივრდა ცესკო-ში. ცესკო-ს მირ განუხილველად იქნა დატოვებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლების საჩივრები არაუფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების გამო. ცესკო-ს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მიმდინარე წლის 26 ივლისს სასამართლო გადაწყვეტილებით „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ძალაში დატოვა 2016 წლის 26 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება“.
2	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი (№600/01) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია	განცხადების თანახმად, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება –	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „დასრულდა შესწავლა, ფაქტი შეფასდა როგორც აკრძალული შემოწირულობა, შედგა 2 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი როგორც რიმა ბერაძის, ისე ა(ა)იპ „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ მიმართ, თითოეულის - 4000 ლარის ოდენობით“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	12.07.2016, №01/11582	დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე რამინა (რიმა) ბერაძისა და შპს „ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ ხელმძღვანელ ქეთევან ბარათელის ორგანიზებით ქ. თბილისის საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები. აქცია წმიდა მიქაელის სახელობის კლინიკაში მოეწყო და მასში სკოლების 200-მდე თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. განცხადების თანახმად, ადგილი აქვს ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვას. ითხოვენ საკითხის დროულ განხილვას უფლებამოსილი უწყებების მიერ.	**ცესკო:** „საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი: განცხადებებში ხსენებული ღონისძიება საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის გაწეული უფასო სამედიცინო გამოკვლევების შესახებ არ იყო ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებული და არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას ჰქონდა ადგილი ვინმეს მხრიდან. ამგვარი სახის ღონისძიებები, როგორც ქეთევან ბარათელის წერილიდან გამოირკვა, იმართება ა(ა)იპ ,,ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ მიერ წლების განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, შესაბამისად, სახეზე არ იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა, რაც შემდგომში გამოიწვევდა ამავე კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ა(ა)იპ ,,ქართული ოცნება – ჯანმრთელი მომავლის“ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო“.
3	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი (განცხადება №601/01)	განცხადების თანახმად, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის საფეხბურთო გუნდ „ჩელას“	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „დასრულებულია შესწავლა და არ დადგინდა დარღვევა“. **ცესკო:** „2016 წლის 24 ივლისს ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გამართა ზეპირი მოსმენა და მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 12.07.2016, №01/11581	ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სპორტული საზაფხულო ტანსაცმელი, ბურთები და სხვა საჭირო ინვენტარი გადასცა პარტია „ქართული ოცნების“ სახელით. გუნდის ინვენტარით აღჭურვას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის რეგიონული პროექტების კოორდინატორი დავით კოდუა ესწრებოდა.	სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სპორტული ინვენტარი მოთხოვნილი იყო ადგილობივი ფეხბურთის ფედერაციისგან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ მიზნით არ არის დახარჯული თანხები. ამასთან, აღნიშნული შეხვედრა ბავშვებთან ორგანიზებული იყო სრულად ფედერაციების მიერ და როგორც ზუგდიდის გამგებელი, ისე გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომელი, მიწვეული იყო სტუმრის სტატუსით“.
4	საარჩევნო გაერთიანება „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 14.07.2016	სააგიტაციო მასალების განთავსების საკითხთან დაკავშირებით სპეციალური რეგულაციების დაწესების თაობაზე და ამისთვის წარმოადგენენ რეკომენდაციის პროექტს.	გთხოვთ, იხილოთ უწყებათაშორისი კომისიის **2016 წლის 27 ივლისის რეკომენდაცია** (იხ. ბმული http://justice.gov.ge/Mi№ istry/I№ dex/487) .
5	„მედიის განვითარების ფონდი“, იურისტი მარიამ პატარიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -	ითხოვს, შესწავლილ იქნეს 2016 წლის 16-17 ივლისს ტელეკომპანიების – „რუსთავი 2“-ის, „იმედისა“ და „მაესტროს“– ეთერში განთავსებული ვიდეორგოლის შესაბამისობა საარჩევნო და მაუწყებლობის შესახებ	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ცესკო-ს და ფინანსთა სამინისტროს. **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „მედიის განვითარების ფონდის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებების საფუძველზე ტელეკომპანიების – შპს „სტუდია მაესტრო“, შპს „ტელეიმედი“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ – ბადეში განთავსებული სარეკლამო რგოლი შეისწავლა, რომელიც

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	ზე ელექტრონული სახით 19.07.2016	კანონმდებლობასთან. აღნიშნულ ვიდეორგოლს, რომელიც ტელევიზიებში ფინანსთა სამინისტროს მიერ განთავსდა, მინიჭებული აქვს სოციალური რეკლამის სტატუსი. წარმოდგენილი ვიდეორგოლი, რომელიც ქვეყნის სწრაფი განვითარებისაკენ მიმართული ეკონომიკური რეფორმის მთავრობის ოთხპუნქტიან გეგმას შეეხება, განმცხადებლის (ორგანიზაციის) აზრით, პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავს და მმართველი გუნდის სასარგებლოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს ატარებს. ითხოვს, უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშაოს რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისა და სხვა საჯარო უწყებებისადმი, რაც წინასაარჩევნო პერიოდში მედიაში ისეთი შინაარსის	საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ და საგადასახადო რეფორმებს ეხებოდა. განცხადების ავტორი ორგანიზაციები მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული სარეკლამო რგოლი წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავდა, რის გამოც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან ზემოაღნიშნული სარეკლამო რგოლის შესწავლა და მისი სტატუსის განსაზღვრა მოითხოვეს. კომისიამ საკითხის მოკვლევის შემდეგ დაადგინა, რომ აღნიშნული ვიდეორგოლი ტელეკომპანიების – შპს „სტუდია მაესტრო“, შპს „ტელეიმედი“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ – ბადეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკვეთით სარეკლამო კომპანიების საშუალებით ფასიანი რეკლამის სტატუსით იყო განთავსებული. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ – მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ვიდეორგოლში მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო ცვლილებების შესახებ (შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მიმდინარე წლის პირველ ივნისს შევიდა ძალაში): რეინვესტირების შემთხვევაში მეწარმე მთლიანად თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან, ხოლო დამატებითი ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებში გამოსაყენებული ძირითადი საშუალებების იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის თანხის გადასახადისგან. ასევე, აღნიშნულია, რომ საგადასახადო დავის დროს მეწარმის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება, ხოლო საგადასახადო შემოწმება ხორციელდება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს მიერ და რომ ამოქმედდა დამწყები ინოვაციური ბიზნესების დაფინანსების პროგრამა „სტარტაპ საქართველო“. ვიდეორგოლში ნაჩვენები არ არის არც საარჩევნო სუბიექტი და არც საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი. შესაბამისად, არ

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		რეკლამის განთავსებას შეზღუდავს, რომელიც მოქალაქეებისათვის გარკვეული სერვისების მიწოდების ნაცვლად, ხელისუფლების საქმიანობის პოპულარიზაციას ახდენს და პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს ატარებს.	განხორციელებულა არცერთი საარჩევნო სუბიექტის იდენტიფიცირება, ისევე, როგორც რომელიმე პოლიტიკური პარტიის სიმბოლიკის წარმოჩენა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსებისთვის ამ კანონის 65-ე მუხლით განსაზღვრული დროის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვრის მიღმა სოციალური რეკლამის განთავსების ან/და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მისი ბიუჯეტის ცალკე მუხლით. ასეთ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არის შემსყიდველი ორგანიზაცია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნული ვიდეორგოლით გავრცელებული ინფორმაცია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შეფასებით, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, აქედან გამომდინარე შეესაბამება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66[1]-ე მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. (გთხოვთ, იხილოთ ბმული: http://www.g№ cc.ge/ge/№ ews/press-releases/komisiam-saqartvelos-mtavrobis-mier-ga№ xorcielebuli-eko№ omikuri-da-sagadasaxado-reformebs-shesaxeb-sareklamo-rgoli-sheiswavla.page#) **ცესკო:** „განმცხადებლის მიერ მითითებულ ვიდეორგოლში ასახული ინფორმაცია არ შეიცავდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტს, ვინაიდან აღნიშნული ვიდეორგოლი არ ეწინააღმდეგებოდა საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წინაპირობა წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით ვიდეომასალის დამზადებას, რისი წინაპირობაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა. ასევე, ცესკო-მ მიუთითა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 232-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, ცენტრალური საარჩევნო კომისია

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
			მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წერილობითი პასუხი გაუგზავნა განმცხადებელს“. **ფინანსთა სამინისტრო:** „ვიდეორგოლი განთავსებულია ტელესივრცეში სარეკლამო კამპანიის მომსახურების შესყიდვის გზით. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2016 წლის 15 ივნისს გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA160017398; შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 95 000 ლარი) შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და, შესაბამისად, აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებულია და შესაძლებელია ამ შესყიდვასთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მოძიება. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ვიდეორგოლი არ შეიცავს წინასაარჩევნო დაპირებებსა და მოწოდებებს, არ შეიცავს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგით ნომერს, ასევე, არ შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს – ანუ არ არის წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა, როგორც ამას „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-2 პუნქტის „ჯ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს. მეტიც, ვიდეორგოლის შინაარსი ინფორმაციულია და გადამხდელებს აწვდის ინფორმაციას საგადასახადო კოდექსში უკვე განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც არ წარმოადგენს რაიმე სახის პოლიტიკურ დაპირებას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ვიდეორგოლი სატელევიზიო ეთერში დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებული იყო მხოლოდ 2 კვირით (16-25 ივლისის ჩათვლით) და 26 ივლისიდან ეთერში აღარ გადის. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, განმცხადებელს 2016 წლის 9 აგვისტოს კომისიის სამდივნოდან ეცნობა მოტივირებული პასუხი“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
6	ანალიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი (AIDI) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 20.07.2016, №01/12079	განცხადების თანახმად, ჯანდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე 2016 წლის 9 ივლისს გავრცელებული ინფორმაციით, სამი დღის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო გამოკვლევები და ოპერაციები ჩაუტარდა. სამედიცინო აქცია მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტის ინიციატივითა და ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების და კოორდინაციის რეჟიმის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა. „AIDI“-ს წარმომადგენელი თვლის, რომ ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობის პარტნიორი ორგანიზაცია „ჰუმანითი ჯორჯიას“ მიერ ზემოაღნიშნული მომსახურებისა და მედიკამენტების დარიგება განხორციელდა ამომრჩევლისათვის, რაც, მათი თქმით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 47-ე მუხლის	ინფორმაცია რეაგირებისთვის გადაიგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და ცესკო-ს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „დასრულებულია შესწავლა და არ დადგინდა დარღვევა“. **ცესკო:** „ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესაბამისი წერილი მისწერა „ანალიტიკურ საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტს“, სადაც განმარტა, რომ საარჩევნო სუბიექტისათვის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღვოდეს საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა, რომელიც წარმოადგენს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის უფლებას და არა ვალდებულებას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიუთითა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო კომისიას. მოცემულ შემთხვევაში, ცესკო-მ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოდგენილი ფაქტები საკმარის და აუცილებელ გარემოებად არ მიიჩნია იმისათვის, რომ აღეძრა სარჩელი სასამართლოში პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით. ვინაიდან ცესკო არ გახლავთ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 47-ე მუხლის დარღვევაზე რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანო და მოსყიდვის ფაქტების დადგენისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებია მხოლოდ სასამართლო, ამავე კოდექსის 78-ე მუხლის მე-15 პუნქტი ადგენს პირთა წრეს, ვინც უფლებამოსილია, აღნიშნულ საკითხებზე

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		(ამომრჩევლის მოსყიდვა) დარღვევაა.	მიმართოს სასამართლოს, მათ შორის, ასეთი უფლებამოსილება აქვს არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციასაც“.
7	„ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ წარმომადგენელი, გრიგოლ გაგნიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 24.07.2016	ითხოვენ, განხილულ იქნეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლევან ვარშალომიძის წინასაარჩევნო აქტივობა, რომელიც შეიცავს ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს. თანდართულია ვიდეოს ბმული, რომელზეც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტარიც არის გაკეთებული.	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, ცესკო-ს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მთავარ პროკურატურას. **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „აღნიშნული თემა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში განხილვადი არ არის“. **ცესკო**: „ცესკო-მ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, არ მიემართა სასამართლოსთვის სუბიექტის რეგისტრაციის მოთხოვნით“. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „მოძიებული მასალები გადაეგზავნა პროკურატურას, რადგანაც არ თავსდება აუდიტის სამსახურის ლიმიტებში“. **მთავარი პროკურატურა:** „სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მასალები გადმოიგზავნა მთავარ პროკურატურაში; მიმდინარეობს მასალების შესწავლა“.
8	„საქართველოს ერ ოვნული ერთიანო ბის პარტია“, თავმჯდომარე გიორგი ჭინჭარაული წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 25.07.2016	განცხადებაში აღნიშნულია, რომ ფერხდება პარტიის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის პროცესი, რადგან ფინანსთა მინისტრის №148 საფუძველზე, ვაკე-საბურთალოს საშემოსავლო სამსახური (სადაც პარტიის საგადასახადო ფორმა იყო დაფიქსირებული) არ აძლევს და არც ნოტარიულად ამოწმებს მის მიერ გაცემულ	კომისიის თავმჯდომარის დავალებით, გიორგი ჭინჭარაულსა და თამარ ღვინაძესთან საკითხზე დაზუსტებული ინფორმაციისა და გამოსავლის გზების ძიების მიზნით კომისიის სამდივნოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და პარტიის წარმომადგენლებს შორის შედგა შეხვედრა. შეხვედრის შედეგად დადგინდა, რომ პარტია საარჩევნო ფონდის ანგარიშის გახსნას ითხოვს, რადგან ეს აუდიტის სამსახურის მოთხოვნაა. თუ რატომ არ აქვს პარტიას ანგარიში, შეხვედრაზე ამის დადგენა ბატონი გიორგი ჭინჭარაულისგან ვერ მოხერხდა. მან დაადასტურა სურვილი, გახსნას საარჩევნო ფონდის ანგარიში. შეხვედრის დროს ბატონი გიორგი ჭინჭარაულისა და მისი წამომადგენლისათვის შეთავაზებულ იქნა პრობლემის გადაჭრის კონკრეტულილ გზები. ასევე, შედგა კომუნიკაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთან, რომელსაც სამდივნოს მიერ ეთხოვა, უშუალოდ მოეხდინა წარმოშობილი პრობლემის

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		საგადასახადო ფორმას (მოწმობას). მისი თქმით, პრობლემა იქმნება ფინანსთა მინისტრის აღნიშნული ბრძანების გამო. ეს პრეროგატივა საჯარო რეესტრს გადაეცა, ხოლო საჯარო რეესტრი საგადასახადო მოწმობას გასცემს მხოლოდ პარტიის რეგისტრაციასთან ერთად, ბანკები კი, ანგარიშს არ ხსნიან ახალი საგადასახადო მოწმობის გარეშე. განმცხადებელი ითხოვს: 1. არ გაუქმდეს პარტიის ანგარიში, მიუხედავად იმისა, მოძრაობს თუ არა მასზე თანხები; 2. ნებადართულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ფარული ჩაწერა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტების დასაფიქსირებლად.	იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის საჭირო პროცედურების შეთავაზება ბატონი გიორგისათვის.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
9	„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ISFED – აღმასრულებელი დირექტორი მიხელი ბენიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 26.07.2016	„ISFED“-ის პირველი შუალედურ ანგარიში – ანგარიში შეიცავს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, ზეწოლა/მუქარის, საჯარო სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების, ამომრჩევლის მოსყიდვისა და აგიტაციაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის სავარაუდო ფაქტებს.	ანგარიში კომპეტენციის ფარგლებში რეაგირებისთვის გადაეგზავნა კომისიის წევრებს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „რიმა ბერაძის საქმეზე შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები; ლევან ვარშალომიძის საქმეზე მოძიებული ინფორმაცია გადაგზავნილია პროკურატურაში“. **მთავარი პროკურატურა:** „ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანის ბაგა-ბაღის აღმზრდელ მაკა დევიძის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე დევიძის 12 თანამშრომლიდან გამოკითხულია 10 თანამშრომელი (2 თანამშრომელი თურქეთში ყოფნის გამო ვერ გამოიკითხა). ისინი განმარტავენ, რომ მაკა დევიძის გათავისუფლებაზე მოხსენებით ბარათს ნებაყოფლობით მოაწერეს ხელი და მათ მიმართ რაიმე სახის იძულებას ადგილი არ ჰქონია“.

10	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი (677/01) სამინისტროს კანცელარია 27.07.2016, №01/12470	განცხადებაში მოყვანილია საარჩევნო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის სხვადასხვა ფაქტი: <u>1-ლი საკითხი:</u> თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშაძის ინიციატივით თელავის მოსახლეობისთვის ჩატარებული სამედიცინო კვლევები;	განცხადება რეაგირებისთვის გადაეგზავნა კომისიის წევრებს და ცესკო-ს; მათვე გადაეცათ წარმოდგენილი CD დისკები. <u>1-ლი საკითხი:</u> **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „თელავის საკითხზე დასრულებულია შესწავლა და დარღვევა არ დადგინდა“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „თელავის საკრებულოს თავმჯდომარის ქმედებასთან დაკავშირებით მოსახლეობას უფასო კარდიოლოგიური კვლევები ჩაუტარდა ჩაფიძის კარდიოლოგიური კლინიკის (ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის) ორგანიზებითა და ინიციატივით, რომელიც უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქციის ფარგლებში მთელ საქართველოში მიმდინარეობს. დაფინანსება არც მუნიციპალური კუთხით და არც პარტიასთან რაიმე სახით დაკავშირებული არ არის. საკრებულოს თავმჯდომარე აქციის ბოლოს გამოცხადდა და მცირე განცხადება გააკეთა, რომ მსგავსი ღონისძიებების გაგრძელებას მიესალმება. არც ღონისძიების მსვლელობისას და არც მისი დასრულების შემდეგ რაიმე სახის სააგიტაციო მასალის გამოჩენას ან პარტიასთან დაკავშირებულ განცხადებას, პოლიტიკურ მინიშნებას ან სხვა ელემენტს ადგილი არ ჰქონია არცერთი მხრიდან (მათ შორის, არც თავმჯდომარის მხრიდან)“. **ცესკო**: „აღნიშნული საკითხი შეისწავლა № 17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დადგინდა, რომ განცხადებაში ხსენებული ღონისძიება არ იყო დაფინანსებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, რაც, თავისთავად, გამორიცხავს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისათვის საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას“.
		<u>მე-2 საკითხი:</u> ბოლნისის რაიონის გამგებლის მოადგილე ლონგინოზ გასანოვის	<u>მე-2 საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა:** „უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე გაჟღერებული ინფორმაციით, ლონგინოზ გასანოვმა ზემოქმედება მოახდინა პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში ჩართულ

		მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება, სტუდენტებზე ზეწოლის ფაქტი;	სტუდენტებზე, თითქოს იგი დაემუქრა სტუდენტებს სასწავლებლიდან გარიცხვით და სამსახურის დაწყებაში ხელის შეშლით იმ შემთხვევაში ,თუ ისინი უარს იტყოდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2016 წლის 8 აგვისტოს გამოიკითხა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლონგინოზ გასანოვი, რომელმაც კატეგორიულად უარყო ხსენებული ფაქტი და განმარტა, რომ იგი არ შეხვედრია სტუდენტებს და მათ მიმართ რაიმე სახის ზემოქმედება არ მოუხდენია. როგორც თავად აღნიშნა, იგი არ არის საარჩევნო კამპანიაში ჩართული არცერთი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ და დაკავებულია მხოლოდ მისი სამსახურებრივი საქმიანობით“.
		<u>მე-3 საკითხი:</u> სოფელ ხელვაჩაურში გამგებლის წარმომადგენელ როსტომ თავდგირიძის მხრიდან სამუშაო საათების „ქართული ოცნების“ შტაბში გატარება, საარჩევნო აგიტაციის და კამპანიის წარმოების პროცესში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;	<u>მე-3 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სოფელ ხელვაჩაურში გამგებლის წარმომადგენელი სამუშაო ადგილიდან გავიდა შესვენების პერიოდში. ამავე პერიოდში შევიდა პარტიის ოფისში, თუმცა, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობიდან (ოფისიდან) გამოვიდა სამუშაო საათებში. გამგებელმა მიიღო აღმკვეთი ზომები, მეორე დღესვე დანიშნა თათბირი საჯარო მოსამსახურეთათვის (მათ შორის, წარმომადგენელთათვის) შესაბამისი დირექტივების მიცემისა და მსგავსი ფაქტების თავიდან არიდების მიზნით“. **ცესკო:** „აღნიშნული საკითხი შეისწავლა №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის წესების დარღვევა არ დადასტურდა, განმცხადებელს წერილობით უარი ეთქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე“.
		<u>მე-4 საკითხი:</u> ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები გივი ზაიტაშვილი, თამარ ჭერაშვილი, ვალერი გოქსაძე სამუშაო საათებს ატარებენ „ქართული ოცნების“ ოფისში და ადგილი აქვს წინასაარჩევნო	<u>მე-4 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები გივი ზაუტაშვილი და თამარ ჭერაშვილი იყვნენ შვებულებაში (შესაბამისად, სახეზეა არასამუშაო დრო, არასამუშაო დღე); ვალერი გოქსაძე იმყოფებოდა საღამოს საათებში (არასამუშაო დროს)“. **ცესკო:** „საკითხი შესწავლილ იქნა №16 ყვარლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“.

		კამპანიის პერიოდში თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას; <u>მე-5 საკითხი:</u> სამტრედიის გამგეობის თანამშრომლებისა და გამგეობის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ დირექტორის მხრიდან წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობა;	<u>მე-5 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „დასახელებულთაგან ორივე ესწრებოდა „ქართული ოცნების“ მიერ ქუთაისში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის ღონისძიებას (18.07.2016) არასამუშაო დროსა და საათებში (20:00). ამასთან, გამგეობის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი იყო შვებულებაში (11 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით). სხვა დროს, მათ შორის, 22 ივლისს, იგივე პირი სარგებლობდა შესვენების დროით. სხვა შემთხვევაში, მუნიციპალური ა(ა)იპ-ის დირექტორიც სარგებლობდა შესვენების დროით (არასამუშაო პერიოდი)“. **ცესკო:** „საკითხი შესწავლილ იქნა № 54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“. **აგიტაციის ხელშეშლის ფაქტებზე იხილეთ კომისიის მიერ გამოცემული 2016 წლის 27 ივლისის რეკომენდაცია** (იხ. ბმული <u>http://justice.gov.ge/Mi№ istry/I№ dex/487</u>)
		<u>მე-6 საკითხი:</u> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სავარაუდო ზეწოლის ფაქტი (არ არის დაკონკრეტებული ვინაობა).	<u>მე-6 საკითხი:</u> **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „არჩევნებში მონაწილე პარტიების კანდიდატთა მიმართ ზეწოლის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია, ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
11	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი (678/01) სამინისტროს კანცელარია 27.07.2016, №01/12471	<u>1-ლი საკითხი:</u> ბათუმში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონული წარმომადგენლის – ლევან ვარშალომიძის ე.წ. ოცნების ქალაქის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრის ხელშეშლა პარტია „ქართული ოცნების“ აქტივისტების მიერ. <u>მე-2 საკითხი:</u> თბილისში ელენე ხოშტარიას წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლისა და ჩაშლის მცდელობა. <u>მე-3 საკითხი:</u> სევდია უგრეხელიძის წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის და ჩაშლის მცდელობასთან დაკავშირებით შეკრებილია	განცხადება რეაგირებისთვის გადაეგზავნა კომისიის წევრებსა და ცესკო-ს. <u>1-ლი საკითხი:</u> **შსს:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერი ლევან ვარშალომიძე 2016 წლის 20 ივლისს იმყოფებოდა ქ. ბათუმში ფრიდონ ხალვაშის გამზირზე ე.წ. ოცნების ქალაქის დასახლებაში. როგორც პოლიციისათვის შემდგომ გახდა ცნობილი, გასაუბრების დროს ლევან ვარშალომიძეს შელაპარაკება მოუხდა მოსახლეობასთან, რასაც ესწრებოდა კიდეც უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე. აღნიშნული შეხვედრის დროს მომხდარი შელაპარაკების შესახებ რაიმე სახის შეტყობინება პოლიციის ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოში არ შემოსულა“. <u>მე-2 საკითხი:</u> **შსს:** „შსს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა სთხოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ ოთარ კახიძეს, უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოსთვის მიეწოდებინა მეტი ინფორმაცია, რათა სამინისტროს აღნიშნული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში შესძლებოდა შესაბამისი რეაგირების მოხდენა. ოთარ კახიძეს დაუკავშირდა შს სამინისტროს წარმომადგენელიც და სთხოვა, მოეწოდებინა დამატებითი ინფორმაცია. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საკითხი, ასევე, განხილულ იქნა უწყებათშორისი კომისიის მე-2 სხდომაზე. შს სამინისტროს დამატებითი ინფორმაცია დღემდე არ მიუღია“. <u>მე-3 საკითხი:</u> **შსს:** „სევდია უგრეხელიძის წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლის მცდელობასთან დაკავშირებით ა.ღ-ს მიმართ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (მუხლი 166) და რეაგირებისთვის გაგზავნილია სასამართლოში“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		მტკიცებულებები აკაკი ღაფავას მიმართ. <u>მე-4 საკითხი:</u> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბაღდათის რაიონული ორგანიზაციისადმი უმოტივოდ წამოყენებულ იქნა მათ მიერ საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული ფართის გამოთავისუფლების შესახებ, რისი ლეგიტიმური საფუძვლები არ არსებობს. ფართი არის ბაღდათის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონება. <u>მე-5 საკითხი:</u> ზვიად კუპრავას მიმართ სანდრო ბრეგაძის ორგანიზებით საჯაროდ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა.	<u>მე-4 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბაღდათის რაიონულ ორგანიზაციას შორის დადებული იყო საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ორგანიზაციის ოფისი განთავსებული იყო შესაბამის ფართში გარკვეული (ხელშეკრულების) ვადით. იმავე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 11 ივლისით. შესაბამისად, მას ვადა გაუვიდა იმავე დღეს. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება წარმოადგენდა მხარეთა შესაძლებლობას – ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში გაეგრძელებინათ ურთიერთობა, და არა – ვალდებულებას. ამდენად, ვინაიდან გამგეობას ჰქონდა გამოუვალი მდგომარეობა, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ფართის სიმცირის გამო მუნიციპალური ა(ა)იპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი‘‘ განთავსებული იყო გამგეობის შენობაში, ხელშეკრულებას ვადა არ გაუგრძელდა (მოქმედება შეწყდა) კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ხოლო იმავე ფართში, მუნიციპალური ინტერესიდან გამომდინარე, განთავსდება ა(ა)იპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი‘‘. ამასთან, ყოფილ მოიჯარეს მიეცა ვადა (2016 წლის 5 აგვისტომდე) ფართის გამოთავისუფლების შესახებ“. <u>მე-5 საკითხი:</u> 1. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 26 ივლისს გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „TV პირველის“ ეზოში მომხდარი ცემის ფაქტზე სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებით დადგინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ,,სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ დირექტორი ზვიად კუპრავა მონაწილეობდა ვახო სანაიას შოუში. გადაცემაში დისტანციურად ჩაერთო ალექსანდრე ბრეგაძე. გადაცემის დასრულების შემდეგ ტელეკომპანიის ეზოში ზვიად კუპრავამ და ალექსანდრე ბრეგაძემ ერთმანეთს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. საქმეზე გამოკითხულია მოწმეები, მათ შორის ,ზვიად კუპრავა და სანდრო ბრეგაძე. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ზვიად კუპრავამ მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
			ჯანმრთელობის მოუშლელად. ალექსანდრე ბრეგაძის მიმართ დასკვნა ჯერ არ მიუღიათ. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა DVD დისკი და ვიდეოსკოპიური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ არ აღინიშნება რედაქტირების ან მონტაჟის ნიშნები“.
		<u>მე-6 საკითხი:</u> რუსთავში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სურდა, შტაბისთვის ექირავებინა უძრავი ქონება. პარტიის მიერ მხარესთან მოლაპარაკების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა მოსთხოვეს მესაკუთრეს, განეთავსებინა ფარული სათვალთავლო კამერა. მესაკუთრის მიმართ განხორციელებული დაშინების გამო მან უარი განაცხადა ფართის მიქირავებაზე.	<u>მე-6 საკითხი:</u> **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მიერ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია. შეტყობინებაში აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს“.
		<u>მე-7 საკითხი:</u> მცხეთაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციისთვის დაქირავებული საარჩევნო შტაბის ხელშეკრულების მოშლა მოითხოვა	<u>მე-7 საკითხი:</u> **შსს, მთავარი პროკურატურა:** „საკითხის ირგვლივ მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველოს მიერ გამოკითხულ იქნა ფართის მესაკუთრე ო.ნ., რომელიც საერთოდ უარყოფს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან რაიმე სახის კომუნიკაციას“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		მესაკუთრემ (ოთარ ნაგლიაშვილმა) ხელშეკრულების დადებიდან ერთ თვეში მასზე განხორიცელებული ზეწოლის და იძულების გამო. <u>მე-8 საკითხი:</u> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატები საუბრობენ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ბიზნესმენების მიმართ განხორიცელებულ ზეწოლაზე. ვერ ასახელებენ ბიზნესმენების ვინაობას, თუმცა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მოითხოვენ შიდა მოკვლევის დაწყებას. <u>მე-9 საკითხი:</u> არჩევნების დანიშვნის დღიდან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გადასახადის გადამხდელების ფულით მიმდინარეობს პარტია	<u>მე-8 საკითხი:</u> **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მიერ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია. შეტყობინებაში აღნიშნული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს“. <u>მე-9 საკითხი:</u> **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ ვიდეორგოლში ასახული ინფორმაცია არ შეიცავდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტს, ვინაიდან აღნიშნული ვიდეორგოლი არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის დარღვევაც, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოცემული შემთხვევისთვის წარმოადგენს

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რეკლამირება ეკონომიკური პროგრამების შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.	ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას“. **განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობით პასუხი (წერილის № 01-02/1841).** **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „შესწავლილია საკითხი რეკლამასთან დაკავშირებით და არ დადგინდა დარღვევა“. **აგიტაციის ხელშეშლის ფაქტებზე იხილეთ კომისიის მიერ გამოცემული 2016 წლის 27 ივლისის რეკომენდაცია** (იხ. ბმული: http://justice.gov.ge/Mi№ istry/I№ dex/487) .
12	ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 28.07.2016	განცხადებაში დასმულია საკითხი ტელევიზიებით და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეორგოლებისა და სხვა სახის ვიზუალური მასალის შესახებ, სადაც მოთხრობილია მთავრობის ან სხვა საჯარო უწყებების მიღწევების თუ სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის მხრიდან შესაძლოა, აღქმულ იქნეს როგორც ხელისუფლებაში მყოფი პარტიის საარჩევნო რეკლამა, ეს კი, თავის მხრიც, ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების ნიშნებს ატარებს.	რეაგირებისთვის განცხადება გადაეგზვნა სსიპ „სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს“ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. 2016 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში იმსჯელა განცხადებაში დასმულ საკითხებზე. კომისიის წევრთა მოსაზრებით, მოცემული ვიდეორგოლები თუ სხვა სახის ვიზუალური მასალა იყო საინფორმაციო ხასიათის და რაიმე სახის პოლიტიკურ ნიშანს ისინი არ ატარებდა. შესაბამისად, კომისიამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად რეკომენდაციის გამოცემა. **სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს** მიერ წარმოდგენილი პოზიციის თანახმად, ბოლო წლებში სისტემატურად ხდება დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დევნილი პირებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისათვის საკითხის საქართველოს მთავრობის წინაშე ინიცირებას. წერილის თანახმად, აღნიშნული რეკლამა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ შეიცავს საგიტაციო ნიშნებს.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
			კომუნიკაციების ეროვნული კომისია: გთხოვთ, იხილოთ ცხრილში №5 საკითხის გადაწყვეტილება.
13	„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“, №433 გიორგი ცაგარეიშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 02.08.2016	განცხადებაში მოყვანილია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მხრიდან სავარაუდო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ასევე, ფლაერების მეშვეობით თვითმმართველობის ორგანოების მიერ ხდება შესრულებულ და დაგეგმილ საქმიანობაზე საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელება და პოპულარიზაცია. ამ ეჭვს ამყარებს ივლისში ამ მიმართულებით განხორციელებული შესყიდვები. განცხადების თანახმად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა 2015 წელს ამ მიმართულებით 19 000 ლარი დახარჯა, ხოლო 2016 წელს აპირებს 57 000 ლარის დახარჯვას. ზუგდიდის საკრებულოს მხრიდან ადგილი აქვს „საქართველოს საარჩევნო	განცხადება დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ქალაქ ზუგდიდის მერი და მერიის სამსახურები ყოველთვიურ პერიოდულ შეხვედრებს მართავდნენ და მართავენ მოსახლეობასთან (როგორც მერიის შენობაში, ისე მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში). აღნიშნულ შეხვედრებზე მოსახლეობა გამოხატავდა და გამოხატავს სურვილს, ყველა ოჯახს, ყველა მოქალაქეს ჰქონოდა/ჰქონდეს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, ხოლო ინფორმაციის მიწოდების ფორმად ისინი ტელევიზიას, გაზეთს, საინფორმაციო ბროშურებს და ბუკლეტებს, რადიოგადაცემებს ასახელებდნენ/ასახელებენ. სწორედ ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით გადაწყდა მერიის მიერ მოცემული საინფორმაციო საშუალებების გამოყენება“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევას.	
14	„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“, №434 გიორგი ცაგარეიშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 02.08.2016 წერილის ასლი, ასევე, შემოვიდა კანცელარიაში №01/13017; 03.08.2016	განცხადების თანახმად, „ქართული ოცნების“ მხრიდან ხდება წინასააჩევნოდ პირობითი მსჯავრის გაუქმების და ამნისტიის საარჩევნო ხმების სანაცვლოდ დაპირება, რაც არის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ დარღვევა. პარტია მოითხოვს კომისიის მხრიდან შესაბამის რეაგირებას.	განცხადება დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის გადაეგზავნა მთავარ პროკურატურას. **მთავარი პროკურატურა:** „შედგა სატელეფონო კომუნიკაცია გიორგი ცაგარეიშვილთან, რომელმაც განაცხადა, რომ, მართალია, განცხადება მისი სახელით არის შეტანილი უწყებათაშორის კომისიაში, მაგრამ განცხადებაში დასმული საკითხის ირგვლივ იგი არ ფლობს ინფორმაციას. მისივე თქმით, ზემოხსენებულ საკითხებზე პრესკონფერენციაზე ისაუბრა მისივე პარტიის წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა. შესაბამისად, მას შეეძლო, მოეწოდებინა აღნიშნულ საკითხზე განმარტებები. გამოიკითხა ირაკლი ჩიქოვანი, რომელმაც მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ის საუბრობს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ არჩევნებში მხარდაჭერის სანაცვლოდ მოქალაქეებისთვის პირობითი მსჯავრის ან/და მართვის უფლების აკრძალვის მოხსნის დაპირებაზე, გამომძიებელს განუმარტა, რომ ამ განცხადების გაკეთების მომენტში კონკრეტული სუბიექტი არ მიიღებოდა მხედველობაში, მისთვის ამის შესახებ ცნობილი გახდა საჯარო სივრცეში გავრცელებული ცნობებიდან. მის მიერ განცხადების გაკეთების მიზანი იყო, ტყუილისგან დაეცვა ის მოქალაქეები, რომლებზეც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან მსგავსი ცრუ დაპირებების გაცემას. მისივე განმარტებით, ის და მისი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები მუშაობენ კონკრეტული პიროვნებების ვინაობების დადგენაზე და ასეთი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში დამატებით მიაწვდიან ინფორმაციას საგამოძიებო ორგანოებს“.
15	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი, №701/01 იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 01/12979; 03.08.2016	წერილში წარმოდგენილი ინფორმაციით, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ადგილი აქვს საოლქო საარჩევნო კომისიების მუდმივმოქმედ და პოლიტიური პარტიების მიერ დანიშნულ წევრებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის	განცხადება დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარ პროკურატურას, ცესკო-ს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან კომისიის წევრთა და მათი ახლობლების მიმართ დაშინების, ზეწოლისა და მუქარის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		მხრიდან კომისიის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის არაკანონიერ მოძიებას, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების დაშინების, მუქარის, ზეწოლისა და ზეწოლის განხორციელების მიზნით საყრდენად საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების გამოყენებას. წერილში საუბარია №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მაია ველთაურისა და თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინე შაბურიშვილის სავარაუდო უკანონო ქმედებებზე.	**შსს, მთავარი პროკურატურა:** „დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მაია ველთაურის განმარტებით, მან მოსთხოვა ავტობიოგრაფიები თანამშრომლებს მათი უკეთ გაცნობის მიზნით. გამოკითხულია კომისიის 12 წევრი, რომლებიც ადასტურებენ მათთვის ავტობიოგრაფიების მოთხოვნის ფაქტს და განმარტავენ, რომ ამით მათ რაიმე სახის ზიანი არ მისდგომიათ. მეცამეტე წევრი ამ ფაქტის დროს (2016 წლის 27 ივლისს) არ იყო კომისიის წევრი“. **ცესკო:** „განცხადებაში მოყვანილ საკითხებს სწავლობს ცესკო-ს შიდა აუდიტის სამსახური“. **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი:** „2016 წლის 12 აგვისტოს №PDP 416 00000 991 წერილით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ეცნობა, რომ განცხადებაში აღნიშნული ფაქტები არ წარმოადგენს მათი შესწავლის საგანს, რადგან მითითებულ ქმედებებზე რეაგირება მიეკუთვნება სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას“.
16	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი, № 726/01 იუსტიციის სამინისტროს კანცელარია	საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის მხრიდან ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტი, კერძოდ: ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის ინიციატივით, 31 ივლისს სამგორის	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და ცესკო-ს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „შესწავლილია საკითხი და რადგანაც პარტიასთან ან არჩევნებთან კავშირი ვერ დასტურდება,საჩივრის ავტორს ეთხოვა ინფორმაციის დაზუსტება“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	№01/13058, 04.08.2016	ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ფშავში მდინარე არაგვზე გაიმართა ღონისძიება „ჯომარდობა 2016“. აღნიშნული ღონისძიება მონაწილეთათვის იყო უფასო (ტრანსპორტირება, კვება, ფილმის ჩვენება, კონცერტი). განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიერ დასახელებულ ღონისძიებას ჰქონდა პოლიტიკური მიზანი „ქართული ოცნებისადმი“ ამომრჩეველთა მოსყიდვის გზით. აღნიშნული მოქმედება შესაძლოა, შეიცავდეს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 164 პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.	26 დეკემბრის №32-127 დადგენილებით – „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (V თავი, მუხლი 13) (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016-2019 წლების ძირითადი პრიორიტეტები, პროგრამული კოდი 08.11.08) – კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის სამგორის რაიონში გამოყოფილ იქნა 100000 ლარი. პროგრამის მიზანია რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა. სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების გამართვით მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (13.07.2016) საშუალებით განხორციელებული სპორტული ღონისძიების (ჯომარდობა 2016) ორგანიზების შესყიდვა (26.07.2016 წლის №08.11.08.20.066 ხელშეკრულება) 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში განხორციელდა კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალური უფლებამოსილების ფარგლებში. სამგორის რაიონის გამგეობის მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი არ დადასტურდა“. **ცესკო:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიება „ჯომარდობა 2016“ განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განცხადებაზე თანდართულ ფოტოსურათებზე და არც სამგორის რაიონის გამგეობის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებული ფოტომასალით არ დადასტურდა, რომ ამ ღონისძიების მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის ან სამგორის რაიონის გემგეობის მხრიდან წინასაარჩევნო აგიტაციას. ვინაიდან არ გამოიკვეთა სამგორის რაიონის გამგეობის მხრიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა, ცესკო-ს თავმჯდომარემ მიზანშეუწონლად მიიჩნია ამავე კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა“. **უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2016 წლის 10 აგვისტოს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 დეკემბრის №32-127 დადგენილება.**

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
17	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,სერგო რატიანი, № 725/01 იუსტიციის სამინისტროს კანცელარია №01/13062; 04.08.2016	მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელ ალექსანდრე გრიგალავას, საკრებულოს წევრ ალექსი გაბისონიას და (ა)აიპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის“ ხელმძღვანელ დავით სურმავას მხრიდან „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობასა და პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. განცხადების მიხედვით, აღნიშნული ქმედება შეიცავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის დარღვევას.	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და ცესკო-ს. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „არ არის სამსახურის შესასწავლი საკითხი. საჩივრის ავტორს ეთხოვა ინფორმაციის დაზუსტება. პასუხი არ მიგვიღია“. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „(ა)აიპ „სკოლის გარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება მარტვილის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ დაფუძნებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე და არ შედის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების დაქვემდებარებაში“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „საჩივრის თანდართულ ფოტოსურათებზე ასახულია 2016 წლის 25 ივლისს მარტვილის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენა. წერილში მითითებულ პირთაგან ორი – მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე – საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომელთაც კანონი არ უზღუდავს წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლებას (ამავე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების მხედველობაში მიღებით). აღნიშნული პირები ესწრებოდნენ 25 ივლისს მარტვილის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის ღონისძიებას, ისე, როგორც 23 ივლისს (შაბათს) სამეგრელოში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას, თუმცა, მათი მონაწილეობა გამოიხატებოდა მხოლოდ დასწრებით და არავითარი სხვა ქმედებით. ამასთან, გამგებელი შვებულებითაც კი სარგებლობდა იმავე (25 ივლისს) დღეს (თუმცა, აღნიშნული ფაქტი არაფერს ცვლის პოლიტიკური თანამდებობის პირის შემთხვევაში). მესამე პირი – სასპორტო სკოლის ხელმძღვანელი 25 ივლისს ღონისძიებაზე დასწრებისას იყენებდა შესვენების დროს. განცხადებაში მოხსენიებულ პირთა მხრიდან სხვა სახით – პარტიულ საქმიანობასა თუ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობა (მათ შორის, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის ან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება) არ დასტურდება“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
			ცესკო: „აღნიშნული საკითხი № 65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეისწავლა. შესწავლის შედეგად არ დადასტურდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი. განმცხადებელს წერილობით ეცნობა უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე“.
18	საინფორმაციო სააგენტო „სამხრეთის კარიბჭე“ (skNews.ge), ჟურნალისტი თამუნა უჩიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 02.08.2016	ინფორმაციის თანახმად, 6 აგვისტოს ახალციხის ადმინისტრაციულ შენობაში (სადაც მერია, გამგეობა და გუბერნიაა განთავსებული) „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ახალციხის მერი, მერიის წარმომადგენლები, ასევე, ახალციხის გამგებლის მოადგილე და გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი, გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში. შეხვედრაზე მყოფი აქტივისტის თქმით, შეხვედრა ახალციხეში გიორგი კვირიკაშვილის ჩამოსვლას ეხებოდა, შეხვედრის შესახებ კი ინფორმაცია „ქართული ოცნების“ შტაბიდან მიიღო.	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **ცესკო:** „აღნიშნული საკითხი შეისწავლა №37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. შესწავლის შედეგად არ დადასტურდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი, რის თაობაზეც განმცხადებელს წერილობით ეცნობა უარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის თაობაზე“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „6 აგვისტოს ახალციხის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა რიგითი თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ესწრებოდნენ გამგეობის თანამშრომლები (მათ შორის, გამგებლის წარმომადგენლები და სხვა საჯარო მოსამსახურეები). თათბირზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება/მიმდინარეობა, მოსავლის (მათ შორის, ხორბლის, ქერის) აღება, კომბაინ(ებ)ის მობილიზება და მუნიციპალიტეტისთვის კანონით მიკუთვნებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე სხვა საკითხები. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრაზე (თათბირზე) არანაირ პარტიულ ან საარჩევნო საკითხებზე საუბარი არ ყოფილა და არც „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან შეხვედრას ჰქონია ადგილი. განცხადების (09.08.2016(ავტორ თამუნა უჩიძეს გაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
19	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი (განცხადება №746/01) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 09.08.2016 №01/13264	<u>1-ლი საკითხი:</u> ინფორმაციის თანახმად, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მოხდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ არსებული ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტა და ტარიფების ზრდა, ხელშეკრულების გაგრძელება მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შემდეგ გახდა შესაძლებელი, თუმცა, ფოსტამ შეუსაბამოდ გაუზარდა მომსახურების ტარიფები მხარეს, რითაც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეუქმნა კაბალ ური პირობები. განმცხადებლის მოსაზრებით, ეს გარემოებები წარმოადგენს დაგეგმილ ხელის შეშლის მცდელობას ოპოზიციური პარტიისათვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების პერიოდში.	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა საქართველოს ფოსტას და შსს-ს. <u>1-ლი საკითხი:</u> **2016 წლის 24 აგვსტოს** სხდომაზე მოწვეულმა შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ დეტალურად ისაუბრა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის გარემოებების თაობაზე. მისი განცხადებით, საქართველოს ფოსტის მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის შეთავაზებული მომსახურება მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული და დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მსოფლიოს საფოსტო კავშირის, ექსპერტების რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ სრულიად შეიცვალა საქართველოს ფოსტის საექსპლუატაციო სქემა, მათ შორის, ბიზნესპროცესი. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იქნა მიღებული გაუმჯობესებული და ახალი პროდუქტები. ბატონი ლევან ჩიკვაიძის თქმით, ზემოდასახელებული ცვლილებების შემდგომ, წლის დასაწყისში, 2700-მდე კონტრაქტორთან დაიწყო პროცედურები, რაც გამოიხატებოდა ხელშეკრულებების შეცვლით ან ხელშეკრულების შეწყვეტის და შემდეგ ახალი ხელშეკრულების გაფორმებით. მან სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ არცერთ კონტრაქტორს არ ჰქონია შეფერხება საფოსტო მომსახურებაში, მათ შორის, არც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ საქართველოს ფოსტის შეთავაზება კი ის იყო, რომ შეწყვეტილიყო ძველი და გაფორმებულიყო ახალი ხელშეკრულება, რომელიც მათთვის გაგზავნილ წერილს ერთვოდა დანართად. საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი გამოეხმაურა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წამოყენებულ საკითხს, რომელიც ეხებოდა 2016 წლის 10 აგვისტოს ამ პარტიისთვის საქართველოს ფოსტის მიერ მომსახურების გაწევაზე უარის თქმას. პირველ რიგში, ბატონმა ლევან ჩიკვაიძემ ახსენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ამ საკითხის სარჩელის უზრუნველყოფისთვის სასამართლოში გასაჩივრების ფაქტი, რომლითაც პარტიის მიერ მოთხოვნილ იქნა ძველი ხელშეკრულების ძალაში დატოვება (სასამართლომ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა საქართველოს ფოსტასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულება). აღნიშნული ხელშეკრულებით შედარებით ნაკლები ტარიფია განსაზღვრული, თუმცა, მეორე მხრივ, კორესპონდენციის ჩაბარების უფრო ხანგრძლივი ვადებია გათვალისწინებული. სწორედ

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		განცხადებაში, ასევე, საუბარია ადგილობრივი სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგა ნოების და მათზე დაქვემდებარებული უწყებების მიერ საარჩევნო პერიოდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ საოფისე ფართებზე ხელშეკრულების უსაფუძვლოდ შეწყვეტის ფაქტებზე. <u>მე-2 საკითხი:</u> ქ. მცხეთაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციისათვის დაქირავებული საარჩევნო შტაბის ხელშეკრულების მ ოშლის მოთხოვნა ქონების მესაკუ თრე ოთარ ნაგლიაშვილის მიერ ხელშეკრულების დადებიდან ერთ თვეში, მესაკუთრეზე განხორციელებული ზეწოლის, დაშინების გამო. ზემოაღნიშნულ ფაქტებთან	2012 წლის ხელშეკრულების მხედველობაში მიღებით, 10 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოთხოვნილი კურიერის მომსახურება განხორციელდა მეორე დღეს, 11 აგვისტოს, რაც სრულად აკმაყოფილებს მათ შორის არსებული სასამართლოს მიერ ძალაში დატოვებული ხელშეკრულების პირობებს, სადაც ცალსახადაა აღნიშნული, რომ მომსახურების განხორციელება უნდა მოხდეს არაუგვიანეს მეორე დღისა. <u>მე-2 საკითხი:</u> **შსს:** „საკითხის ირგვლივ მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველოს მიერ გამოკითხულ იქნა ფართის მესაკუთრე, რომელიც საერთოდ უარყოფს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან რაიმე სახის კომუნიკაციას“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		დაკავშირებით ითხოვენ ადეკვატურ რეაგირებას.	
20	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი (განცხადება №770/01) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 10.08.2016, №01/13383	მიუთითებენ, რომ **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან** ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საოლქო საარჩევნო კომისიებს დაეგზავნათ ინსტრუქცია, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების, ასევე, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებისათვის ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ მინიჭებული უფლებების შეზღუდვის მიზნით. მსგავს დოკუმენტებს საოლქო საარჩევნო კომისიები სავალდებულო ძალის მქონე დირექტივად მიიჩნევენ და ბრმად ასრულებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებებს, დაქვემდებარებისა და მათზე უკანონო სამართლებრივი რეპრესიების განხორციელების, ასევე,	განცხადება რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ცესკო-ს მიერ გაგზავნილი ინსტრუქცია წარმოადგენდა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს, რომელიც შეიცავდა ამონარიდებს „საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან“. კერძოდ, იგი მიუთითებდა დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა იმ უფლებებსა და ვალდებულებებზე, რაც მათ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად აქვთ მინიჭებული. ხსენებული ინსტრუქციის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაგზავნის მიზანი იყო მხოლოდ რეკომენდაციების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ საარჩევნო კოდექსის რომელი ნორმების მიხედვით უნდა იმოქმედონ საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში. **განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი პასუხი (წერილის №01-02/1937)“.**

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		უსამართლოდ დისციპლინურ დევნასა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შიშით.	
21	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი განცხადება №772/01) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 10.08.2016, №01/13384	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მასში ჩართული პოლიტიკოსებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის განხორციელებაში ხელის შეშლის ფაქტებთან დაკავშირებით: <u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. ბოლნისში კულტურისა და დასვენების პარკის ხელმძღვანელი მადონა ჭელიძე და გამგებლის თანაშემწე ფატიმა ტვილდიანი „ქართული ოცნების“ სამკერდე ნიშნით სამუშაო საათებში იმყოფებოდნენ ქ. რუსთავში „ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენაზე, რა დროსაც მოქალაქეების ტრანსპორტირება ხდებოდა ქ. ბოლნისის შიდა	განცხადება რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა კომისიის წევრებს და ცესკო-ს. <u>1-ლი საკითხი:</u> **ცესკო:** „№20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შესწავლილ იქნა საკითხი და სამართალდარღვევის არარსებობის გამო განმცხადებელს გაეცა შესაბამისი პასუხი“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. რუსთავში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატების წარდგენაზე მოქალაქეთა გადაყვანა მოხდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიულ პირ შპს „ტრანსპორტის სამსახურსა“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ორგანიზაცია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და უფლება აქვს, მიიღოს შემოსავალი კერძო მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე. რაც შეეხება განცხადებაში დაფიქსირებულ ფაქტს მოქალაქეთა გადაყვანასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ა(ა)იპ ,,სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, წარმოადგენს მცდარ გარემოებას, ვინაიდან, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		ავტობუსებით. ავტობუსები მოხსნილი იყვნენ სამარშუტო რეისებიდან და ემსახურებოდნენ მოსახლეობის „ქართული ოცნების“ საარჩევნო შეხვედრაზე გადაყვანას, რაც არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ს 49-ე მუხლის დარღვევა. <u>მე-2 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ადგილი ჰქონდა ქ. თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამგორის რაიონში წარდგენილი კანდიდატ ირაკლი ნადირაძის წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის და ჩაშლის მცდელობას.	საშუალება 8 აგვისტოს ჩათვლით იმყოფებოდა ქ. ბათუმში, სადაც საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გადაყვანილი ჰყავდა მონაწილეები. უსაფრთხოების ავტომობილებთან (გაუგებარია, რომელ უსაფრთხოებას გულისხმობს განმცხადებელი) დაკავშირებით მუნიციპალიტეტი ინფორმაციას არ ფლობს. შპს „კულტურისა და დასვენების პარკის“ დირექტორ მადონა ჭელიძისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე ფატმან ტვილდიანის მიერ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობასა და პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შეხვედრა დანიშნული იყო 3 აგვისტოს, 20:00 საათზე (არასამუშაო დროს). ფატმან ტვილდიანი აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში. მადონა ჭელიძის და ფატმან ტვილდიანის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა (მათ შორის, სამსახურებრივ საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას) არ დასტურდება“. <u>მე-2 საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა:** „გამოკითხვებით დადგენილია, რომ ირაკლი ნადირაძის მოსახლეობასთან შეხვედრის დასრულების შემდგომ მერაბ ხიდაშელი შეხვდა ირაკლი ნადირაძეს. ამ დროს ხიდაშელმა უკმაყოფილება გამოთქვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში მათ მიერ ჩადენილ უსამართლობებთან დაკავშირებით. მათ შორის საუბარი არ გადაზრდილა სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფასა და დაპირისპირებაში“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		შეხვედრის ჩაშლის მიზნით კანდიდატს მიეჭრნენ მერაბ ხიდაშელი და მისი თანმხლები პირები, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და სცადეს შეხვედრის ჩაშლა. <u>მე-3 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გლდანის გამგეობის მთავარი სპეციალისტ ილია მიროტაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამ ოსილების გადამეტებას და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. აღნიშნული პიროვნება ემ უქრებოდა სოციალურად დაუცველ პირებს და აფრთხილებდა, რომ, თუ არჩევნების დროს მხარს დაუჭერენ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, მათ შეუწყდებათ სტატუსი და ზამთარში არ მისცემენ შეშას. <u>მე-4 საკითხი:</u>	<u>მე-3 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „საკითხის გაჟღერებისთანავე, გამგეობის მიერ გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები. გამოვლინდა, რომ განცხადებაში აღნიშნულ ფაქტებს, მათ შორის, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ გამგეობის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, მოსახლეობის დაშინებას ან მუქარას, ადგილი არ ჰქონია. გლდანის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და ბოროტად გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა“. **მთავარი პროკურატურა:** „გაირკვა, რომ შეტყობინებაში მითითებულ მოქალაქეებს არ მიუმართავთ გლდანის გამგეობისათვის შესაბამისი დახმარების (შეშის) მიღების მოთხოვნით. მიმართვის შემთხვევაში, სათანადო საფუძვლის არსებობისას, განხილული იქნება მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი“. <u>მე-4 საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა:** „გამოკითხვებით დადგენილია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ელენე ხოშტარიას წინასაარჩევნო შეხვედრისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ პროტესტის ნიშნად რეზო ხოფერიამ ელენე ხოშტარიას გადასცა ცოცხი. წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლას, ფიზიკურ ან სიტყვიერ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ეთერ პატარაიას და სხვათა მიმართ ზეწოლის ფაქტს, ეთერ პატარაიამ განმარტა, რომ ელენე ხოშტარიას მიერ წყნეთში ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების ან მონაწილეობის მიღების აკრძალვის მიზნით მასზე ზეწოლა არავის

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. თბილისში წყნეთის ქ. №19-ში ადგილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატ ელენე ხოშტარიას წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის და ჩაშლის მცდელობას მოქალაქე რეზ ო ხოფერიას მხრიდან. განმცხადებელი საუბრობს, რომ ელენე ხოშტარიას საარჩევნო შეხვედრების ჩაშლის მცდელობებს აქვს სისტემური ხასიათი. <u>მე-5 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბაღდათის რაიონული ორგანიზაცია საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე უკანასკნელ პერიოდში ფუნქციონირებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ქონებაში	განუხორციელებია. ანალოგიური დაადასტურეს გამოკითხვისას ნიაზ ლიპარტელიანმა, ლანა ყოლბაიამ, ირმა ჩხეტიანმა და მზია ზაქარაიამ“. <u>მე-5 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „მუნიციპალიტეტსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბაღდათის რაიონულ ორგანიზაციას შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ორგანიზაციის ოფისი განთავსებული იყო შესაბამის ფართში გარკვეული (ხელშეკრულების) ვადით. იმავე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2016 წლის 11 ივლისით, შესაბამისად, მას (ხელშეკრულებას) ვადა გაუვიდა იმავე დღის დადგომისთანავე. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება წარმოადგენდა მხარეთა შესაძლებლობას – ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში გაეგრძელებინათ ურთიერთობა, და არა – ვალდებულებას. ამდენად, ვინაიდან გამგეობა აღმოჩნდა გამოუვალ მდგომარეობაში, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ფართის სიმცირის გამო მუნიციპალური ა(ა)იპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი‘‘ განთავსებული იყო გამგეობის შენობაში, ხელშეკრულებას ვადა არ გაუგრძელდა (მოქმედება შეწყდა) კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ხოლო იგივე ფართი დაეთმო ა(ა)იპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდს‘‘. ამასთან, ყოფილ მოიჯარეს მიეცა ვადა (2016 წლის 5 აგვისტომდე) ფართის გამოთავისუფლებისთვის. მუნიციპალიტეტის მიერ საიჯარო ხელშეკრულების დაუსაბუთებლად, ცალმხრივად შეწყვეტის და ამით წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელის შეშლის ფაქტი არ დადასტურდა.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. დღევანდელი მდგომარეობით, ბაღდათის თვითმმართველობამ დაუს აბუთებლად და ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთა ნ“ და აღნიშნული ფართი დაატოვებინა უკანონოდ. <u>მე-6 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში აჭარაში, ხულოს რაიონში, ბეშუმში, შუამთობის დღესასწაულზე, რომელსაც ესწრებოდა პრემიერ-მინისტრი და აჭარის მთავრობის წევრები, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველ წევრს, ლევან ვარშალომიძეს, არ მისცეს ტერიტორიაზე გად აადგილების საშუალება. <u>მე-7 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. ბათუმში	<u>მე-6 საკითხი:</u> **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** ბეშმობის საკითხზე გამოკითხულია ზურაბ პატარაძე და შალვა თადუმაძე, რომელსაც ეთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის და ინფორმაციის წარმოდგენა“. <u>მე-7 საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა:** „აქციის მსვლელობისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე დაკავებულ იქნა ორგანიზაცია „ჩვენი სამშობლოს“ წევრი ირაკლი მახარაძე, რომელსაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 04 აგვისტოს დადგენილებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) განესაზღვრა ადმინისტრაციული სახდელი – ჯარიმა 100 ლარის ოდენობით“. **ცესკო:** „საკითხთან დაკავშირებით ცესკო-მ წერილი გაუგზავნა ქ. ბათუმის მერს რეაგირებისთვის“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ოფისთან გია კორკოტშვილმა, ტრისტან წითელაშვილმა და მათმა მომხრეებმა გამართეს აქცია, გამოიწვიეს დაპირისპირება და დააზიანეს სააგიტაციო მასალა. **<u>მე-8 საკითხი:</u>** საარჩევნო კამპანიის ფარგლებში დედოფლისწყაროში 1-2 აგვისტოს გაიმართა რაიონის ბიუჯეტიდან დაფინანსებული კონცერტი, სადაც მიმდინარეობდა წინასაარჩევნო აგიტაცია, „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურების დარიგება, საკრებულოს წევრ ქეთევან დოლიძის შვილის, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერ ნუგო ყოჩიაშვილისა და სოფელ გამარჯვების რწმუნებულ გია ჭინჭარაულის მხრიდან.	**<u>მე-8 საკითხი:</u>** **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „არ დადგინდა დარღვევა, ვიდეოში არ იკვეთება წერილში აღწერილი ფაქტები“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „2016 წლის 2 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროში ჩატარდა საერთო სახალხო დღესასწაული ,,დედოფლისწყაროობა“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2013 წელს. აღნიშნულ დღესასწაულს კავშირი არ აქვს არჩევნებსა და საარჩევნო კამპანიასთან. ამ დღესასწაულზე, როგორც წესი, გარკვეულწილად, ჯამდება წლიდან წლამდე მუნიციპალიტეტში გაწეული მუშაობა. დადგენილი წესით, 5 პიროვნებას მიენიჭა დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება, ხოლო 48 პიროვნება დასახელდა წარმატებულ დედოფლისწყაროელად, რომელთაგან 30 (ოცდაათი) იყო 2016 წლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს და ვერცხლის მედალოსანი. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომლის ორგანიზატორი იყო არასამეწარმეო და არაკომერციული იურიდიული პირი ,,დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი“. ღონისძიებაზე რაიმე სახის პარტიული მაისურები არ დარიგებულა. მუნიციპალური ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის ფაქტი არ დადასტურდა“. **<u>მე-9 საკითხი:</u>** **ცესკო:** „აღნიშნული საკითხი შეისწავლა № 30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		<u>მე-9 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. კასპში „ქართული ოცნების“ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ნანი ბეგლარიშვილი და ნოდარ გურასპაშვილი, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და წარმომადგენლების შერჩევაში, ისინი ხვდებიან მმართველი პარტიის თავმჯდომარეს, იღებენ დავალებებს და გადიან კონსულტაციებს. <u>მე-10 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. ქუთაისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით ღონისძიების ჩატარებისათვის ადგილის გამოყოფისათვის პარტიამ	<u>მე-10 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტს (წერილი №87, 28.07.2016), რომლითაც მერიას აცნობა, რომ 3 აგვისტოს ქალაქის ისტორიულ უბანში 16 და 20 საათამდე პერიოდში იგეგმებოდა ღონისძიება, რომლის ფარგლებში შესაძლოა, გადაკეტილიყო მოძრაობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტმა განმცხადებელს გასცა დასაბუთებული და მოტივირებული პასუხი და განუმარტა, რომ მსგავსი სახით მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღონისძიების გამართვა იქნებოდა მიზანშეუწონელი სხვადასხვა ობიექტური გარემოების გამო. ამასთან, საჯარო შეკრების მოსაწყობად შეთავაზებულ იქნა ალტერნატიული ტერიტორია ქალაქ ქუთაისში, დ. აღმაშენებლის გამზირზე (ბალახვანში), ასსაფეხურიან კიბეებთან. განცხადებაში აღნიშნული შეკრება შედგა 2016 წლის 3 აგვისტოს ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში – წმინდა ნინოს ქუჩაზე (მონპლაზის თაღთან), სადაც მოძრაობის შეფერხებას ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნებოდა. ამავე შეკრების თაობაზე საარჩევნო სუბიექტს არც განუხორციელებია მერიისთვის შეტყობინება (არც ევალებოდა) და არც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ჰქონია ადგილი რაიმე სახის ხელშეშლას ან წინააღმდეგობას.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		მიმართა ქ. ქუთაისის მერიას, რაზეც მიიღო უარი. ეს კი წარმოადგენს წინასაარჩევნო კამპანიის ხელის შეშლის ფაქტს. <u>მე-11 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძემ ხულოს რაიონის მოსახლეობას გადასცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა და მოუწოდა სოფელ ღორჯომის მოსახლეობას, მხარი დაუჭიროს „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნებში.	<u>მე-11 საკითხი:</u> **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „არ დადგინდა დარღვევა, სოფლის მომსახურე მანქანა შეკეთდა და დაუბრუნდა სოფელს“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იმყოფებოდა სოფელ ღორჯომში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით. სოფლის მცხოვრებთ გამოხატეს დაინტერესება, თუ როდის დაბრუნდებოდა შეკეთებული ავტომობილი სოფელ ღორჯომში. აღნიშნული საკითხი გადამოწმდა სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში“, საიდანაც მიეწოდა ინფორმაცია, რომ უახლოეს ათ დღეში კაპიტალური რემონტის დასრულების შემდეგ ჩაიყვანდნენ მანქანას. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი დაჰპირდა მოსახლეობას უახლოეს ათ დღეში კაპიტალურად გარემონტებული მანქანის დაბრუნებას. ავტომანქანის შეკეთება დაგეგმილი იყო და შესაკეთებლად ქ. თბილისში გადაყვანილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ღორჯომის ხეობაში ვიზიტამდე. ამდენად, მთავრობის თავმჯდომარე შეეცადა არა ამომრჩევლის მოსყიდვას, არამედ გაერკვია, რატომ გაჭიანურდა ავტომანქანის შეკეთება. ამასთან, როგორც აღინიშნა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მსუბუქი ავტომანქანა თხოვების ფორმით სარგებლობაში მიღებული აქვს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს“. შესაბამისად, ავტომანქანის შეკეთებით არ შეცვლილა ავტომანქანის არც დანიშნულება, არც მესაკუთრე ან მოსარგებლე და არც სუბიექტთა ის წრე, რომელთა მომსახურებისთვისაც განკუთვნილია ავტომანქანა. შესაბამისად, ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა შეკეთებამდე, შეკეთების შემდეგაც დარჩა უცვლელი.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
			სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა“ მიმდინარე წლის 29 ივლისს კაპიტალურად გარემონტებული სასწრაფო დახმარების ავტომობილი „LA№ D ROVER defe№ der“ სოფელ ღორჯომში ჩაიყვანა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე მოქმედებდა კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი; მსგავსი შეხვედრების მიზანს კი წარმოადგენს მთიან აჭარაში არსებული გამოწვევების, ხალხის საჭიროებების, არსებული მდგომარეობის შესწავლა. ხულოს მუნიციპალიტეტში ღორჯომის მოსახლეობასთან წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ფარგლებში შეხვედრა, მოწოდება „ქართული ოცნების‘‘ მხარდაჭერისკენ და სასწრაფო დახმარების მანქანის ფონზე ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი არ დადასტურდა.
22	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სერგო რატიანი, (განცხადება №774/01) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია 10.08.2016, №01/13707	საარჩევნო კამპანიის ფარგლებში თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა დასახლებაში „„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ლიდერების შეხვედრა მიმდინარეობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რა დროსაც საარჩევნო კამპანიის ხელშეშლის და ჩაშლის მიზნით „ქართული ოცნების“ წევრები და აქტივისტები მიიჭრნენ. კერძოდ, თემურ მამისაშვილი, „ქართული ოცნების“ აქტივისტი და, ამავე დროს, ქურთის	რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას. **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 11 აგვისტოს შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს პოლიციის სამმართველოში შემოსული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სერგო რატიანი) განცხადების საფუძველზე თეთრიწყაროს პოლიციის სამმართველოს მიერ გამოიკითხნენ სავარაუდო სამართალდამრღვევები. მათი განმარტებით, ერთმანეთისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ, არც ხმამაღალ საუბარს და აქტივისტების მიმართ მუქარას ჰქონია ადგილი. ასევე, შედგა სატელეფონო გასაუბრების ოქმი ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, რომელმაც უარყო თანამშრომლების სამსახურიდან გაშვების ან მათზე რაიმე ფორმით ზეწოლის განხორციელების ფაქტი. გამოიკითხა სავარაუდო დაზარალებულიც, რომელმაც უარყო რაიმე სახის ზეწოლა სამსახურის დატოვების მოთხოვნით“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		მუნიციპალიტეტის თანამშრომელი; ტარიელ მამისაშვილი, „ქართული ოცნების“ აქტივისტი და, ასევე, ქურთის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი; გოგიტა ბასიშვილი, „ქართული ოცნების“ აქტივისტი და მათი თანმხლები პირები მიზანმიმართულად შეეცადნენ წინასაარჩევნო შეხვედრის ჩაშლას, მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, ადგილობრივ მოსახლეობას ემუქრებოდნენ და აშინებდნენ. ასევე, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერად მისული პირების, კერძოდ, **ეთერ რომელაშვილის** და **იასონ ქრისტესაშვილის** ოჯახის წევრების მიმართ განხორციელდა პოლიტიკური ზეწოლა, მოსთხოვეს ოჯახის წევრებს საკუთარი განცხადებებით სამსახურების დატოვება.	

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიუთითებს, რომ **ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის უფროსის მხრიდან** ადგილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას. კერძოდ, პირებს აიძულებენ სამსახურიდან წასვლას საკუთარი განცხადებით, მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები აქვთ. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ჯეროვნად არ სრულდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 27 ივლისის სხდომის შემდეგ მიღებული რეკომენდაციები. ითხოვენ წერილზე რეაგირებას, უფლებამოსილი პირების მიერ მოცემულ ფაქტებზე გამოძიების დაწყებას, დამნაშავე პირების გამორკვევა-დადგენას და	

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას.	
23	„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სამდივნოს წერილი ჩაბარდა ხელზე 10.08.2016	განცხადების თანახმად, 07.08.2016 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით მოწყობილ ღონისძიებაზე, **გომისმთობაზე,** ოზურგეთის გამგებელმა და გურიის მხარის გუბერნატორმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს „ქართული ოცნების“ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც ამავე ღონისძიებაზე ისაუბრა „ქართულ ოცნებასა“ და მის სამომავლო გეგმებზე. მედიის საშუალებით გავრცელდა შეხვედრასთან დაკავშირებული ფოტო-, ვიდეო- და ბეჭდური მასალა, საიდანაც აშკარად იკვეთება საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებულ ღონისძიებაზე წინასაარჩევნო აგიტაციისა და ამ მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნები. კერძოდ, მოცემულ	რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს. **შსს:** „შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლა 2016 წლის 07 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიება „გომისმთობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძის მონაწილეობით მედიის საშუალებით გავრცელებული ფოტოვიდეომასალა. გავრცელებული მასალის თანახმად, არჩილ თალაკვაძის მიერ მოცემულ ინტერვიუში არ იკვეთება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო ინფორმაციის გადმოცემა, ასევე, მის მიერ არ ყოფილა გამოყენებული ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი ან ნებისმიერი ტიპის სააგიტაციო მასალა. ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სარგებლობს პოლიტიკური თანამდებობის პირებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებით. ამდენად, არჩილ თალაკვაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიება „გომისმთობაზე“ მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული შინაარსის წერილი გაეგზავნა „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		შემთხვევაში, მიაჩნიათ, რომ დარღვეულია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-7 ნაწილი, ასევე, ამავე კოდექსის 48-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. მათი თქმით, აღნიშნული შემთხვევა საჭიროებს სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანოს მხრიდან დეტალურ შესწავლას, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში კი, ასევე, შესაბამისი სანქციების დაკისრება დამრღვევ პირებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მიმართეს უწყებათაშორის კომისიას ფაქტის შესწავლისა და მასზე შემდგომი რეაგირების მოთხოვნით.	
24	„ლეიბორისტული პარტია“, ანალიტიკური სამსახურის მდივანი ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -	ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 10 აგვისტოს, საღამოს 7-8 სთ-ზე, ქ. ბორჯომში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანადებობის პირები, საკრებულოს წევრ ბესო ფოფხაძის	რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შსს-ს, მთავარ პროკურატურას და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მიერ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	ზე ელექტრონული სახით 11.08.2016	ხელმძღვანელობით (**ბესო ფოფხაძე,** „ქართული ოცნებიდან“ პარლამენტარ <u>გედევან ფოფხაძის ძმაა,</u> რომელიც, ამავე დროს, არის მაჟორიტარობის კანდიდატი ,,ქართული ოცნებიდან“) წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს ბორჯომში თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ბორჯომის საკრებულოს წევრს „ლეიბორისტული პარტიიდან“ <u>გიორგი გიუაშვილს,</u> რომელიც მუდმივად ამხელს მმართველი პარტიის ადგილობრივ წარმომადგენლებს და პარლამენტარ გედევან ფოფხაძეს კორუფციასა და უკანონობაში. ამ შემთხვევამდე, გადაადგილებისას გიუაშვილს მუდმივ რეჟიმში უთვალთვალებდა (რაც ხშირად ხდება) ბორჯომის სუს-ის უფროსი	**შსს**: „ბორჯომის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება ქ. ბორჯომში, თორის ქუჩაზე, გიორგი გიუაშვილის ცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის დაწყებას საფუძვლად დაედო მოქ. გიორგი გიუაშვილის განცხადება. საქმეზე გამოკითხულ იქნა განმცხადებელი „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გიორგი გიუაშვილი, ასევე, ბორჯომის საკრებულოს წევრები და სხვა პირები. საქმეზე დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი. გიორგი გიუაშვილის მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. გიორგი გიუაშვილის მიმართ დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მობილური ტელეფონის საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმადაც, ტელეფონისათვის მიყენებული დაზიანებებით მის მეპატრონეს მიადგა 45 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. მიმდინარეობს გამოძიება“. **მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 10 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო გიორგი გიუაშვილის ცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხა 14 პიროვნება, მათ შორის, გიორგი გიუაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ 2016 წლის 10 აგვისტოს ქ. ბორჯომში ეწეოდა „ლეიბორისტული პარტიის“ მხარდამჭერ წინასაარჩევნო აგიტაციას, კერძოდ, გადაადგილდებოდა ტაქსით და მოსახლეობას მოუწოდებდა „ლეიბორისტული პარტიის“ მხარდაჭერისაკენ. პროცესში მის ავტომანქანას გზა ჩაუკეტა სამმა მსუბუქმა ავტომანქანამ, საიდანაც გადმოვიდა 10-მდე მამაკაცი (მათ შორის, ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ფერაძე, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ფოფხაძე, საკრებულოს წევრი ლევან ბლიაძე, „ქართული ოცნების“ ბორჯომის ორგანიზაციის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ზურაბ კაჭკაჭიშვილი და თეიმურაზ (ლაშა) ციცქიშვილი), რომლებმაც მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ცემის დროს გიუაშვილს ჯიბიდან გადმოუვარდა მობილური ტელეფონი, რომელიც უმნიშვნელოდ დაზიანდა; ასევე, დაკარგა ერთი ცალი ასლარიანი კუპიურა და ორი ცალი ერთლარიანი მონეტა. ინციდენტი გაგრძელდა, დაახლოებით, ხუთი წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ყველანი ჩასხდნენ თავიანთ ავტომანქანებში და წავიდნენ.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		გურამ ჩადუნელი და, სავარაუდოდ, ინფორმაცია თავდამსხმელებს მან მიაწოდა გიუაშვილის გადაადგილების შესახებ. მომხდარის თაობაზე მოკვლევა დაწყებულია ბორჯომის პოლიციაში; გიუაშვილს ჩაუტარდა ექსპერტიზა ფიზიკურ დაზიანებებზე. (ინციდენტზე სიუჟეტი გავიდა ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-ის დილის ეთერში 10.03 სთ-ზე). მიმართავენ ყველა უწყებას, ვისაც წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი ავალია, მოხდარი ფაქტი აიყვანონ კონტროლზე და მოიხსენიონ ანგარიშებში.	აღნიშნული ფაქტი არ დაადასტურა საქმეზე გამოკითხულმა არცერთმა მოწმემ. სასამართლო-სამედიცინო დასკვნის თანახმად, გიორგი გიუაშვილის სხეულზე არსებული დაზიანებები მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. საქონელმცოდნეობითი დასკვნის თანახმად, გიორგი გიუაშვილის კუთვნილი „ნოკიას" ფირმის 301 მოდელის მობილური ტელეფონის კორპუსისა და დასამუხტი ელემენტის დაზიანების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა შეადგენს 45 ლარს. ამჟამად, საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება". **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „2016 წლის 10 აგვისტოს ქალაქ ბორჯომში დღის მეორე ნახევარში ქალაქის ტერიტორიაზე დაქირავებული ავტომობილით გადაადგილდებოდა გიორგი გიუაშვილი, „ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენელი ბორჯომში. ამასთან, ის მეგაფონის მეშვეობით ახმოვანებდა შეურაცხმყოფელ განცხადებებს დღევანდელი ხელისუფლების და მაჟორიტარი დეპუტატის მიმართ, რა დროსაც შემთხვევით გადაეყარა და არა შეგნებულად (როგორც ამას თვით გიუაშვილი ამტკიცებს) „ქართული ოცნების" აქტივისტების მცირე ჯგუფს თორის ქუჩაზე, სადაც „ქართული ოცნების" აქტივისტებმა, რომელთა შორის ნამდვილად იმყოფებოდა ბესიკ ფოფხაძე, მოუწოდეს გიუაშვილს, კანონის ფარგლებში ემოქმედა, რაზეც ლეიბორისტების წარმომადგენელმა შეურაცხმყოფელი ფრაზებით უპასუხა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება. ინციდენტი გაგრძელდა 20-30 წამამდე, რის შემდეგაც მხარეები დასცილდნენ ერთმანეთს. როგორც ბესიკ ფოფხაძე, ისე იქ დამსწრე პირები, უარყოფენ რაიმე სახის ძალადობის ფაქტს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა მხრიდან გიორგი გიუაშვილის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტი არ დადასტურდა".
25	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", წერილი №786/01 იუსტიციის სამინისტრო კანცელარია	2016 წლის 11 აგვისტოს ქ. დედოფლისწყაროში, შოთა რუსთაველის ქ. №18-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციისა და, ამავე დროს, №25 საარჩევნო ოლქში წარდგენილ <u>ლევან</u>	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ს. **შსს**, **მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 11 აგვისტოს დაიწყო გამოძიება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დედოფლისწყაროს ოფისის დაზიანების მუხლით (სსკ 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). გამოძიებით დადგენილია, რომ 2016 წლის 11 აგვიტოს დაუდგენელი პირის მიერ ჩამტვრეულ იქნა დედოფლისწყაროში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისის 300 ლარად ღირებული მინები და შეღებილ იქნა კანდიდატ ლევან ბეჟაშვილის ბანერი.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	№01/13496; 12.08.2016	ბეჟაშვილის საარჩევნო შტაბზე განხორციელებულ ძალადობასა და ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისა და განადგურების ფაქტზე. ფაქტის თვითმხილველი პირების განცხადებით, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დეიდაშვილის, ზურაბ გონაშვილის, ხელმძღვანელობით, უშუალოდ მან, ასევე, ზურაბ ხიზანიშვილმა და თანმხლებმა პირებმა დააზიანეს მოქალაქე ნატალია ქადაგიძის საკუთრებაში და სარგებლობის უფლებით განთავსებული პარტიის რაიონული ორგანიზაციისა და საარჩევნო შტაბის ფანჯრები, კედლები, შესასვლელი კარი, ასევე, ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო ბანერი.	გამოძიების მიერ დაკითხულია 18 მოწმე, არცერთი მათგანი დანაშაულის უშუალოდ ჩამდენ პირს არ ასახელებს. ჩატარებულია საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, ბანერის დაზიანებით მიყენებული ზარალი შეადგენს 128 ლარს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ დანაშაულის იარაღებზე/ქვებზე/დანიშნულია ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზა, გრძელდება გამოძიება“.
26	საინფორმაციო სააგენტო „სამხრეთის კარიბჭის“	ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ახალციხისა და	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-სა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	ჟურნალისტი ვარლამ წიკლაური წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 15.08.2016	ადიგენის ოლქში გიორგი კოპაძე ახალციხის მერიის ბიუჯეტით ორგანიზებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა. წერილში მიუთითებენ, რომ აღნიშნული ქმედება წინასაარჩევნო აგიტაციაა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. აინტერესებთ, დასახელებული ქმედება წარმოადგენს თუ არა სამართალდარღვევას და რომელი ორგანოა განცხადების განხილვაზე უფლებამოსილი პირი.	**ცესკო:** „ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ წერილობით განემარტა, რომ შესწავლის შედეგად არ დადგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის მიერ 2016 წლის 14 აგვისტოს გაიმართა გეგმური ღონისძიება „აფხაზეთის ომში დაღუპულთა გახსენება“. აღნიშნული ღონისძიება ქალაქ ახალციხეში 2013 წლიდან ტრადიციულად იმართება. ღონისძიებას სხვა მონაწილეებთან ერთად როგორც აფხაზეთის ომის ვეტერანი (და არა როგორც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ახალციხე-ადიგენის ოლქში) ესწრებოდა ქალაქ ახალციხის ყოფილი მერი გიორგი კოპაძე. შესაბამისად, დამსწრე საზოგადოების წინაშე სხვა ვეტერანებთან ერთად სიტყვით გამოვიდა გიორგი კოპაძეც, რომელმაც გაიხსენა აფხაზეთის ომის მძიმე დღეები და მისი დაღუპული თანამებრძოლები. სიტყვით გამოსვლისას მას არ გაუწევია წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა და არანაირ კონტექსტში არ უსაუბრია არჩევნების შესახებ (მათ შორის, არც საკუთარ კანდიდატურასა და პოლიტიკურ ხედვებზე). ღონისძიება იყო მუნიციპალური, ტრადიციული ხასიათის და არ ემსახურებოდა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის პოპულარიზაციას. მისი მსვლელობისას არც სიტყვით და არც სიმბოლურად რაიმე სახის აგიტაციის ნიშნებს ადგილი არ ჰქონია არც ორგანიზატორის და არც ღონისძიებაში მონაწილე პირთა მხრიდან. ამასთან, რაც შეეხება ღონისძიების წამყვანის მიერ გიორგი კოპაძის სტატუსის არდასახელებასთან დაკავშირებით ინფორმაციას, არასწორად იქნა გაჟღერებული, რადგან ღონისძიების დასაწყისში წამყვანმა დაასახელა მონაწილე პირების სტატუსები. ღონისძიებაზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის ფაქტი არ დადასტურდა“.
27	„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ (№03/038)	წარმოდგენილი ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური	**სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „პოლიტიკური პარტიების მიერ რეკლამის წინასწარი შესყიდვის მარეგულირებელ საკითხებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განიმარტა, რომ რეკლამის შესყიდვასთან დაკავშირებით გენერალური აუდიტორის ახალ სახელმწიფო აუდიტის ბრძანებაში (05.05.2016 წლის №2519/21) შევიდა გარკვეული სახის ცვლილება.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია №01/13789; 17.08.2016	აუდიტორის მიერ 2016 წლის 05 მაისის № 2915/21 ბრძანებით დამტკიცდა პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული ბრძანების მე-10 მუხლი ახლებურად არეგულირებს პოლიტიკური რეკლამირების შესყიდვის წესს და ადგენს, რომ პოლიტიკური რეკლამის შესყიდვა (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, გაზეთი, გარე რეკლამა), განსხვავებით ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული წესისა, უნდა განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორების წესით. მიუთითებენ, რომ აღნიშნული ბრძანება გამოცემულ იქნა 2016 წლის 08 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ და არსებითად აუარესებს ყველა (ან თითქმის) ყველა პოლიტიკური პარტიის მდგომარეობას, რადგან იგი უზღუდავს პარტიებს შესაძლებლობას,	კერძოდ, თუ თავდაპირველ რეგულაციაში (№137/37 ბრძანება, 06.08.2012) მოთხოვნილი იყო მინიმუმ 1 კვირის პერიოდის წინასწარ შესყიდვა, მითითებული ბრძანების ახალ რედაქციაში აღნიშნული ვადა დაფიქსირებული აღარ არის, რაც ნიშნავს, რომ პარტიებს შეუძლიათ, შეისყიდონ ერთი დღის ან, თუნდაც, 1 საათის სარეკლამო მომსახურება. რადგან მნიშვნელოვანია, რომ პარტიებს არ შეექმნათ პრობლემა სარეკლამო ან/და სატელევიზიო კომპანიების მხრიდან, ამიტომ შესაძლებელია, რეკლამის შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდეს რამდენიმე თვის ვადით და პირობებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს გადახდის მოკლე პერიოდები, მაგალითად, 1 კვირა ან 1 დღე. ერთადერთი მოთხოვნა არის, რომ თანხა უნდა იყოს გადახდილი წინასწარ, რეკლამის ტელეეთერით ან სხვა საშუალებით გავრცელებამდე, ამასთან, დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. შესაბამისად, გარდა კონკრეტული პერიოდის წინასწარ გადახდის ვალდებულებისა, სხვა არანაირი მოთხოვნა ან შეზღუდვა არ არსებობს“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საკითხზე გაგზავნილია 3 წერილი და გაკეთებულია 4 საჯარო განმარტება. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საჩივრის განხილვა. მათი მოსაზრებით, რეალური პრობლემა არ არსებობს.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		პოლიტიკური რეკლამის შესყიდვა განახორციელონ მათთვის მოსახერხებელი წესით.	
28	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №811/01 (16.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია №01/13789; 18.08.2016	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის მხრიდან ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მიერ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ გაგზავნილ იქნა ელექტრონული ფოსტით PDF ფაილი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილება** მითითებით, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარებული ღონისძიება „ჯომარდობა“ გაწერილი იყო 2015 წლის ბიუჯეტით და წინასწარ დადგეგმილ	განცხადება რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (V თავი, მუხლი 13) (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016-2019 წლების ძირითადი პრიორიტეტები, პროგრამული კოდი 08.11.08) კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის სამგორის რაიონში გამოყოფილ იქნა 100000 ლარი (წერილზე თანდართული დოკუმენტი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილება; გვერდი 89-90), მიზანი – ეროვნული თუ ადგილობრივი დღესასწაულების ორგანიზება და სხვადასხვა სპორტულ-კულტურული ღონისძიების ჩატარების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების გამართვით მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, ტურნირების, შეჯიბრებების და საუბნო ჩემპიონატების ორგანიზება და სხვა). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ხსენებული მიზნების რეალიზებას ემსახურებოდა სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი სპორტულ-კულტურული და სხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, „ჯომარდობა 2016“, რომელიც დაიგეგმა და განხორციელდა გამგეობისათვის გამოყოფილი ასიგნებების (წლიური გეგმის) ფარგლებში კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და მისი მიმდინარეობისას ადგილი არ ჰქონია საარჩევნო თუ სხვა სახის სამართალდარღვევას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი ღონისძიების დაფინანსების წყაროს არარსებობა და გაუთვალისწინებლობა ან ვერდადგენა არ დადასტურდა.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		ღონისძიებას წარმოადგენდა. როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, ისინი გაეცნენ მიწოდებულ დოკუმენტაციას და ვერ იქნა იდენტიფიცირებული მსგავსი ჩანაწერი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აგზავნიან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილების როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ვერსიას და ითხოვენ, მიუთითონ დადგენილებაში რომელ გვერდზეა გაწერილი სამგორის რაიონის გამგეობის მიერ ჩატარებული ღონისძიება „ჯომარდობა“ და პასუხი აცნობონ წერილობით.	
29	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №818/01 (17.08.2016)	წარმოდგენილი ინფორმაციით, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს წინასაარჩევნო შეხვედრების გამართვას მთელ საქართველოში, მათ შორის, ქალაქ ზუგდიდში. იტყობინებიან, რომ	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს. **შსს:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ სანდრა რულოვსის 2016 წლის 18 და 19 აგვისტოს საარჩევნო შეხვედრებთან დაკავშირებით ქ. ზუგდიდის რაიონში – განმუხურის ბულვარში, სოფელ ორსანტიაში, კახათში, ჯიხაშკარში, რუხსა და კორცხელში – შეხვედრების ადგილებში უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და პროვაკაციული მცდელობების აღკვეთის მიზნით ორიენტირებულ იქნა როგორც დეპარტამენტის, ისე ზუგდიდის რაიონული სამმართველოს პირადი შემადგენლობა,

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია №01/13881; 19.08.2016	ქალბატონი სანდრა რულოვსი ზუგდიდის რაიონში 18 და 19 აგვისტოს მოსახლეობასთან გამართავს წინასაარჩევნო შეხვედრებს. კერძოდ, 18 აგვისტოს: განმუხურის ბულვარში – 17:00 საათზე; ორსანტიაში – 18:30 საათზე; კახათში – 20:00 საათზე. 19 აგვისტოს: ჯიხაშკარში – 17:00 საათზე; რუხში – 18:30 საათზე; კორცხელში – 20:00 საათზე. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განცხადებაში აღნიშნავს, რომ მათთვის ცნობილია შეხვედრების ხელშეშლისა და ჩაშლის შესახებ. ითხოვენ პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა არ მოხდეს ძალადობისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები.	**გამოყოფილ იქნა მოძრავი ჯგუფები, რომლებიც კანდიდატის მოძრაობის მარშრუტების შესაბამისად და შეხვედრების მიმდინარეობის ადგილების მიმდებარე ტერიტორიაზე ახორციელებდნენ სიტუაციის კონტროლს.** გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, 2016 წლის 18 და 19 აგვისტოს ზუგდიდის რეგიონში კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრები **ჩატარდა ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე.** ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიმდინარეობდა და კვლავაც გრძელდება პრევენციული ღონისძიებები (მოძრავი და ქვეითი ჯგუფების მეშვეობით) პოლიტიკური პარტიების ხალხთან შეხვედრის დროს პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით“.
30	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,	<u>1-ლი საკითხი:</u>	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ს. <u>1-ლი საკითხი:</u>

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	განცხადება №814/01 (17.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/13882; 19.08.2016	ქ. გორში 2016 წლის 12 აგვისტოს გარსევანიშვილის ქუჩა №1-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის რაიონული ორგანიზაციისა და, იმავე დროს, №41 და №42 გორის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების – ალექსი გოგლიძის და ბადრი ბასიშვილის – საარჩევნო შტაბზე განხორციელებული ძალადობა ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისა და განადგურების თანხლებით. <u>მე-2 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, 2016 წლის 12 აგვისტოს გვიან ღამით დარბეულ იქნა ქ. ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ოფისი. კერძოდ, პარტიის წევრებს	**შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 12 აგვისტოს დაიწყო გამოიძიება 2016 წლის 10 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის ოფისის მინების დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. დადგენილ იქნა, რომ 2016 წლის 10 აგვისტოს ქ. გორში, გარსევანიშვილის ქ. № 1-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის ორგანიზაციის ოფისში მისულმა ამავე პარტიის ქალაქ გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ალექსი გოგლიძის ძმამ ჩაამტვრია ოფისის გარე ფანჯრების სამი ცალი მინა. ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, მიყენებული ზიანი აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით შეადგენს 129 ლარს და 92 თეთრს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს ექსპერტიზის დასკვნის ირგვლივ რაიმე პრეტენზია არ გააჩნიათ, ითხოვენ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. გამომდინარე იქიდან, რომ ზიანი 150 ლარს ზევით არ იყო, 2016 წლის 26 სექტემბერს საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო“. <u>მე-2 საკითხი:</u> **შსს, მთავარი პროკურატურა:** „მიმდინარეობს გამოძიება ქ. ზუგდიდში, მეუნარგიას ქუჩა №12-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით“. საქმეზე დაკითხულია მოწმეები; დანიშნულია ტრასოლოგიური და საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზები (საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზის დასკვნის პასუხი არ არის მიღებული). ტრასოლოგიური ექსპერტიზით დადგინდა, რომ დაზიანება დამახასიათებელია რბილი საფარის მქონე სხეულის ურთიერთქმედებისთვის და გამოწვეულია ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		ოფისის ცენტრალური შესასვლელი გატეხილი დახვდათ, ადგილზე განთავსებული კომპიუტერები ჩართულ მდგომარეობაში, საიდანაც ამოღებულია დოკუმენტები და მონაცემები.	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქ. ზუგდიდის შტაბის ხელმძღვანელ თეიმურაზ ბასილაიას განმარტებით, დაზიანების შედეგად მათი პარტიის ქ. ზუგდიდის ოფისს მიადგა 1000 ლარის ზიანი. საქმეზე გრძელდება გამოძიება“.
31	„სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო“ , მამუკა ტუსკაძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 22.08.2016	წერილის თანახმად, 2016 წლის 21 აგვისტოს დმანისის საარჩევნო ოლქში არსებულ პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ადგილობრივ შტაბში შეიჭრნენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი მკვიდრები და ერთ-ერთი სოფლის რწმუნებული, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ადგილობრივებს და სცემეს მაჟორიტარობის კანდიდატს (ბაირამოვი) და შტაბის წევრ ეკა ბერიანს, რომლებიც შემდგომ საავადმყოფში იქნენ გადაყვანილი და გაეწიათ პირველადი დახმარება. ინფორმაციის მიხედვით, საპატრულო პოლიციის გამოძახების შემდგომ დაიწყო საქმის დაიწყო	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა პროკურატურასა და შსს-ს. **შსს:** „2016 წლის 21 აგვისტოს შემოსული შეტყობინების საფუძველზე, შსს დმანისის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე დაკითხულ იქნენ მოწმეები, დანიშნულ იქნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა პროკურატურას“. **მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 21 აგვისტოს დმანისის შს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნამიგ ბაირამოვისა და ამავე პარტიის წევრ ეკა ბერიანის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, საქართველოს სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებით დადგენილია, რომ 2016 წლის 21 აგვისტოს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოფისში იმყოფებოდნენ ამ პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნამიგ ბაირამოვი და თანამშრომლები. ამ დროს ოფისში შევიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სამი პიროვნება, მათ შორის, ზურაბ ოქრიაშვილი (დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სპეციალისტი). ოფისში ზურაბ ოქრიაშვილსა და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს შორის მოხდა შელაპარაკება, რაც გაგრძელდა ოფისის გარეთაც. ამ დროს ზურაბ ოქრიაშვილმა ნამიგ ბაირამოვს მუშტი დაარტყა თავში, რის შედეგადაც ნამიგ ბაირამოვმა განიცადა ფიზიკური ტკივილი, ხოლო გასაშველებლად მისულ ეკა ბერიანს გადაუტრიალა მარჯვენა მკლავი და ყურთან გაარტყა ხელი, რამაც, ასევე, ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. 2016 წლის 14 სექტემბერს ზურაბ ოქრიაშვილს წარედგინა ბრალდება ნამიგ ბაირამოვის მიმართ განხორციელებული სხვაგვარი ძალადობისა და ეკა ბერიანის ცემის ფაქტებზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი).

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		გამოძიება სსკ 125-ე მუხლით, თუმცა, ამ დრომდე ვერ მოხერხდა იდენტიფიცირებული პირების დაკავება/დაკითხვა.	აღკვეთის ღონისძიების სახით ზურაბ ოქრიაშვილს შეეფარდა გირაო. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.
32	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №838/01 (19.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/13972; 22.08.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქ. ახალციხეში 2016 წლის 14 აგვისტოს ახალციხის მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით და დაფინანსებით გამართული ღონისძიების თაობაზე, რომელიც მიძღვნილი იყო აფხაზეთის ომის დაწყებიდან 24 წლისთავისადმი. ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გარდა ესწრებოდა პარტია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ახალციხე-ადიგენის ოლქში გიორგი კოპაძე, რომელმაც	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ცესკო-ს, შსს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. <u>1-ლი საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის მიერ 2016 წლის 14 აგვისტოს გაიმართა გეგმური ღონისძიება „აფხაზეთის ომში დაღუპულთა გახსენება“. აღნიშნული ღონისძიება ქალაქ ახალციხეში 2013 წლიდან ტრადიციულად იმართება. ღონისძიებას სხვა მონაწილეებთან ერთად როგორც აფხაზეთის ომის ვეტერანი (და არა როგორც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ახალციხე-ადიგენის ოლქში) ესწრებოდა ქალაქ ახალციხის ყოფილი მერი გიორგი კოპაძე. შესაბამისად, დამსწრე საზოგადოების წინაშე სხვა ვეტერანებთან ერთად სიტყვით გამოვიდა გიორგი კოპაძეც, რომელმაც გაიხსენა აფხაზეთის ომის მძიმე დღეები და მისი დაღუპული თანამებრძოლები. სიტყვით გამოსვლისას მას არ გაუწევია წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა და არანაირ კონტექსტში არ უსაუბრია არჩევნების შესახებ (მათ შორის, არც საკუთარ კანდიდატურასა და პოლიტიკურ ხედვებზე). ღონისძიება იყო მუნიციპალური, ტრადიციული ხასიათის და არ ემსახურებოდა რომელიმე საარჩევნო სუბიექტის პოპულარიზაციას, მისი მსვლელობისას არც სიტყვით და არც სიმბოლურად რაიმე სახის აგიტაციის ნიშნებს ადგილი არ ჰქონია არც ორგანიზატორის და არც მასში მონაწილე პირთა მხრიდან. ამასთან, რაც შეეხება ღონისძიების წამყვანის მიერ გიორგი კოპაძის სტატუსის არდასახელებასთან დაკავშირებით ინფორმაციას, არასწორად იქნა გაჟღერებული, რადგან ღონისძიების დასაწყისში წამყვანმა დაასახელა მონაწილე პირების სტატუსები.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა, ისაუბრა თავის კანდიდატურაზე, პოლიტიკურ ხედვებზე, მოწინააღმდეგე კანდიდატზე და გასცა დაპირებები. წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება ეწინააღმდგება „საქართველოს საარჩევნო კოდექსისი“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტს. ქ. ახალციხეში სისტემურ ხასიათს ატარებს ადმინისტრაციული შენობებისა და რესურსების გამოყენება, მაგალითისთვის მოყვანილი აქვს 2016 წლის 6 აგვისტოს, 11:00 საათზე, ახალციხის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე, საკონფერენციო დარბაზში, პარტია „ქართული ოცნების“ აქტივისტების შეკრების ფაქტი. შეხვედრას ესწრებოდნენ ახალციხის მერი გიორგი კოპაძე, მისი წარმომადგენელი დავით სამსონიძე, მერიის	ღონისძიებაზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის ფაქტი არ დადასტურდა. 6 აგვისტოს ახალციხის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა რიგითი თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ესწრებოდნენ გამგეობის თანამშრომლები (მათ შორის, გამგებლის წარმომადგენლები და სხვა საჯარო მოსამსახურეები). თათბირზე განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება/მიმდინარეობა, მოსავლის (მათ შორის, ხორბლის, ქერის) აღება, კომბაინ(ებ)ის მობილიზება და მუნიციპალიტეტისთვის კანონით მიკუთვნებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე სხვა საკითხები. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრაზე (თათბირზე) არანაირ პარტიულ ან საარჩევნო საკითხებზე საუბარი არ ყოფილა და არც „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან შეხვედრას ჰქონია ადგილი. **ცესკო:** „აღნიშნული საკითხი შეისწავლა № 37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. თავმჯდომარის 21 აგვისტოს № 153 წერილით გაგზავნილია წერილობითი პასუხი“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი გიორგი გვარამაძე, მერიისა და ახალციხის გამგეობის სხვა თანამშრომლები. <u>მე-2 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში 2016 წლის 16 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს რაიონის №5 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, სევდია უგრეხელიძის, საარჩევნო შტაბის ფასადზე განთავსებული ბანერისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის ამსახველი ფოტოსურათის დაზიანებისა და განადგურების ფაქტიის შესახებ. წერილის ავტორი თვლის, რომ აღნიშნული ქმედება შეიცავს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.	<u>მე-2 საკითხი:</u> **შსს:** „2016 წლის 22 აგვისტოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ხელმძღვანელობას ეცნობა, რომ უწყებათაშორის შეხვედრაზე გაჟღერდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისში, ბალანჩივაძის 2/1-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ბანერზე საღებავით შესრულებული იყო შეურაცხმყოფელი ნახატი, რის შემდეგაც ვაკე-საბურთალოს მეხუთე განყოფილების თანამშრომელი დაუკავშირდა პარტიის ლიდერ სევდია უგრეხელიძეს. მისი განმარტებით, 22 აგვისტოს მდგომარეობით ბანერი გამოცვლილია. ზემოხსენებულ ფაქტზე შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს V განყოფილებაში გამოძიება დაიწყო სსკ 187-ე მუხლის I ნაწილით. ჩატარებულ იქნა რიგი საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, გამოკითხულ იქნენ შტაბის ხელმძღვანელი მ.ა., შტაბის „კარდაკარის“ კოორდინატორი თ.ს. და საარჩევნო შტაბის უფროსი ა.კ., რომელმაც გამოკითხვის შემდგომ წარმოადგინა დამოუკიდებელი აუდიტორის დასვნა, რომლის მიხედვითაც, ბანერების დაზიანებით მიყენებული ზარალის ოდენობა განსაზღვრულ იქნა 1080 ლარით. ამასთან, დადგენილი წესით ამოღებულ იქნა შტაბის დაზიანებული ბანერები, რომლებზეც დაუყოვნებლივ დაინიშნა კომპლექსური ტრასოლოგიური, ქიმიური და საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა. 28.09.2016 წლის დასკვნით, ტრასოლოგიურ ნაწილში განისაზღვრა, რომ ბანერების კიდეებზე მიყენებული დაზიანებები მჭრელი თვისებების საგნის ზემოქმედებით იქნა მიყენებული. ქიმიურ ნაწილში განისაზღვრა, რომ ბანერებზე ასახული შავი ფერის საღებავისმაგვარი კვალი დატოვებული იყო აკრილურ ფუძეზე დამზადებული საღებავით, ხოლო სასაქონლო ექსპერტიზის ნაწილში განსაზღვრულია, რომ სევდია უგრეხელიძის გამოსახულებით ბანერის დაზიანებით მიყენებული ზარალის ოდენობა ჯამში შეადგენს 127,60 ლარს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლოგოთი გამოსახული ბანერის დაზიანებით მიყენებული ზარალი შეადგენს 92,00 ლარს. ამჟამად დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენის მიზნით ტარდება აქტიური ღონისძიებები“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		<u>მე-3 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში აჭარის დეპარტამენტის განყოფილების უფროს მამუკა მსხალაძის მიერ სამუშაო საათებში წინასაარჩევნო შეხვედრებსა და აგიტაციებში მონაწილეობის მიღების ფაქტის შესახებ. კერძოდ, 2016 წლის 12 აგვისტოს მამუკა მსხალაძე იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ ხელვაჩაურის შტაბის ოფისში.	<u>მე-3 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „მამუკა მსხალაძე განცხადებაში მითითებულ დღეს იმყოფებოდა პარტიული ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა ოფისში. კერძოდ, ის იმყოფებოდა ოფისის გარეთ, რა დროსაც მის მიერ არანაირ პარტიულ ან საარჩევნო საქმიანობას და ამგვარი საქმიანობის გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია. განცხადებაში დასახელებული პირის მიერ საარჩევნო შტაბის ოფისში ყოფნა და მის მიერ პარტიული საქმიანობა სამუშაო საათებში არ დადასტურდა“.
		<u>მე-4 საკითხი:</u> წერილში საუბარია ხელვაჩაურის რესურსცენტრის თანამშრომელ მერაბ ვარშალომიძეზეც, რომელიც სამუშაო საათებში იმყოფებოდა „ეროვნული ფორუმის“ ხელვაჩაურის რაიონის ოფისში და ეწეოდა პარტიულ საქმიანობას.	<u>მე-4 საკითხი:</u> **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ – ხელვაჩაურის რესურსცენტრმა, დაიწყო დისციპლინური წარმოება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პირი არ იყო ჩაბმული პარტიულ საქმიანობაში. იგი „ეროვნული ფორუმის“ ხელვაჩაურის რაიონის ოფისში მხოლოდ იმის სათქმელად მივიდა, რომ უარი ეთქვა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობაზე“. **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში მოყვანილი საკითხები შესწავლილ იქნა ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“ (იხ.: https://sachivrebi.cec.gov.ge/i№ fo.php?id=3826)

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
33	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №837/01 (19.08.2016)	წერილში საუბარია შპს „საქართველოს ფოსტის“ თაობაზე, რომელმაც უარი განაცხადა წერილების გადაზიდვაზე. კერძოდ, 2016 წლის 10 აგვისტოს შპს „საქართველოს ფოსტა“ არ გამოცხადდა ხელშეკრულებით მითითებულ დროსა და ადგილას, მიუხედავად განხორციელებული სატელეფონო საუბრისა. აღნიშნული ქმედებებით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ, ვადამოსული წერილები ვერ იქნა გაგზავნილი ადრესატამდე და მათი მოთხოვნები ვერ იქნა დაყენებული შესაბამის ორგანოებში.	გთხოვთ, იხილოთ ცხრილში №20 საკითხის გადაწყვეტილება.
34	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №870/01 (22.08.2016)	<u>1-ლი საკითხი:</u> წერილში საუბარია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და ცესკო-ს. <u>1-ლი საკითხი:</u> **ცესკო:** გთხოვთ, იხილოთ ცხრილში №20 საკითხის გადაწყვეტილება.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/14002; 22.08.2016	დაგზავნილი დირექტივების შესახებ. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აღნიშნული დირექტივები მიაჩნია უკანონოდ და თვლის, რომ იგი კომისიის წევრებს დაეგზავნათ იმ მიზნით, რომ მთლიანად შეეზღუდოთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, აეკრძალოთ დამკვირვებლებს საარჩევნო პროცესზე დაკვირვება. ეს დირექტივები მიმართულია პირდაპირ, რათა ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა წევრებმა და წარმომადგენლებმა არ განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებები. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს ანულირებულად გამოცხადდეს ცესკო-ს მიერ საოლქო-საარჩევნო კომისიებისათვის გადაგზავნილი ინსტრუქცია.	

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		<u>მე-2 საკითხი:</u> წერილში, ასევე, საუბარია საქართველოში ლიცენზირებული საზოგა დოებრივი მაუწყებლების მიერ გადასახედების გადამხდელების ფულით პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რეკლამირებაზე ინფრასტრ უქტურის შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. აღნიშნულ სატელევიზიო კლიპში საუბარია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სამთავრობო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამუშაოების დემონსტრირებაზე, რაც, წერილის ავტორის აზრით, არ თავსდება „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის კანონით დადგენილ ჩარჩოებში და იღებს პარტია „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერი წინასაარჩევნო სააგიტაციო რეკლამის სახეს.	<u>მე-2 საკითხი:</u> **კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების საფუძველზე შეისწავლეს ტელეკომპანიების – შპს ,,სტუდია მაესტროს", შპს ,,ტელეიმედის", შპს ,,ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს ,,სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის – ბადეში ქ. თბილისში, პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენის საკითხზე განთავსებული სარეკლამო რგოლი. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სარეკლამო რგოლი წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავდა და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ,,ქართული ოცნების“ ინფრასტრუქტურული პროექტების საარჩევნო კამპანიას წარმოადგენდა, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. წერილის ავტორის თქმით, კომისიამ საკითხის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ აღნიშნული ვიდეორგოლი ტელეკომპანიების ბადეში თბილისის მერიის დაკვეთით, სარეკლამო კომპანიების მეშვეობით, ფასიანი რეკლამის სტატუსით იყო განთავსებული. მასში ნაჩვენები არ იყო არც საარჩევნო სუბიექტი და არც საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილების რიგითი ნომერი, არ განხორციელებულა არცერთი საარჩევნო სუბიექტის იდენტიფიცირება, ისევე, როგორც რომელიმე პოლიტიკური პარტიის სიმბოლიკის წარმოჩენა. შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული სარეკლამო რგოლი არ წარმოადგენდა პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას. ზემოაღნიშნული ვიდეორგოლით გავრცელებული ინფორმაცია, რომლითაც მოსახლეობას მიეწოდებოდა თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ორმხრივი მოძრაობის აღდგენის შესახებ ინფორმაცია, კომისიის შეფასებით, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იყო. კომისიამ მიიჩნია, რომ მაუწყებლების მხრიდან ადგილი არ ჰქონდა ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
35	ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ №გ-01/245-16 წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 23.08.2016	მიმდინარე წლის 8 აგვისტოს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, წერილში საუბარია პრემიერის განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც, „ქართული ოცნება“ მუშაობს სპეციალურად პენსიონერებზე გათვლილ ახალ პროგრამაზე - „ცხოვრება გრძელდება“. განმცხადებლის აზრით, სავარაუდოდ, სახეზეა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნები. აქვე მოყვანილია შემდეგი მაგალითები: <u>1-ლი საკითხი:</u> 2016 წლის 11 აგვისტოს ბორჯომში წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს „ლეიბორისტული პარტიის „ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი გიუაშვილზე განხორციელებული	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს, ცესკო-ს, ჯანდაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. <u>1-ლი საკითხი:</u> **შსს:** „ბორჯომის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება ქ. ბორჯომში, თორის ქუჩაზე, გიორგი გიუაშვილის ცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის დაწყებას საფუძვლად დაედო მოქ. გიორგი გიუაშვილის განცხადება. საქმეზე გამოკითხულ იქნა განმცხადებელი, „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გიორგი გიუაშვილი, ასევე, ბორჯომის საკრებულოს წევრები და სხვა პირები. საქმეზე დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი. გიორგი გიუაშვილის მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. გიორგი გიუაშვილის მიმართ დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, მობილური ტელეფონის საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმადაც, ტელეფონისათვის მიყენებული დაზიანებებით მის მეპატრონეს მიადგა 45 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი. მიმდინარეობს გამოძიება“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		შესაძლო თავდასხმის (ცემის) თაობაზე. <u>მე-2 საკითხი:</u> 2016 წლის 11 აგვისოტს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციისა და, ამავე დროს, №25 საარჩევნო ოლქში წარდგენილ ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო შტაბზე განხორციელებულ შესაძლო ძალადობასა და ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისა და განადგურების ფაქტზე; <u>მე-3 საკითხი:</u> 2016 წლის 12 აგვისტოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ოფისი ცენტრალური შესასვლელი კარის გა ტეხვის თაობაზე.	<u>მე-2 საკითხი:</u> **შსს:** „2016 წლის 11 აგვისტოს შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლის I ნაწილით. **შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულ იქნა გამოსაკვლევი ობიექტები. დაინიშნა გენეტიკური ექსპერტიზა.** დათვალიერებით დადგენილ იქნა, რომ ქვების და საღებავის საშუალებით დაზიანებული იყო ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩა № 18-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის შესასვლელი კარის ორი შუშა და გარე კედელზე განთავსებული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო ბანერი. დაინიშნა საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა მიყენებული ქონებრივი ზიანის განსაზღვრის მიზნით. მოწმის სახით გამოიკითხა 11 პირი. გამოძიების ამ ეტაპზე არ არის დადგენილი დამნაშავე პირი და დადგენის მიზნით მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები. საქმეზე გრძელდება გამოძიება“. <u>მე-3 საკითხი:</u> **შსს:** „იხ. ცხრილის 30-ე საკითხის მე-2 პუნქტის გადაწყვეტილება“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		<u>მე-4 საკითხი:</u> მიმდინარე წლის 16, 18, 19 აგვისტოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლევან გოგელაშვილი სოციალური ქსელის (facebook) საშუალებით, სამუშაო დროის განმავლობაში, სავარაუდოდ, ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას. კერძოდ, მან განათავსა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი ინფორმაცია.	<u>მე-4 საკითხი:</u> **ცესკო:** „მიმდინარე წლის 16, 18, 19 აგვისტოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ლევან გოგელაშვილი სოციალური ქსელის (Facebook) საშუალებით, სამუშაო დროის განმავლობაში, სავარაუდოდ, ეწეოდა წინასაარჩევნო აგიტაციას. კერძოდ, მან განათავსა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი ინფორმაცია. აღნიშნული საკითხი შეისწავლა №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“.
		<u>მე-5 საკითხი:</u> ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ გაზეთ „ტყიბულის“ ივლისის ნომერში გამოქვეყნდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ	<u>მე-5 საკითხი:</u> **კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განიხილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2016 წლის 26 აგვისტოს განცხადება, რომელიც ეხებოდა გაზეთ „ტყიბულის“ მიერ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის დარღვევის ფაქტს. მიღებული ინფორმაციით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილ პირთა მიერ 2016 წლის 31 აგვისტოს გაზეთ „ტყიბულის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ზემოაღნიშნულ საკითხს განიხილავს ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		ელგუჯა გოცირიძის სააგიტაციო წერილი და სტატია. არცერთ შემთხვევაში, სტატიისა და სააგიტაციო წერილის სათაურამდე არ იყო წარწერა „უფასო პოლიტიკური რეკლამა“ ან „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი წესების დარღვევას.	
		<u>მე-6 საკითხი:</u>	<u>მე-6 საკითხი:</u>
		მიმდინარე წლის 2 აგვისტოს გაზეთ „გურიის მოამბეში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესაში საბავშვო ბაღის მშენებლობა გარკვეულ პერიოდში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დროშის ფონზე მიმდინარეობდა. სტატიაში აღნიშნულია, რომ საბავშვო ბაღის მშენებლობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა	**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან მიღებული ინფორმაციით, საბავშვო ბაღის ძველ შენობაზე მართლაც იყო აღმართული ,,ქართული ოცნების“ დროშა, ხოლო ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, აღნიშნული ძველი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, დადგენილი არ არის და ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა, თუ კონკრეტულად ვინ განათავსა ადგილზე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლო. რეაგირების სახით, ვინაიდან სააგიტაციო მასალის განთავსება დაუყოვნებლივ არ იქნა აღკვეთილი საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის“ ხელმძღვანელისადმი გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - გაფრთხილება. თავის მხრივ, ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციამ ზონის უფროსს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ასევე, იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა ზემოაღნიშნულის თაობაზე დროულად არ იყო ინფორმირებული, კიდევ ორი პირის, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის და აღნიშნულ მშენებლობაზე მუნიციპალიტეტის მიერ

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ იყო დაფინანსებული. <u>მე-7 საკითხი:</u> მიმდინარე წლის 26 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქალაქ ოზურგეთში პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი არჩილ თალაკვაძე წარადგინა. ღონისძიებას ესწრებოდნენ გურიის სხვადასხვა სოფლიდან ჩასული მხარდამჭერები. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოფელ ნიგოითიდან, ამავე სოფლის საკრებულოს დეპუტატის თხოვნითა და სოფელ ქვიანის სკოლის დირექტორის თანხმობით, მხარდამჭერების	გამოყოფილი საჯარო მოსამსახურის - ზედამხედველის, მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - გაფრთხილება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა გამოხატავს მზადყოფნას, მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა შემდგომში მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით. <u>მე-7 საკითხი:</u> **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის № 302 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სსიპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლის“ მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სარგებლობის უფლებით გადაეცა სკოლის ბალანსზე არსებული ავტობუსი სოფლის მოსახლეობის ტრანსპორტირების მიზნით. რაც შეეხება ავტოსაგზაო შემთხვევას, ამის თაობაზე შესაბამის ორგანოებში ინფორმაცია არ დაფიქსირებულა. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად არ იკვეთება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		ტრანსპორტირება განხორციელდა სოფელ ქვიანის სკოლის ავტობუსის საშუალებით.	
36	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №925/01 (24.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/14203; 24.08.2016	წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ საკონკურსო საბუთების შეტანას კონკურსანტთა ნაცვლად უშუალოდ კრებსითი სახით ახორციელებდნენ პარტია „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციები. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან წინასწარ გადაცემულ იქნა იმ კონკურსანტთა სიები, რომელთათვისაც უნდა მიეცათ ხმები საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს. ხსენებულ პროცესებს ადგილზე ხელმძღვანელობდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები, კომისიის მდივნები და პარტია „ქართული ოცნებიდან“ დანიშნული	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „წარმოდგენილ განცხადებებში ზოგადი საუბარი იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ კონკურსზე საქართველოს მასშტაბით. ამასთან, განცხადებებში მოთხოვნასთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმათა დარღვევის შესახებ არ იყო მითითებული. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებში და კოდექსითვე დადგენილი უფლებამოსილი პირების მიერ. განმცხადებელს გაეცა შესაბამისი წერილობითი პასუხი“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		საოლქო კომისიის დროებითი წევრები.	
37	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №924/01 (24.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/14202; 24.08.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> 2016 წლის 23 აგვისტოს ფოთში ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატ ბექა ბასილაიას მომხრეებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების დაშინებისა და შევიწროების მიზნით სრულიად უსაფუძვლოდ დაკავებულ იქნენ ახალგაზრდული მოძრაობის ლიდერი კ. მ. და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები ა.ა. და მ. ლ.. აღნიშნულ პირებს არ მიეცათ ადვოკატთან შეხვედრის საშუალება. ეს პირები წაიყვანეს სენაკის პოლიციაში ნარკოლოგიური შემოწმების მიზნით. მათ არ	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მთავარ პროკურატურას, შსს-ს, ცესკო-სა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. 1-<u>ლი საკითხი:</u> **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია. ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 06 სექტემბერს საჩივრის საფუძველზე დაიწყო წინასაგამოძიებო შემოწმება. გამოკითხულ იქნა მ.ლ., ა.ა. და კ.მ. გამოკითხვებს ესწრებოდა ადვოკატი. მ.ლ. მიიჩნევს, რომ უკანონოდ მოხდა მისი დაკავება და მოტყუებით წაიყვანეს პოლიციაში, 5 წუთის ნაცვლად, პოლიციაში და ნარკოლოგიურში მოუხდა 13 საათს ყოფნა, ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. პრეტენზია აქვს დაკავებასთან დაკავშირებით. ა.ა. პრეტენზიას გამოთქვამს - კერძოდ, ისე მიიყვანეს პოლიციის შენობაში, რომ მისთვის არ იყო ცნობილი, რატომ მიჰყავდათ. ამასთან, დაკავების ოქმი შეუდგინეს მოგვიანებით. მისი სურვილია, მსგავსი ფაქტი არ განმეორდეს და თავიდანვე ყველასთვის იყოს ცნობილი, თუ რატომ მიჰყავთ პოლიციაში. კ.მ.-ის განმარტებით, ნარკოლოგიურში გადაყვანისას არანაირი სახის დოკუმენტი არ შეუდგენიათ, შემოწმებამდე და შემოწმების შემდეგ ალოდინეს და შემოწმების დასკვნაც არ გადასცეს. სამივე მათგანი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მათ მიმართ ადგილი არ ჰქონია მუქარას, ზეწოლას და შანტაჟს, მათთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არავის მიუყენებია. მოცემულ საქმეზე გამოიკითხნენ პოლიციის თანამშრომლები. მათ განაცხადეს, რომ ა.ა. და მ.ლ. ნებაყოფლობით გადაიყვანეს ნარკოლოგიურ კაბინეტში შემოწმებაზე, რის გამოც არ შეადგინეს დაკავების ოქმები, ხოლო როდესაც ადვოკატ ბექა ბასილიას რჩევით შემოწმებაზე

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		დაუდგინდათ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი, მაგრამ უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული და თითქმის 8 საათის განმავლობაში არ შედგენილა დაკავების ოქმი. ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების გადაადგილებას მონიტორინგს უწევს ფოთის რაიონული სამმართველოსა და ადგილობრივი სუს-ის წარმომადგენლები. აჩერებენ უკანონოდ და გადაჰყავთ უსაფუძვლოდ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. <u>მე-2 საკითხი:</u> ქედასა და სამტრედიაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით: „ქართული ოცნების“ ქედის ოფისში იმყოფებოდნენ სუს-ის ზემო აჭარის უფროსი ემზარ ჩოლოქვაძე და ქედის პოლიციის მაღალჩინოსნები. სამტრედიაში „ქართული ოცნების“ ოფისში იმყოფებოდა სუს-ის	წარდგენილმა პირებმა უარი განაცხადეს ბიომასალის ჩაბარებაზე, დააკავეს ადმინისტრაციული წესით და 12-საათიანი ვადის გასვლის შემდეგ გაათავისუფლეს. შსს ფოთის საქალაქო სამმართველოდან გამოთხოვილი ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალებით ირკვევა, რომ ა.ა. და მ.ლ. ნებაყოფლობით აცხადებენ თანხმობას ნარკოლოგიურ კაბინეტში შემოწმებაზე. მასალებშია ადმინისტრაციული დაკავებისა და გათავისუფლების ოქმები, რაზეც დაკავებული და ადვოკატი ხელს არ აწერენ, და ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნები, რომელთა თანახმადაც, ა.ა და მ.ლ კლინიკურად არ დაუდგინდათ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი, ხოლო ბიომასალა არ/ვერ ჩააბარეს. საპატრული პოლიციიდან მიღებული მასალებით, კ.მ. არ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი, ხოლო ა.რ. დაუდგინდა ტეტრაჰიდროკანაბინოლის (მარიხუანას) მოხმარების ფაქტი, რისთვისაც დაედო ადმინისტრაციული სახდელი 500 ლარის ოდენობით“. <u>მე-2 საკითხი:</u> **ცესკო:** „საკითხი შეისწავლა ქედის და სამტრედიის ოლქის თავმჯდომარეებმა. არ დადასტურდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შეადგინეს ოქმები“.

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		თანამშრომელი მიხეილ მარგველიანი. მითითებულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში სამართალდამცავი ორგანოებია მობილიზებული და ისინი მონაწილეობენ წინასაარჩევნო აგიტაციაში, იღებენ დავალებებს „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან. <u>მე-3 საკითხი:</u> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაცია საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ფართში, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მიზანმიმართულად ხდება ამ ფართის გამოთავისუფლების მოთხოვნა ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, უსაფუძვლოდ.	<u>მე-3 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ხელშეკრულებით (მუხლი 3.2) გათვალისწინებული იყო დათქმა ხელშეკრულების მომდევნო 2 წლის ვადით ავტომატურად გაგრძელების თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე წერილობით უარს არ განაცხადებენ მის გაგრძელებაზე. მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის ამგვარ (ავტომატურ) გაგრძელებას 2014 წელს უკვე ჰქონდა ადგილი, რომლის სახელშეკრულებო ვადა, თავის მხრივ, განსაზღვრული იყო 2016 წლის 2 აგვისტომდე. 2016 წლის 16 ივნისს №978 წერილით ,,ერთიან ნაციონალური მოძრაობას“ ეცნობა მუნიციპალიტეტის პოზიციის თაობაზე ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რომლითაც მხარეს განემარტა, რომ გამგეობას აღარ სურდა 2016 წლის 02 აგვისტოს შემდეგ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს შორის 2012 წლის 02 აგვისტოს დადებული საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. წერილი ჩაბარდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს (კანცელარიის თანამშრომელს) 2016 წლის 27 ივნისს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სობჩაკის ქ. №3. მიუხედავად ამისა, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2016 წლის 06 ივლისს კვლავ

№	შეტყობინების ავტორი/ თარიღი	შეტყობინების შინაარსი	გადაწყვეტილება
		ითხოვენ, ადეკვატურ რეაგირებას, ითხოვენ შუალედური და შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგების შესახებ ეცნობოთ შემჭიდროებულ ვადაში.	იქნა ჩარიცხული აგვისტოს იჯარის თანხა, რომელიც (შესრულება), თავის მხრივ, არ იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის მიერ, რის შესახებაც (თანხის უკან დაბრუნების თაობაზე) ეცნობა როგორც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აღმასრულებელ მდივანს, ისე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსს. მუნიციპალიტეტის პოზიცია სახელშეკრულებო ურთიერთობის თაობაზე მხარეს განმეორებით ეცნობა 2016 წლის 08 ივლისს. ამასთან, პოზიცია ეცნობა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლაგოდეხის ორგანიზაციის თავმჯდომარესაც, რომელსაც ეთხოვა შესაბამისი ზომების მიღება ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით. აგრეთვე, 2016 წლის 02 აგვისტოს წერილობით ეთხოვა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ როგორც სათავო, ისე რაიონულ ორგანიზაციას, მოეხდინათ ქონების დროულად გადაბარება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (თუმცა, უშედეგოდ). ამასთან, ვინაიდან ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ქ. ლაგოდეხში წმ. ნინოს ქუჩაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების (კინოთეატრ „სინემას“ 128,2 კვ. მ) ნებაყოფლობით დატოვებას არ აპირებს, მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა, მიემართა სასამართლოსთვის. მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი სარჩელი ,,უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე“ გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულია წარმოებაში, ასევე, მხარეს გადაგზავნილი და ჩაბარებული აქვს მუნიციპალიტეტის სარჩელი. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით/პირობებით. ამდენად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების ან სხვა სახის (მათ შორის, წინასაარჩევნო კანონმდებლობის) დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა“.

38	„რესპუბლიკური პარტია“ იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/14221; 24.08.2016	წერილიში საუბარია 2016 წლის 24 აგვისტოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაგეგმილ რიგი პოლიტიკური პარტიებისათვის საარჩევნო ნომრების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ საარჩევნო კომისიის განზრახვა - საარჩევნო სუბიექტებს რიგითი ნომერი მიანიჭოს გასული თვითმმართველობის არჩევნებისათვის მინიჭებული რიგითი ნომრების მიხედვით, კანონსაწინააღმდეგოა და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა საარჩევნო სუბიექტებს.	რეაგირებისათვის გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „ცესკოს დადგენილება გასაჩივრებულ იქნა ორივე ინსტანციაში და არ დაკმაყოფილდა „რესპუბლიკური პარტიის“ მოთხოვნა. აქტი დარჩა ძალაში“.
39	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №857/01 (20.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია	წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ საკონკურსო საბუთების შეტანას კონკურსანტთა ნაცვლად უშუალოდ კრებსითი სახით ახორციელებდნენ პარტია „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციები. საოლქო	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მირ წარმოდგენილ განცხადებებში ზოგადი საუბარი იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ კონკურსზე საქართველოს მასშტაბით. ამასთან, განცხადებებში მოთხოვნასთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმათა დარღვევის შესახებ არ იყო მითითებული. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებში და კოდექსითვე დადგენილი უფლებამოსილი პირების მიერ“.

	№ 01/14202; 25.08.2016	საარჩევნო კომისიის სხდომის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე უკვე წინასწარ იყო ცნობილი, თუ რომელი პირები უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი. მაგალითისათვის მოყვანილია სიღნაღის №13 საოლქო საარჩევნო კომისია, სადაც სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე არსებობდა იმ პირთა სიები, რომლებიც უნდა აერჩიათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების თანამდებობაზე. ასარჩევი პირები წინასწარ შეთანხმებული იყო წევრებისათვის პარტია „ქართული ოცნების“ სიღნაღის რაიონულ ორგანიზაციასთან და ხელისუფლების გავლენით აიძულეს, მათთვის მიეცათ ხმა. ანალოგიური ფაქტის განხორციელების შემთხვევა დასახელებულია სიღნაღი-დედოფლისწყაროს №25 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში. კომისიის სხდომაზე საარჩევნო კომისიის წევრებად	

		დასახელდნენ ის პირები, რომლებიც წინასწარ შედგენილ სიებში იყვნენ. წინასწარ შედგენილი სიების შედგენას ასახელებენ ქობულეთისა და სენაკის №64 საოლქო საარჩევნო კომისიაში.	
40	ბექა ბასილაია - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის წევრების - ალეკო ადამიასა და მიხეილ ლუხავას - ადვოკატი იუსტიციის სამინისტროს კანცელარია №01/14460; 26.08.2016	განმცხადებლის ინფორმაციით, 2016 წლის 23 აგვისტოს, გამთენიისას, დაკავებულ იქნა ახალგაზრდული ფრთის ლიდერი კონსტანტინე მესხი, რომელსაც ჩამოერთვა ტელეფონი და არ მიეცა ახლობლებსა და ადვოკატთან დარეკვის შესაძლებლობა. მისი დაკავებისას არ შედგენილა დაკავების ოქმი, მას არ განემარტა მისი უფლებები. კონსტანტინე მესხზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული თავდასხმიდან რამდენიმე საათში (10:00-დან 11:00 საათამდე) პერიოდში ქალაქ ფოთში შსს-ს ფოთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებულ	**შსს, მთავარი პროკურატურა:** გთხოვთ, იხილოთ ცხრილში №37 (I) საკითხის გადაწყვეტილება.

		იქნა მიხეილ ლუხავა, რომელსაც, ასევე, არ განუმარტეს მისი უფლებები, არ შედგენილა დაკავების ოქმი, ჩამოერთვა ტელეფონი და არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. დაკავებული გადაყვანილ იქნა ჯერ ფოთის რაიონულ სამმართველოში, შემდეგ კი - პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც მასზე მიმდინარეობდა მუქარა, ზეწოლა, შანტაჟი. შემდეგ იგი გადაიყვანეს ქ. სენაკში მდებარე შსს-ის საექსპერტო ნარკოლოგიურ დაწესებულებაში ნარკოტესტის ჩაბარების მიზნით. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ, მის მიერ ორდერის წარდგენის მიუხედავად, არ მიეცა შესაძლებლობა, ერთი საათის განმავლობაში ჰქონოდა კომუნიკაცია დაკავებულთან. დაკავების ოქმი შედგენილ იქნა მოგვიანებით და დაკავების დრო მიეთითა არასწორად, დაკავებამ გასტანა 12 საათზე მეტი. დაკავებულ მიხეილ ლუხავას რამდენიმე საათის	

		განმავლობაში არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა საპირფარეშოთი, აიძულებ დნენ ბიოლოგიური მასალის ჩაბ არებას ცინიკური და სამარცხვინო ქმედებით. ამავე დღეს, 10:00-დან 11:00 საათამდე პერიოდში, ქალაქ ფოთში, დანელიას ქუჩაძე შსს-ის ფოთის სამმართველოს თანამშრომლის მიერ დაკავებულ იქნა ალეკო ადამია, რომელსაც, ასევე, დაკავებისას არ განუმარტეს მისი უფლებები, არ შედგენილა დაკავების ოქმი, გაუთიშეს ტელეფონი და არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით. დაკავებული გადაყვანილ იქნა ფოთის პოლიციის სამმართველოშ ი, სადაც ადვოკატს, ორდერის წარდგენის მიუხედავად, არ მიეცა დაკავებულთან გასაუბრების შესაძლებლობა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ალეკო ადამია ნარკოლოგიური ტესტირებისათვის გადაყვანილი იქნა ქ.	

		სენაკის შსს საექსპერტო ნარკოლოგიურ დაწესებულებაში ისე, რომ დაკავების ოქმიც არ არსებობდა; ამასთან, საათობით ალოდინეს ტესტის ჩასაბარებლად. ამ შემთხვევაშიც დაკავების ოქმი შედგა მოგვიანებით და დროის არასწორი მითითებით. დაკავებამ გასტანა 12 საათზე მეტი. პოლიციის თანამშომელთა მხრიდან ორივე შემთხვევაში დაკავებულებ ის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა.	
41	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1037/01 (29.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/14593; 30.08.2016	წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეძლევა მშვიდ და თანასწორ გარემოში საარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობა. ხსენებულის დასადასტურებლად მოჰყავთ 2016 წლის 26 აგვისტოს დაბა მანგლისის შტაბში განხორციელებული ფაქტი - თეთრიწყაროს რაიონში წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნუგზარ წიკლაურის ბანერის	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავარ პროკურატურას და შსს-ს. **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 26 აგვისტოს თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს მანგლისის განყოფილებაში შემოსული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოიკითხნენ შეტყობინების ინიციატორი და საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე, სახლის მეპატრონე და მეზობლები. გამოკითხვის ოქმში ასახული ინფორმაციით, სარეკლამო ბანერის დაზიანებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ მიყენებული ზიანი, მათ მიერ მოწვეული კერძო აუდიტორის დასკვნის მიხედვით, შეადგენს 550 ლარს. სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული საქონელმცოდენობითი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარეკლამო ბანერი, დაზიანებების ხარისხიდან გამომდინარე, **აღდგენას არ ექვემდებარება. ბანერის დასამზადებლად საჭირო თანხის ოდენობა შეადგენს 136,60 ლარს** (ას ოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი), **აღდგენითი სამუშაოების ღირებულება (რაც ითვალისწინებს ბანერის ადგილზე მონტაჟს) შეადგენს 60** (სამოცი) **ლარს,** ხოლო ბანერის დაზიანებით

		განადგურების თაობაზე. მომხდარს დღემდე არ მოჰყოლია არავითარი შედეგი.	მიყენებული **მატერიალური ზიანის ოდენობა, აღდგენითი სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით, შეადგენს 196,60 ლარს** (ას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი). დღეის მდგომარეობით, საქმეზე გრძელდება სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები დამნაშავე პირის დადგენა-დაკავების მიზნით“.
42	„ლეიბორისტული პარტია“, ანალიტიკური სამსახურის მდივანი ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით, 31.08.2016	შეტყობინების თანახმად, 30 აგვისტოს, შუადღის 24:15 სთ-ზე, ბორჯომში პარლამენტარ გედი ფოფხაძის და ,,ქართული ოცნების“ ზონდერჯგუფი კვლავ დაესხა თავს „ლეიბორისტული პარტიის“ მაჟორიტარობის კანდიდატ გიორგი გიუაშვილს. განმცხადებლის თქმით, ეს არის კიდევ ერთი ნიშანი, რომ მმართველი პარტია კვლავ აგრძელებს ზონდერჯგუფების გამოყენებით თავდასხმებს პოლიტიკურ ოპონენტებზე. განმეორებითი თავდასხმა ,,ქართული ოცნების“ ზონდერჯგუფისგან გიორგი გიუაშვილზე განხორციელდა იმის გამო, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ, უფრო მეტიც, ხელი დააფარეს გედი ფოფხაძის ორგანიზებული ჯგუფის კრიმინალურ ქმედებებს.	წერილი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავარ პროკურატურას, შსს-ს. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „იხ. ცხრილის 44-ე საკითხის გადაწყვეტილება“.

		ითხოვენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.	
43	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1047/01 (30.08.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/14733; 01.09.2016	წერილში საუბარია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების გამარჯვების შემდეგ საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნიშნით თანამდებობებიდან გათავისუფლების თაობაზე. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ 2014 წლის 18 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეულმა გამგებელმა თანამდებობაზე არჩევნების გზით განწესებისთანავე გამოსცა ერთი და იმავე შინაარსის ათეულობით ბრძანება მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებული პირების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რომელთაგან 18-მა პირმა აღნიშნული ფაქტი სასამართლოში გაასაჩივრა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს	განხილულ იქნა **2016 წლის 14 სექტემბრის** სხდომაზე. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი: (14.09.16 სხდომა):** სასამართლო სააღსრულებლო ფურცელი შეიცავდა ხარვეზს, კერძოდ, სააღსრულებო ფურცლის თანახმად, ერთ თანამდებობაზე რამდენიმე პირი იყო აღდგენილი, ამიტომ მარტვილის გამგეობამ დასაზუსტებლად და ხარვეზის აღმოსაფხვრელად სააღსრულებო ფურცელი გადააგზავნა სასამართლოში. ამჟამად გამგეობა ელოდება სასამართლოს პასუხს.

		ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის №3ბ/16-16 გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა ცნობილი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელ ალექსანდრე გრიგალავას 2014 წლის 18 სექტემბრის ბრძანება საჯარო მოხელეების თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. გადაწყვეტილებით მოპასუხე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა 18 მოხელის უკანონოდ გათავისუფლების გამო სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდისათვის განაცდური ხელფასის გადახდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იმსჯელა და 2016 წლის 23 ივნისს №ბს-350-346(2კ-კს-16) განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა და სავალდებულო აღსრულებას დაექვემდებარა საქმეზე მიღებული ქუთაისის	

		სააპელაციო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის განზრახვით დღემდე არ შეასრულა სასამართლო გადაწყვეტილება და თანამდებობაზე არ აღადგინა გათავისუფლებული პირები.	
44	„ლეიბორისტული პარტია“, ანალიტიკური სამსახურის მდივანი ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 01.09.2016	წერილში აღნიშნულია, რომ 2 სექტემბერს ,,რუსთავი 2“-სა და ტვ „პირველის“ ეთერში 15.00 საათზე, უნდა მომხდაროყო დუშეთში შალვა ნათელაშვილის მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარობის დეპუტატად დასახელების ღონისძიების პირდაპირი ჩართვა, მაგრამ სწორედ ჩართვის დაწყებისას გაითიშა სატელევიზიო სიგნალი. ასევე, ფაქტობრივად, გათიშული	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა პროკურატურას, შსს-ს, და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას. **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰქონია, არ შედის მის კომპეტენციაში და არ შეესაბამება სინამდვილეს“. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 02 სექტემბერს ქალაქ დუშეთში შალვა ნათელაშვილი მართავდა შეხვედრას მოსახლეობასთან. შსს დუშეთის რაიონულ სამმართველოში შევიდა შეტყობინება, სადაც აღნიშნულია, რომ დუშეთის ცენტრალურ მოედანზე ბავშვის უგონო მდგომარეობის გამო ირაკლი ახალაშვილი ითხოვდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. ადგილზე მივიდნენ დუშეთის პოლიციის თანამშრომლები, რომლებსაც ირაკლი ახალაშვილმა განუმარტა, რომ მისი ბავშვი გახდა შეუძლოდ და „112“-ში ითხოვა სასწრაფო სამედიცინო დახმარება, პოლიცია კი მას არ გამოუძახებია და პოლიციის დახმარებას არ საჭიროებდა. ამ მიზეზით ირაკლი ახალაშვილმა განაცხადა უარი გასაუბრების ოქმზე ხელმოწერაზე,

		იყო მობილური კომპანია „მაგთი“. განმცხადებლის თქმით, ეს ხელისუფლების და უშიშროების სამსახურის გარეშე არ მოხდებოდა. განცხადებაში, ასევე, საუბარია იმაზეც, რომ ღონისძიების მსვლელობისას შეუძლოდ გახდა ერთი გოგონა. „ლეიბორისტული პარტიის“ ადგილობრივმა ხლმძღვანელმა ირაკლი ახალაშვილმა გამოიძახა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. დაახლოებით ერთ საათში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნაცვლად მოვიდა პატრულის ორი ეკიპაჟი და განაცხადა, რომ სასწრაფოს არ ეცალა. განმცხადებლის აზრით, ამ ქმედებით სუს-ის მხრიდან ხდება მოსახლეობაში შიშის დანერგვა. ითხოვენ შესაბანისი რეაგირების განხორციელებას.	ასევე, განმარტა, რომ ამჟამად ბავშვი არის კარგად და არანაირ დახმარებას ის და მისი შვილი არ საჭიროებენ. როგორც შემდგომ გაირკვა, რეალურად ბავშვი არ იყო ირაკლი ახალაშვილის შვილი – იყო სხვა პიროვნების შვილი და იმყოფებოდა აქციაზე მამასთან ერთად“. სსიპ „112“-დან შემოსულ ყველა შეტყობინებაზე შესაბამისი რაიონული სამმართველოს თანამშრომლები გადიან შეტყობინებაში აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად და დახმარების აღმოსაჩენად. ასევე, მათ მიერ იწერება ინიციატორთან „ზეპირი გასაუბრების ოქმი“, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს შემოსული მასალების ჩამოსაწერად. შსს დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გიორგი ჯანიაშვილმა და გიორგი ხმალაძემ შეადგინეს ირაკლი ახალაშვილთან ზეპირი გასაუბრების ოქმი, რაზეც ირაკლი ახალაშვილმა ხელი არ მოაწერა იმ მიზეზით, რომ მას პოლიცია არ გამოუძახებია და არ საჭიროებდა მათ დახმარებას“. **კომუნიკაციების ეროვნული კომისია:** „გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ტელევიზიებიდან და შპს „მაგთიკომიდან“. მიღებული ინფორმაციის თანახმად, „ტელეკომპანია პირველს“ გაგზავნილი ჰყავდა ჟურნალისტები გადამღები აპარატურით „ლეიბორისტული პარტიის“ შეხვედრის გასაშუქებლად, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ინტერნეტის სიგნალის არარსებობა) ვერ მოხერხდა პირდაპირი ეთერის უზრუნველყოფა. „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ ზეპირსირტვიერად შეთანხმებული იყო „ტვ პირველთან“, მიეღო სატელევიზიო სიგნალი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. შპს „მაგთიკომის“ წერილის თანახმად, 2016 წლის 2 სექტემბერს „მაგთიკომის“ მხრიდან დუშეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებული სახის ტექნიკური შეფერხება არ დაფიქსირებულა“.
45	„ლეიბორისტული პარტია“,	წერილში საუბარია ბორჯომში „ლეიბორისტული პარტიის“ მაჟორიტარი	განცხადება რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას.

	ანალიტიკური სამსახურის მდივანი ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 03.09.2016	დეპუტატობის კანდიდატზე, საკრებულოს წევრ გიორგი გიუაშვილზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებზე. განმცხადებლის თქმით, იმის მიუხედავად, რომ პირველი ინციდენტი მოხდა საარჩევნო აგიტაციის დროს, საქმე აღიძრა არა აგიტაციაში ხელის შეშლის მუხლით, არამედ ცემის ფაქტზე. ამასთან, განმცხადებლის თქმით, ინციდენტი მაინც გრძელდება. ძმები ფოფხაძეები უკვე მოქმედებენ მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით: ქირაობენ ქუჩაში მდგარ უსაქმურებს, აძლევენ მათ დასალევ ფულს და შემდეგ ეს ხალხი, მათი დავალებით სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს მაჟორიტარობის კანდიდატ გიორგი გიუაშვილს და მისი ოჯახის წევრებს. და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ გიუაშვილი მთელი ეს წლები ღიად ამხელდა ფოფხაძეებს და მათი ადგილობრივი კლანის წევრებს. განმცხადებელი ითხოვს შესაბამისი ღონისძიებების	**მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 31 აგვისტოს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებით დადგინდა, რომ გიორგი გიუაშვილის მეუღლე 2016 წლის 30 აგვისტოს, საღამოს საათებში, იმყოფებოდა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, რა დროსაც მათთან მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი უცხო მამაკაცი, რომელმაც მას უმიზეზოდ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, შეაგინა და ხელი დაარტყა სახისა და მუცლის არეში. მოგერიების მიზნით უცნობ მამაკაცს თვითონაც დაარტყა ხელი სახის არეში. მან, ასევე, განმარტა, რომ დარტყმის შედეგად მას ფიზიკური ტკივილი არ განუცდია, უარი განაცხადა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე და აღნიშნა, რომ პრეტენზია არ აქვს მამაკაცის მიმართ. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულმა გიორგი გიუაშვილმა განმარტა, რომ მისი მეუღლისგან გადმოცემით იცის, რომ ნასვამმა უცნობმა მამაკაცმა მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. 2016 წლის 29 სექტემბერს წინამდებარე სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო“.

		გატარებას.	
46	„ლეიბორისტული პარტია“, ანალიტიკური სამსახურის მდივანი ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 06.09.2016	წერილით იტყობინებიან, რომ „ლეიბორისტული პარტიის“ აქტივისტებს (გიორგი ძიძიგურს და ნატა გოდერძიშვილს), რომლებიც პარტიულ მაისურებს ატარებენ, რამდენიმე დღეა, აწუხებენ, უღებენ სურათებს და აგინებენ ავტომანქანიდან, მათ შორის, პარტიის უხამსი მოხსენიებით. მათი აქტივისტები ეჭვობენ, რომ ეს ახალგაზრდები არიან პოლიციის თანამშრომლები (ატარებენ იარაღს). ეს ხდება ნაძალადევში, პოლიციის მე-9 განყოფილების ტარიტორიაზე. ბოლო ინციდენტი გუშინ საღამოს გამოვლინდა.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას. **შსს:** „საკითხი შესწავლილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და ინფორმაცია არ დასტურდება“. **მთავარი პროკურატურა:** „ფაქტთან დაკავშირებით გამოკითხულ იქნენ გიორგი ძიძიგური და ნატა გოდერძიშვილი, რომლებმაც მიუთითეს მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე“.
47	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1132/01 (07.09.2016)	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წერილით იტყობინება, რომ ქალბატონი სანდრა რულოვსი 2016 წლის 07 სექტემბერს, 11:00 საათზე, ქალაქ გორში სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარე სკვერში და 2016 წლის 07	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს. **შსს:** „შეტყობენება გადაეცა შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტს. მათ განახორციელეს კონტროლი. შეხვედრებმა ჩაიარა მშვიდ გარემოში“.

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15154; 07.09.2016	სექტემბერს, 13:00 საათზე, ქარელის მუნიციპალიტეტში, აგურქარხნის დასახლების (მუსხელიშვილის ქუჩაზე) გამართავს მოსახლეობასთან წინასაარ ჩევნო შეხვედრებს. როგორც წერილშია აღნიშნული, პარტიისთვის ცნობილია, რომ იგეგმება შეხვედრების ხელშეშლა და ჩაშლა. ითხოვენ პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა არ მოხდეს ძალადობისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები.	
48	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1146/01 (07.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15184; 07.09.2016	ინფორმაციის თანახმად ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ვოლსკის წინასაარჩევნო შეხვედრებსა და აგიტაციაში ჩუღურეთის გამგეობის თანამშრომლების სამუშაო საათებში სისტემატურად მონაწილეობას, რის დამადასტურებლად წარმო ადგენენ ფოტომტკიცებულებებს.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება შესასწავლად გადაეგზავნა №7 ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. საკითხი შესწავლის პროცესშია“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანამშრომლები საჩივარში მითითებულ სააგიტაციო პერიოდში არ იმყოფებოდნენ შვებულებაში, თუმცა, არცერთ მათგანს სამუშაო დროს არ მიუღია მონაწილეობა კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ორგანიზებულ ღონისძიებაში და შეუძლებელია, არსებობდეს ამის დამადასტურებელი მტკიცებულება. ფოტოები გადაღებულია არასამუშაო დროს (შესვენებისას) ან სამუშაო დღის დასრულების შემდგომ.

		ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ კომისიისაგან ითხოვენ ადეკვატურ რეაგირებას და საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.	იმისთვის, რომ გამორიცხულიყო თანამშრომელთა მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე მომზადდა მატრიცა კანონმდებლობაზე დაყრდნობით (თანდართულია), რომელშიც აისახა მუნიციპალიტეტის ყველა ვალდებულება და შეზღუდვა წინასაარჩევნო პროცესში. მომზადებული დოკუმენტი, როგორც სახელმძღვანელო, გაეგზავნა ყველა პასუხისმგებელ პირს თანამშრომლებისათვის გასაცნობად და ყველა ხელმძღვანელი თანამდებობის პირი უშუალოდ აკონტროლებს მათ განუხრელ შესრულებას“.
49	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1144/01 (07.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15185; 07.09.2016	წერილში საუბარია, რომ 2016 წლის 5 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში ადგილი ჰქონდა „ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სანდრა რულოვსის შეხვედრის ჩაშლის მცდელობას. აღნიშნავენ, რომ შეხვედრის მსვლელობისას რამდენიმე პირი ხმაურითა და სტვენით მივიდა იმ შეხვედრის ჩატარებისა ადგილას. მათი მიზანი იყო პროვოკაციის მოწყობა. „ქართული ოცნების“ აქტივისტები და მათთან დაახლოებული პირები აგრესიით გამოირჩეოდნენ ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ, ხელით ეხებოდნენ კამერებს	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს, მთავარ პროკურატურას. **შსს:** „2016 წლის 05 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში გამოკითხულ იქნენ პოლიტიკური პარტიების – „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – აქტივისტები. გამოკითხვებისა და არსებული ვიდეოჩანაწერების შესწავლის შედეგად არ იკვეთება სსკ გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები“. **მთავარი პროკურატურა:** „ინციდენტი განხილულ იქნა უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე. მომხდარი ფაქტი არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს“.

		და გადამღებ ჯგუფს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ.	
50	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1148/01 (07.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15183; 07.09.2016	ქ. თბილისის მთვრობის მიერ შექმნილმა არასამეწარმეო იურიდიულმა პირმა „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღის მართვის სააგენტომ“ საბავშვო ბაღების დირექტორებს სახელფასო ანგარიშების ცვლილებასთან დაკავშირებით გაუგზავნა კითხვარი, რომელშიც ერთ-ერთი შეკითხვაა მათი პოლიტიკური აქტიურობის შესახებ. ხსენებული ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სურს დაადგინოს, რომელ პოლიტიკურ ძალას უჭერენ მხარს ბაგა-ბაღების თანამშრომლები, მსგავსი ინფორმაციის მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ ადამიანების პოლიტიკური შეხედულებების დასადგენად. ზემოაღნუშნულ ფაქტებთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს წარმოდგენილ ინფორმაციასა	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „თბილისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კითხვარში არსებული ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა იმას, თუ პოლიტიკურად რამდენად აქტიურნი იყვნენ თანამშრომლები და არა იმას, რომელ პოლიტიკურ სუბიექტს აძლევდნენ ხმას. მისი თქმით, კითხვა გამომდინარეობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომლის თანახმადაც, კომერციული ბანკი ვალდებულია, გაარკვიოს, მიეკუთვნება თუ არა მისი კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას **(14.09.16 სხდომა)**“. **საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორის,** გიორგი მელაშვილის, 2016 წლის 16 სექტემბრის №01/15662 წერილით მიღებულ იქნა ინფორმაცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ პასუხის გაგზავნის თაობაზე, კერძოდ, კომერციული ბანკი, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანინის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია, გაარკვიოს, მიეკუთვნება თუ არა კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირის კატეგორიას. ამასთან, პოლიტიკურად აქტიური პირის დეფინიცია, ამავე კანონის თანახმად, მოიცავს პოლიტიკურად აქტიური პირის ოჯახის წევრებსა და მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებსაც. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ანგარიშის გახსნისთვის საჭირო დამატებითი კონკრეტული ინფორმაციის განსაზღვრა წარმოადგენს კომერციული ბანკის პრეროგატივას“.

		და მტკიცებულებებზე ადე კვატურ რეაგირებას.	
51	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1145/01 (07.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15187; 07.09.2016	2016 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში, ვაკეში, კერძოდ, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ვაკის №2 მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის ელენე ხოშტარიას საარჩევნო შტაბზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისა და განადგურების თანხლებით, დღემდე არანაირი შედეგი არ დამდგარა, არ არიან გამოვლენილი და პასუხისგებაში მიცემული ის პირები, რომლებმაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინეს. წერილის ავტორი საუბრობს, რომ მათ ოფისებსა და საარჩევნო შტაბებზე თავდასხმა წინასაარჩევნო პერიოდში უკვე სისტემურ ხასიათს ატარებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დარჩენილია ეფექტური რეაგირების გარეშე. მსგავსი ძალადობრივი კამპანია	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 02 სექტემბერს დაიწყო გამოძიება ქ. თბილისში, აბაშიძის ქ. №37-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ელენე ხოშტარიას ოფისი) ოფისის ვიტრინის დაზიანების ფაქტზე სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოწმის სახით გამოკითხულ იქნა აბაშიძის ქ. № 37-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები 20 პირი. არცერთ მათგანს არ დაუნახავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის დაზიანების ფაქტი. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მატერიალური ზიანის ოდენობამ აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით შეადგინა 99,94 ლარი. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულ ქვაზე დანიშნულია ბიოლოგიური ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, აღინიშნება თუ არა მასზე პიროვნების დნმ-ის კვალი და დადებით შემთხვევაში განისაზღვროს მისი პროფილი“.

		მნიშვნელოვნად უზღუდავს მთავარ ოპოზიციურ პარტიას წინასაარჩევნო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე ადეკვატურ რეაგირებას.	
52	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1143/01 (07.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15182; 07.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში „„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილის სარეკლამო ბანერი, რომელიც განთავსებული იყო სოფელ ნინოწმინდაში თამაზ ძულიაშვილის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, ამ პიროვნებაზე ზეწოლის შედეგად ჩამოხსნილ იქნა. კერძოდ, ნინოწმინდის სოფლის რწმუნებული თამილა სუხიაშვილი დაემუქრა თამაზ ძულიაშვილს, რომ	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და მთავარ პროკურატურას. <u>1-ლი საკითხი:</u> **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**: „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლისა და მისი ოჯახის წევრის მიერ მუქარისა და ზეწოლის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „თამაზ ძულიაშვილმა გამოკითხვისას განმარტა, რომ წვიმიან და ქარიან ამინდში მის ეზოში განთავსებულ სარეკლამო ბანერთან მაღალი ძაბვის ელექტროსადენის სიახლოვის გამო იქმნებოდა ხანძრის საშიშროება, რის გამოც დაუკავშირდა სარეკლამო კომპანიას და ითხოვა მისი დემონტაჟი, რაც განხორციელდა და სარეკლამო ბანერი დაუზიანებლად გადაეცა სარეკლამო კომპანიის წარმომადგენელს. მან თამილა სუხიაშვილის მხრიდან ზეწოლის და მუქარის ფაქტი გამორიცხა“.

		ბანერის ჩამოუხსნელობის შემთხვევაში, მის შვილს სამსახურს დაატოვებინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბანერის განთავსებაზე დადებული იყო ხელშეკრულება, ბანერი მაინც ჩამოხსნეს (თამილა სუხიაშვილის ერთ-ერთი შვილი მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხარეო დეპარტამენტში, ხოლო მეორე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში). მუქარის შედეგად მეპატრონემ მოითხოვა ბანერის დემონტაჟი. <u>მე-2 საკითხი:</u> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარულ კანდიდატებს (დავით კირკიტაძეს და მამუკა ჩიქოვანს) არ ეძლევათ არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარების უფლება. კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი სავლე მოთიაშვილი, კომპანიებს აიძულებს, არ დაუდონ	<u>მე-2 საკითხი:</u> **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**: „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლისა და მისი ოჯახის წევრის მიერ მუქარისა და ზეწოლის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს“. **მთავარი პროკურატურა:** „შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია ზოგადია და არ შეიცავს კონკრეტული დანაშაულის ნიშნებს“.

		სარეკლამო ბანერის განთავსების ხელშეკრულება ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს. ხსენებულმა პიროვნებამ ჩაშალა უკვე წინასწარ შეთანხმებული ხელშეკრულება შპს „ფორტუნა მედიასთან“. **<u>მე-3 საკითხი:</u>** წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ქალაქ წყალტუბოში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ მამუკა საღარაშვილის ბანერი უნდა განთავსებულიყო მისი ნათესავის (ლინდა იობაძის) სახლში. ბანერის მიტანისთანავე ლინდა იობაძის ტელეფონზე დაფარული ნომრიდან შევიდა მუქარის შემცველი ზარი. მიაჩნიათ, რომ ფაქტი უნდა იქნეს გამოძიებული. **<u>მე-4 საკითხი:</u>** ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სევდია უგრეხელიძის ბანერი	**<u>მე-3 საკითხი:</u>** **მთავარი პროკურატურა:** ლინდა იობაძემ გამოკითხვისას განმარტა, რომ მუშაობს პედაგოგად, მამუკა საღარაშვილი არის მისი ნათლული და თხოვნაზე, რომ სარეკლამო ბანერი განთავსებულიყო მის ეზოში, თავდაპირველად უარი ვერ უთხრა, თუმცა, ჩათვალა, რომ ვინაიდან იყო პედაგოგი, მისი მხრიდან არ იქნებოდა მიღებული, გამოეხატა აშკარა მხარდაჭერა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ. იგი საკუთარი ნებით მივიდა მამუკა საღარეიშვილის მშობლებთან და უთხრა, თითქოსდა მას დაურეკეს და განუცხადეს, რომ, ბანერი თუ მის ეზოში დაიდგმებოდა, უამრავი პრობლემა შეექმნებოდა მას და მისი ოჯახის წევრებს. სინამდვილეში მისთვის არავის არ დაურეკავს და არანაირი მუქარა მისი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის მიმართ არ ყოფილა არც დარეკვით და არც სხვა რაიმე ფორმით“. **შსს:** „წყალტუბოს რაიონულმა სამმართველომ აღნიშნულ საქმეზე გამოკითხა მოქ. ლ.ი., რომელმაც განმარტა, რომ მის მიმართ არ განხორციელებულა არანაირი ზეწოლა და ადგილი არ ჰქონია მუქარას. ვინაიდან მასალებში არ იკვეთებოდა სსკ გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, შსს-ის მიერ გამოძიება არ დაწყებულა“. **<u>მე-4 საკითხი:</u>** **მთავარი პროკურატურა:** „მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით. დადგენილია, რომ 2016 წლის 07 სექტემბერს დაუდგენელმა პირმა დააზიანა ქ. თბილისში, ბალანჩივაძის ქ. №2/1-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ბანერი, კერძოდ, ამოჭრა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სევდია უგრეხელიძის სახე ბანერიდან. გამოკითხულია მოწმეები. საქმეზე

		დაზიანებულ იქნა ღამის 2 საათზე (2016 წლის 7 სექტემბერი). პატრულმა პატრულირებისას შენიშნა დაზიანებული ბანერი. ვიდეოკადრზე აღბეჭდილია ბანერის დამზიანებელი პირი.	ამოღებულია დაზიანებული ბანერი, რომელზეც დაინიშნა კოპლექსური საქონელმცოდნეობითი, გენეტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა. დასკვნა ჯერ არ მიუღიათ. ასევე, ამოღებულია თბილისში, ბალანჩივაძის ქ. №2/1-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის გარე სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერი, გადატანილი DVD დისკზე და დაინიშნა კომპლექსური ფოტოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა. დასკვნა ჯერ არ მიუღიათ“. **შსს:** „2016 წლის 07 სექტემბერს დაუდგენელმა პირმა დააზიანა ქ. თბილისში, ბალანჩივაძის ქ. №2/1-ში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ბანერი. დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლით. ასევე, მიმდინარე წლის 11 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზემოაღნიშნული ოფისის შტაბის უფროსი დაუკავშირდა საქმის გამომძიებელს და მიაწოდა სავარაუდო სამართალდამრღვევის მფლობელობაში არსებული ავტომანქანის მონაცემები. დასახელებული ავტომანქანის მფლობელი მოყვანილ იქნა და გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ იგი თავისი მანქანით ბალანჩივაძის ქუჩაზე იმყოფებოდა გავლით“.
53	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1147/01 (07.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15186; 07.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> მიუთითებენ, რომ 2016 წლის 04 სექტემბერს ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტში ადგილი ჰქონდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბოლნისის №23 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატ სამირა ისმაილოვას საარჩევნო	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს, მთავარ პროკურატურას, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. <u>1-ლი საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა:** „საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2016 წლის 3 სექტემბერს, დილის საათებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამხუტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები სოფელში მოძრაობდნენ ფეხით და არიგებდნენ ბუკლეტებს, რა დროსაც მათთან გაჩერდა ავტომობილი, საიდანაც გადმოვიდა აივაზ გუსეინოვი. მას ბუკლეტების დარიგებასთან დაკავშირებით კამათი მოუვიდა ერთ-ერთ მათგანთან. მომხდარი ფაქტის შემდეგ აივაზ გუსეინოვი მივიდა სოფელ მამხუტის ცენტრში შეკრებილ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან, რა დროსაც ამ პარტიის დეპუტატობის კანდიდატ სამირა ისმაილოვასა და მას შორის მოხდა შელაპარაკება. მოწმეების განმარტებებით, აივაზ გუსეინოვმა აქტივისტებს უთხრა, რომ არ დაერიგებინათ ბუკლეტები და წასულიყვნენ სოფლიდან, ხოლო ერთ-ერთ მათგანს მოუქნია ხელი, რომელიც ამ უკანასკნელს მოხვდა თავის არეში, თუმცა ტკივილი არ განუცდია.

		შეხვედრის ხელშეშლის და ჩაშლის მცდელობას. კერძოდ, სოფელ მამხუტში სოფლის რწმუნებული აივაზ გუსეინოვი დაუპირისპირდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებს. საარჩევნო შეხვედრის დროს მოსახლეობას ურიგებდნენ ფლაერებს. სოფლის რწმუნებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის და მათთან დაახლოებული პირების მხრიდან ხორციელდება წინასაარჩევნო აგიტაციასა და შეხვედრებში ხელის შეშლა. მიაჩნიათ, რომ არ ხდება მოსახლეობასთან შეხვედრების, შეკრებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სისტემურ ხასიათს ატარებს წინასაარჩევნო შეხვედრების ჩაშლის მცდელობა.	სამირა ისმაილოვას განმარტებით, აივაზ გუსეინოვმა სოფლის ცენტრში შეკრებილ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და უკრძალავდა მათ პარტიის ბუკლეტების დარიგებას. საქმეზე გამოიკითხნენ სხვა პირებიც. საქმეზე ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აქტივისტს სხეულზე გარეგნულად ფიზიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღენიშნება. გრძელდება გამოძიება“. **შსს:** „2016 წლის 03 სექტემბერს ბოლნისის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამხუტში „ქათული ოცნების“ წევრებსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის მომხდარი ჩხუბის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ **125-ე მუხლის პირველი ნაწილით.** გამოძიების პროცესში მოწმის სახით გამოკითხულ იქნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები, რომლებმაც გამოძიებას აჩვენეს, რომ 2016 წლის 03 სექტემბერს თავიანთი პარტიის სხვა აქტივისტებთან ერთად მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სამირა ისმაილოვას ხელმძღვანელობით იმყოფებოდნენ ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტში „კარდაკარის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრის და ბუკლეტების დარიგების მიზნით. ერთ-ერთ ქუჩაზე ბუკლეტების დარიგების დროს გაჩერდა მწვანე ფერის „ოპელის“ მარკის ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა პიროვნება, აქტივისტებს გაეცნო როგორც იმავე სოფლის ყოფილი გამგებელი და „ქართული ოცნების“ კოორდინატორი (ა.გ.) და მათ მოსთხოვა სოფლიდან წასვლა მათი ქმედების უკანონობის გამო. ამ ფაქტზე შელაპარაკებისას ა.გ.-მ ს.გ.-ს თავის არეში მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა (დაარტყა ხელი). ამის შემდგომ ა.გ. მივიდა სოფლის ცენტრში, სადაც იმყოფებოდა სამირა ისმაილოვა პარტიის აქტივისტებსა და სოფლის რამდენიმე მკვიდრთან ერთად. ა.გ.-მ სამირა ისმაილოვას კატეგორიულად მოსთხოვა მათი სოფლიდან წასვლა. აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემები დაადასტურეს მოწმის სახით გამოკითხულმა სამირა ისმაილოვამ და სხვა პირებმა. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულმა ა.გ.-მ განმარტა, რომ 2016 წლის 03 სექტემბერს მას ნამდვილად მოუვიდა შელაპარაკება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებთან, მაგრამ მისი მხრიდან არც ფიზიკური და არც სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას ადგილი არ ჰქონია, რაც დაადასტურა თავისი ჩვენებით ერთმა მოწმემ. ს.გ.-ს ჩაუტარდა **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, მას სხეულზე არანაირი დაზიანების კვალი არ აღენიშნება.** საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“.

		<u>**მე-2 საკითხი:**</u> წერილში, ასევე, მიუთითებენ, რომ ჩხოროწყუს რაიონში ადგილი აქვს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დაშინებისა და შევიწროების ფაქტებს. კერძოდ, სოფელ თაიაში მცხოვრებ აზა საჯაიას სახლში მისი დაშინების მიზნით შევიდა სპეცრაზმი (განაცხადეს, რომ ატარებდნენ ჩხრეკას). რაზმელებს არ წარუდგენიათ ჩხრეკის ორდერი, უკანონოდ შევიდნენ სახლში და აზა საჯაიას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აზა საჯაია არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მომხრე“ და ეწევა პარტიულ საქმიანობას, იგი ცხოვრობს მარტო. მიაჩნიათ, რომ ფაქტი წარმოადგენს წინასაარჩევნო პერიოდში	**მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „განცხადებაში აივაზ გუსეინოვა მოხსენიებულია როგორც სოფლის რწმუნებული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება – იგი 2015 წლიდან გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან“. <u>**მე-2 საკითხი:**</u> **მთავარი პროკურატურა, შსს:** „აზა საჯაიას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩატარდა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, სადაც ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 6 ცალი საბრძოლო ვაზნა. საგამოძიებო მოქმედება (ჩხრეკა) განხორციელდა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის საქმეზე და ჩატარებული ჩხრეკა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს განჩინებით კანონიერად იქნა ცნობილი. ამჟამად გრძელდება გამოძიება 236-ე მუხლით დაწყებულ საქმეზე“.

		ხელისუფლების მხრიდან ხალხის დაშინების მცდელობას, რისთვისაც იყენებენ სამართალდამცავ ორგანოებს, ამასთან, მიუთითებენ, რომ ჩხოროწყუს პოლიციის უფროსი არის საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას ბიძაშვილი.	
54	„მემარცხენე ალიანსი“, კახა ძაგანია წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 08.09.2016	დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზალეთში „მემარცხენე ალიანსის“ მიერ თიანეთის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად პარტიის გენერალური მდივნის, სოსო შატბერაშვილის, წარდგენის დროს განხორციელდა პროვოკაციული თავდასხმა პოლიტიკური აქციის მონაწილეებზე. მათ ეცვათ „ლეიბორისტული პარტიის“ მაისურები და იყვნენ არაფხიზელ მდგომარეობაში. ამის შემდგომ სოსო შატბერაშვილს მობილურ ტელეფონზე (599911003) 13:00 სთ-ზე განხორციელდა	ინფორმაცია რეაგირებისათვის გაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას. **შსს:** „2016 წლის 08 სექტემბერს დუშეთის მუნიციპალიტეტში იოსებ შატბერაშვილის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით მოხდა ინციდენტი, რაზეც შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო წარმოება. მოხდა ზეპირი გასაუბრება იოსებ შატბერაშვილთან, რომელმაც განმარტა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრისას, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა 4-მა უცნობმა პიროვნებამ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მან, ასევე, განმარტა, რომ მობილური ტელეფონით დაუკავშირდა პიროვნება, რა დროსაც მისი მისამართით გაისმა გინება უხამსი სიტყვებით და მუქარა, კერძოდ, იმის შესახებ, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს ცოტა ხანში მოხვდებოდათ ტყვია. აღნიშნულ სატელეფონო საუბარს ესწრებოდნენ მისი პარტიის წევრებიც (ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე იყო ჩართული). შემდეგ დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი დაუკავშირდა კანდიდატის მობილურ ტელეფონზე დაფიქსირებული ნომრის მფლობელს, რომელმაც განმარტა, რომ არის „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი თ.წ.. მისი გამოკითხვისას დადგინდა, რომ იგი დეპუტატობის კანდიდატს თავად დაუკავშირდა, მაგრამ მის მიმართ არ განუხორციელებია მუქარა, არამედ გააკეთა პოლიტიკური განცხადება, ხოლო სოსო შატბერაშვილი ვერ არჩევდა მუქარას და პოლიტიკურ განცხადებას ერთმანეთისგან“.

		სატელეფონო ზარი ნომრიდან - 599534151. მას მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრნენ მისი და მისი ოჯახის წევრების ანგარიშსწორებითა და ლიკვიდაციით. ითხოვენ შესაბამის რეაგირებას.	**მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 15 სექტემბერს შსს დუშეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება იოსებ შატბერაშვილის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე სსკ 151-ე მუხლით. გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 08 სექტემბერს, დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში ყოფნის დროს, „მემარცხენე ალიანსის“ გენერალურ მდივან იოსებ შატბერაშვილს მობილურ ტელეფონზე დაურეკა მისთვის უცნობმა პიროვნებამ, რომელიც დაემუქრა მისი და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით. შატბერაშვილმა გამოკითხვის დროს განმარტა, რომ მისთვის უცნობია მუქარის განმახორციელებელი პირის ვინაობა. მას ფოსტის საშუალებით მიუვიდა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი არ არის მშობლების ნამდვილი შვილი, არის აყვანილი და თუ კიდე შეხვდება მოსახლეობას დუშეთის რაიონში, ამას ეტყვიან ხალხთან ერთად. მუქარის ფაქტი დააფიქსირეს იოსებ შატბერაშვილის თანმხლებმა პირებმა გამოკითხვის დროს. გამოძიების დაწყებამდე გასაუბრება მოხდა თემურ წიკლაურთან, რომელმაც განმარტა, რომ ინტერნეტსივრცეში მოისმინა, როგორ გალანძღა საჯაროდ იოსებ შატბერაშვილმა შალვა ნათელაშვილი, რის გამოც 2016 წლის 08 სექტემბერს დაურეკა იოსებ შატბერაშვილს და განუცხადა, რომ აღარ მიეყენებინა შეურაცხყოფა შალვა ნათელაშვილისა და მისი ოჯახის წევრებისთვის. თემურ წიკლაურმა, ასევე, განმარტა, რომ იოსებ შატბერაშვილის მიმართ მისი მხრიდან მუქარას ადგილი არ ჰქონია. 2016 წლის 25 სექტემბერს თემურ წიკლაურმა არ ჩაიბარა უწყება მისი მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით შსს დუშეთის რაიონულ სამმართველოში გამოცხადების შესახებ, რადგან კენჭს იყრის საპარლამენტო არჩევნებში და არ აქვს დრო. საქმეზე დაიკითხა 7 პირი; გრძელდება გამოძიება“.
55	ა(ა)იპ „ახალი თაობა - დემოკრატიული საქართველოსთვის “ ნატალია ხოხიაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -	წერილშია საუბარია, რომ პლაკატების გაკვრის ადგილების პრობლემამ თავი იჩინა თბილისში. განმცხადებელს დაუკავშირდა რამდენიმე პარტიის თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ამ პრობლემის თაობაზე. მათი თქმით, სააგიტაციო მასალის გაკვრის გამო	ინფორმაცია ცნობისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მერიას, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. გთხოვთ, იხილოთ უწყებათაშორისი კომისიის **2016 წლის 21 სექტემბერის** რეკომენდაცია (http://justice.gov.ge/Mi№istry/IN№dex/487).

	ზე ელექტრონული სახით 11.09.2016	ზედამხედველობის სამსახურმა ისინი გააფრთხილა. დეპუტატობის კანდიდატები გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ სპეციალური სტენდები არ არის მოწყობილი, რის გამოც ვერ ახერხებენ პლაკატების განთავსებას. თბილისის ტერიტორიაზე რადგან ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი სააგიტაციო მასალისთვის ადგილი და არჩევნებამდე საკმაოდ მცირე დროა დარჩენლი, მიმართავენ უწყებათაშორის კომისიას, კიდევ ერთხელ გასცეს რეკომენდაცია პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით, ან მუნიციპალიტეტებმა რაც შეიძლება მოკლე დროში უზრუნველყონ სპეციალური სტენდების განთავსება, ან წინასაარჩევნო პერიოდში ზედამხედველობის სამსახურმა თავი შეიკავოს საარჩევნო სუბიექტების დაჯარიმებისგან და არჩევნების შემდეგ პარტიებს მისცენ განსაზღვრული ვადა მათ მიერ გაკრული პლაკატების	

		ჩამოხსნისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგან პლაკატით სუბიექტის იდენტიფიცირება ადვილია, განხორციელდეს საჯარიმო სანქციები.	
56	„ლეიბორისტული პარტია“, ანალიტიკური სამსახურის მდივანი ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 13.09.2016	ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 12 სექტემბერს დუშეთის პოლიციაში დაიბარეს „ლეიბორისტული პარტიის“ მთავარი კომიტეტის წევრი, საარჩევნო სიის მეექვსე ნომერი თემურ წიკლაური.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას. **შსს, მთავარი პროკურატურა:** „შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს მიერ თემურ წიკლაური დაბარებული იყო, ვინაიდან მან განახორციელა სატელეფონო ზარი იოსებ შატბერაშვილთან და ამის თაობაზე სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება. საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: 2016 წლის 08 სექტემბერს დუშეთის რაიონში იოსებ შატბერაშვილის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით მოხდა ინციდენტი, რაზეც შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო წარმოება. მოხდა ზეპირი გასაუბრება სოსო შატბერაშვილთან, რომელმაც განმარტა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრისას, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა 4-მა უცნობმა პიროვნებამ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მან, ასევე, განმარტა, რომ მობილური ტელეფონით დაუკავშირდა პიროვნება, რა დროსაც მისი მისამართით გაისმა გინება უხამსი სიტყვებით და მუქარა, კერძოდ, იმის შესახებ, რომ მას და მის ოჯახის წევრებს ცოტა ხანში მოხვდებოდათ ტყვია. აღნიშნულ სატელეფონო საუბარს ესწრებოდნენ, ასევე, მისი პარტიის წევრები (ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე იყო ჩართული). შემდეგ დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი დაუკავშირდა სოსო შატბერაშვილის მობილურ ტელეფონზე დაფიქსირებული ნომრის მფლობელს, რომელმაც განმარტა, რომ არის „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი თ.წ.. მისი გამოკითხვისას დადგინდა, რომ იგი იოსებ შატბერაშვილს თავად დაუკავშირდა, მაგრამ მის მიმართ არ განუხორციელებია მუქარა, არამედ გააკეთა პოლიტიკური განცხადება, ხოლო სოსო შატბერაშვილი ვერ არჩევდა მუქარას და პოლიტიკურ განცხადებას ერთმანეთისგან“.

57	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1314/01 (13.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15549; 14.09.2016	განცხადებაში აღნიშნულია 2016 წლის 9 სექტემბერს დაბა კოჯორში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით შპს „აუთდორ-ჯის“ მიერ პარლამენტის წევრობის კანდიდატ ირაკლი აბესაძის წინასაარჩევნო სარეკლამო ბანერის მონტაჟისათვის ხელის შეშლის ფაქტი, რაშიც ადანაშაულებენ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის კოჯრის მუნიციპალიტეტის ყოფილი უფროსის მეუღლეს და ძმას. მიაჩნიათ, რომ ხსენებული ფაქტი უხეშად არღვევს თავისუფალ წინასაარჩევნო გარემოს. ითხოვენ გამოძიების დაწყებას და ინფორმაციის მიწოდებას შედეგების თაობაზე.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-სა და მთავარ პროკურატურას. **შსს:** „ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს VI განყოფილებაში 2016 წლის 10 სექტემბერს შემოსული შეტყობინებების საფუძველზე მოხდა გასაუბრება შპს „აუთდორ-ჯი“-ს წარმომადგენლებთან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებსა და იმ მოქალაქეებთან, რომლებსაც შესაძლოა, მოეწოდებინათ რაიმე სახის ინფორმაცია 2016 წლის 9 სექტემბერს, საღამოს საათებში, დაბა კოჯრის ცენტრში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით შპს „აუთდორ-ჯი“-ს წარმომადგენლების მიერ საქართველოს პარლამენტის წევრობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი აბესაძის წინასაარჩევნო სარეკლამო ბანერის მონტაჟის დროს შპს „აუთდორ-ჯი“-ს წარმომადგენლების ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების მიმართ განხორციელებული შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი არ ჰქონია არც ადმინისტრაციული გადაცდომის და არც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, ძველი თბილისის სამმართველოს VI განყოფილებაში აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე არ დაწყებულა“. **მთავარი პროკურატურა:** „ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფაქტზე არ იკვეთება დანაშაულის ნიშნები“.
58	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1248/01 (10.09.2016)	<u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქალაქ ონში	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს და მთავარ პროკურატურას. <u>1-ლი საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 07 სექტემბერს ქალაქ ონში ცეცხლის წაკიდებით სარეკლამო ბანერის დაზიანების ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლის მეორე ნაწილით.

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15581; 14.09.2016	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ №53 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, ოთარ სირაძის, სარეკლამო ბილბორდი იქნა დაზიანებული. კერძოდ, 2016 წლის 7 სექტემბერს ქ. ონის ცენტრში განთავსებულ წინასაარჩევნო ბილბორდს 15:00 საათზე წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს, რამაც გამოიწვია ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება. აქვე აღნიშნავენ, რომ ქ. ცაგერში, ლენტეხსა და ამბროლაურში დადგმული ბილბორდები მოიპარეს, რამდენიმე დღეში კი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გოჩა ენუქიძის ბილბორდით ჩაანაცვლეს. **<u>მე-2 საკითხი:</u>** ქალაქ თელავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ №27 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, გიორგი ბოტკოველის, სარეკლამო ბილბორდი	2016 წლის 07 სექტემბერს ქალაქ ონში, დემეტრე მეორეს ქუჩაზე, დაუდგენელმა პირმა ცეცხლის წაკიდებით განზრახ დააზიანა რკინის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ოთარ სირაძის სარეკლამო ბანერი. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხული პირებისათვის უცნობია, თუ ვინ დააზიანა ოთარ სირაძის სარეკლამო ბანერი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ პოლიეთილენის 5-ლიტრიან ჭურჭელში მოთავსებულ სითხესა და დაზიანებულ სარეკლამო ბანერზე დაინიშნა კომპლექსური სახანძრო-ტექნიკური, ქიმიური და სასაქონლო ექსპერტიზა (დასკვნა მიუღებელია). საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. 2016 წლის 19 სექტემბერს დაბა ლენტეხში სარეკლამო ბანერის ქურდობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. 2016 წლის 07 სექტემბერს დაბა ლენტეხში, თამარ მეფის ქუჩაზე, გამოძიებით დაუდგენელი პირის მიერ მოპარულ იქნა რკინის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ოთარ სირაძის სარეკლამო ბანერი. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხული პირებისათვის უცნობია, თუ ვინ ჩამოხსნა ოთარ სირაძის სარეკლამო ბანერი. ასევე, გამოიკითხა შპს „აუთდორ.ჯი“-ს რეგიონული მენეჯერი, რომელმაც დაადასტურა მათი ტექნიკური ჯგუფის მიერ ზემოხსენებულ ადგილზე ოთარ სირაძის სარეკლამო ბანერის განთავსებისა და შემდგომ დაკარგვის ფაქტი. დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, რა დროსაც გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე კვლები ამოღებული არ ყოფილა, შესაბამისად, ექსპერტიზაც არ დანიშნულა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“. **<u>მე-2 საკითხი:</u>** **მთავარი პროკურატურა, შსს:** „ქ. თელავში „პოლიტიკური პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბანერის დაზიანების ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, არ დადასტურდა დაზიანების მიყენება ცეცხლსასროლი იარაღით. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ბანერიდან აღებულ ანაწმენდებზე დენთის კვალის არსებობა არ დადგინდა. საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ზიანის ოდენობა შეადგენს 148 ლარს. გამომდინარე იქიდან, რომ ზიანი 150 ლარს ზევით არ იყო, 2016 წლის 29

		დაზიანებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღით, კერძოდ, 2016 წლის 24 აგვისტოს სოფელ შილდაში, სადაც ბილბორდი განთავსებული იყო ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კედელზე, ოჯახის მეპატრონის განცხადებით, გვიან ღამით, დაახლოებით, 00:30 საათზე მოხდა სამი გასროლა. სახლის მეპატრონის რეაგირების შემდეგ 2 პიროვნება გაიქცა სახლთან ახლოს მიმალული ავტომობილით. **<u>მე-3 საკითხი:</u>** ქ. **თბილისში** 10 სექტემბერს დაფიქსირებულ ფაქტზე გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სერგო რატიანის ბილბორდის დაზიანების თაობაზე (მისი სრული ჩამოხევით და შეუქცევადი დაზიანებით). წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ხსენებულმა ფაქტებმა უკვე სისტემური ხასიათი მიიღო და წარმოადგენს შემთხვევების ქრონოლოგიურ	სექტემბერს საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების გამო“. **<u>მე-3 საკითხი:</u>** **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 13 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის ორგანიზაციის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დაუდგენელი პირის მიერ ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩის №68-ში, ე.წ. დკდ-ის ხიდზე განთავსებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ბანერის დაზიანების ფაქტზე. ვიქტორ გოგუაძის გამოკითხვისას გაირკვა, რომ ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩის №68-ში, ე.წ. დკდ-ის ხიდზე განთავსებული ბანერის დაზიანების ფაქტი აღმოაჩინეს 2016 წლის 10 სექტემბერს. სისხლის სამართლის საქმეზე დათვალიერდა შემთხვევის ადგილი საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტების თანდასწრებით, რა დროსაც გადაღებულ იქნა ფოტოსურათები. ბანერის დაზიანებით მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით დაინიშნა საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა. გამოკითხულ იქნენ შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყველა ობიექტში მომუშავე პირები, რომლებსაც შესაძლოა, ჰქონოდათ ინფორმაცია

		ჩამონათვალს დედოფლის წყაროს, თელავის, თეთრიწყაროს, თბილისის, საგარეჯოს, რუსთავის, წყალტუბოს, საბურთალოს და ონის მაგალითებზე. წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე ითხოვენ ადეკვატური რეაგირების განხორციელებას და შუალედური და შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგების თაობაზე შესაბამისი პასუხის მიწოდებას.	მომხდართან დაკავშირებით, თუმცა, მათი გამოკითხვით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია ვერ იქნა მიღებული. საქმეზე სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ზარალის ზუსტი ოდენობა ვერ განისაზღვრა, რადგან დანაშაულის შესახებ შეტყობინებამდე ბანერი იქნა შეცვლილი ახლით. დასკვნის თანახმად, თავად ბანერის ღირებულებაა 312 ლარი. საქმეზე მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის (პირების) დადგენის მიზნით“.
59	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1334/01 (14.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15583; 14.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> 2016 წლის 4 სექტემბერს ქალაქ კასპში წარდგენილ იქნა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი მეზურნიშვილი, ხოლო 5 სექტემბერს ირაკლი მეზურნიშვილი მოსახლეობას შეხვდა სოფელ სამთავისში. ზემოაღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. <u>1-ლი საკითხი:</u> **ცესკო:** „აღნიშნული საკითხი შეისწავლა №30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ. არ დადგინდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“.

		წევრები, კერძოდ, გერისო ბაციკაძე, თამაზ მერებაშვილი და ნანი ძიძიშვილი, რაც დადასტურებულია ფოტომასალით. <u>მე-2 საკითხი:</u> წერილში აღნიშნულია ქალაქ მარტვილში საოლქო კომისიაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სიების შეტანზეც საოლქო კომისიის წევრების მიერ, წარმოდგენილია ჟურნალის ქსეროასლები, რომელთაც, მათი თქმით, არ აქვს შემომტანის ხელმოწერის გრაფა, ამიტომ ხელს აწერენ გამომგზავნის გრაფაში. მოითხოვენ, დადგეს მდივნის (ნინო დანელიას) დისციპლინური პასუხისმგებლობა, ამასთან, ვინაიდან სიები არაუფლებამოსილი პირის მიერაა შედგენილი, ითხოვენ სიების გაუქმებას.	<u>მე-2 საკითხი:</u> **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილ განცხადებას დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში სწავლობს ცესკო-ს შიდა აუდიტის სამსახური“.
60	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1337/01 (14.09.2016)	განცხადების თანახმად, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი:** „მიმდინარეობს სამართალდამრღვევი პირების იდენტიფიცირება (მუნიციპალიტეტმა მიმართა

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15583; 14.09.2016	კანდიდატ ნუგზარ წიკლაურის პლაკატზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის პლაკატები გადააკრეს. ხსენებულ ქმედებაში მონაწილეობდნენ ლაშა ხაჭვანი, გიორგი ჭილაშვილი და პაატა ჭილაშვილი.	სამართალდამცავ ორგანოებს). შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტი განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ქმედებებს“.
61	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1333/01 (14.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15580; 14.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მოსახლეობასთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს. განცხადების ავტორს მიაჩნია, რომ აღნიშნული შეხვედრის ჩაშლის უკან „ქართული ოცნების“ კასპის ორგანიზაციის თავმჯდომარე თეიმურაზ ხიზანიშვილი დგას და	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-ს, მთავარ პროკურატურას, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. <u>1-ლი საკითხი:</u> **შსს:** „2016 წლის 15 სექტემბერს შსს ადმინისტრაციიდან კასპის რაიონულ სამმართველოში შემოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2016 წლის 14 სექტემბრის №1333/01 წერილი, რომელიც ეხება 2016 წლის 05 სექტემბერს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნუგზარ ნონიაშვილისათვის მოსახლეობასთან შეხვედრაში ხელის შეშლის ფაქტს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 2016 წლის 14 სექტემბრის №1333/01 წერილით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კასპის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ფაქტის შესწავლა. დადგენილ იქნა კონფლიქტში მონაწილე ერთი პირი – კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში მცხოვრები ზაზა ქსოვრელი, რომელმაც გამოკითხვისას აღნიშნა, რომ მან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნუგზარ ნონიაშვილს შეურაცხყოფა მიაყენა პირადი მოტივით, ამასთან აღნიშნა, რომ მას მოსახლეობასთან შეხვედრაში ხელი არ შეუშლია და მალევე დატოვა მითითებული ადგილი. ფაქტზე მიმდინარეობს ინციდენტში მონაწილე პირების დადგენა მათი გამოკითხვის მიზნით.

		მომხდარი ფაქტი ადასტურებს სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირთა და მათთან დაახლოებული მომხრეების მხრიდან წინა საარჩევნო აგიტაციისა და შეხვედრების ხელის შეშლას. **<u>მე-2 საკითხი:</u>** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში მცხოვრები ვეფხია ნიქაბაძისა და გივი მაჭავარიანის (არიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები და ეწევიან პარტიულ საქმიანობას) საცხოვრებელ სახლებში შევიდა პოლიცია. ჩხრეკის დროს არ წარუდგენიათ ჩხრეკის ნებართვა და არ შეუდგენიათ ჩხრეკის ოქმი. ხსენებული ქმედება წერილის ავტორს მიაჩნია წინასაარჩევნო პერიოდში ხალხის დაშინების მცდელობად. **<u>მე-3 საკითხი:</u>** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძიაში	ამ ეტაპზე მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი:** „თეიმურაზ ხიზანიშვილი იმყოფება 2-თვიან ანაზღაურებისგარეშე შვებულებაში 15 აგვისტოდან 15 ოქომბრამდე ვადით“. **<u>მე-2 საკითხი:</u>** **შსს:** „2016 წლის 07 სექტემბერს შემოწმდა სოფ.ლაშეში მცხოვრები გ.მ.-სა და ვ.ნ.-ის საცხოვრებელი სახლები. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მითითებულ ადგილებზე შესაძლოა, იმყოფებოდა ქ.თბილისში მომხდარი ერთ-ერთი მკვლელობის თანამონაწილე. ჩხრეკა არ ჩატარებულა, მოხდა ბინაზე შემოწმება, რაზედაც შედგენილია სათანადო ოქმი“. **<u>მე-3 საკითხი:</u>** **მთავარი პროკურატურა:** „მზია კოჩაძემ გამოკითხვისას განაცხადა, რომ სკოლის დირექტორ ჯამბულ ხიჯაკაძესთან საუბარი ჰქონდა სამუშაო საათების

		ადგილი აქვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერების დაშინებას, შევიწროებას, კერძოდ, ვარძიის საჯარო სკოლის დირექტორ ჯამბულ ხიჯაკაძის, სოფლის წარმომადგენელ მზექალა გლუნჩაძის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელ შმაგი ხიჯაკაძის მხრიდან ხორციელდება ზეწოლა მასწავლებელ მზია კოჩაძეზე. <u>მე-4 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქალაქ ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორის მიმართ ხორციელდება ზეწოლა და დაშინება, კერძოდ, სოფელ მამხუტში მცხოვრებ ეთიბარ გაჯიევთან მივიდა სოფლის თემის საკრებულოს წევრი რასულ ბახტიაროვი და მოსთხოვა პარტიის დატოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა იარაღისა და წამლის	გადანაწილების საკითხზე. მან უარყო ვინმეს მხრიდან მის მიმართ ზეწოლის, მუქარის ან სხვა რაიმე სახის იძულების ფაქტი“. **შსს:** „ხარაგაულის რაიონულმა სამმართველომ აღნიშნული ფაქტის ირგვლივ გამოკითხა მხარეები. საქმეზე არსებული მასალებით და მზია კოჩაძის განმარტებით დადგინდა, რომ მზია კოჩაძის მიმართ შეურაცხყოფისა და ზეწოლის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და მას ამის თაობაზე რომელიმე პოლიტიკური პარტიისთვის არ მიუმართავს. აღნიშნულ ფაქტს ზედამხედველობას უწევს ზესტაფონის რაიონული პროკურატურა. დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო გამოძიება არ დაწყებულა“. **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სსიპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარძიის საჯარო სკოლიდან“. გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, კათედრის სხდომაზე საუბარი იყო 2016-2017 სასწავლო წლის პირველი კლასის სადამრიგებლო საათის განაწილების მიზანშეწონილობაზე. აღნიშნულ პედაგოგს დარჩა სადამრიგებლო საათი. საკითხის შესწავლის შედეგად არ იკვეთება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა“. <u>მე-4 საკითხი:</u> **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 12 სექტემბერს ბოლნისის რაიონულ სამმართველოში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერის, ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტში მცხოვრები ეთიბარ გაჯიევის შეტყობინების საფუძველზე დაიწყო წარმოება საქმეზე, ე.გ.-ის მიმართ ჩადენილი უკანონო ქმედების ფაქტზე. საქმეზე ჩატარებული გამოკითხვებით დადგინდა, რომ 2016 წლის სექტემბრის დასაწყისში (ზუსტი რიცხვი უცნობია) ბოლნისის გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.გ. და ბოლნისის საკრებულოს დეპუტატი რასულ ბახტიაროვი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. ვინაიდან რასულ ბახტიაროვმა არ იცოდა,რომ ე.გ. იყო ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი, უთხრა მას, რომ მონაწილეობა მიეღო სახელისუფლებო პარტია ,,ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო აგიტაციაში. მას საკითხთან დაკავშირებით ე.გ.-გან პასუხი არ მიუღია. ამის შემდეგ ე.გ.-მ მომართა ბოლნისის რაიონულ სამმართველოს და განაცხადა, რომ რასულ ბახტიაროვს მასთან ურთიერთობისაგან თავი შეეკავებინა. მანვე განმარტა, რომ რასულ ბახტიაროვის მხრიდან მის მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტს ადგილი არ

		ჩადებით სახლში ან მაღაზიაში. წერილის ავტორის აზრით, აღნიშნული ქმედება წარმოადგენს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ითხოვს წარმოდგენილ ფაქტებზე ეფექტურ და ადეკვატურ და ქმედით რეაგირებას.	ჰქონია. ე.გ.-ს, საკრებულოს დეპუტატ რასულ ბახტიაროვისა და კიდევ ერთი პირის გამოკითხვებით დადგინდა, რომ რასულ ბახტიაროვის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის და რაიმე სახის სამართალდარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. საქმეზე მიმდინარობს წარმოება“.
62	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1335/01 (14.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15585; 14.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტის ნიგოზეთის თემის სოფლებში ტარდება უფასო სამედიცინო შემოწმება საკრებულოს წევრ ინა ასანიძისა და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სულხან მახათაძის ხელმძღვანელობით, რომლის მიზანია ამომრჩევლების მოსყიდვა.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, შსს-ს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. <u>1-ლი საკითხი:</u> **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „დაიწყო შესწავლა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ნიგოზეთის თემის სოფლებში გამოკვლევების საკითხზე. ვერ იქნა მოძიებული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სულხან მახათაძის მონაწილეობის ფაქტი, რისთვისაც ეთხოვა საჩივრის ავტორს ინფორმაციის დაზუსტება“. **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება შესასწავლად გადაეგზავნა №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. მოკვლევის შედეგად არ დადასტურდა ამომრჩევლის მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი. შესაბამისად, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი პასუხი“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:**

		წერილის ავტორს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედება, გარდა იმისა, რომ კანონდარღვევაა, შესაძლოა, შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და ითხოვენ სათანადო რეაგირებას. <u>მე-2 საკითხი:</u> წარმოდგენილია ინფორმაცია 2016 წლის 7 სექტემბერს კომისიის სხდომაზე განხილული 2016 წლის 5 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ სანდრა რულოვსის შეხვედრის ხელის შეშლისა და ჩაშლის მცდელობის ფაქტზე მასში მონაწილე პირების ვინაობისა და მათი	წარმოდგენილია ინა ასანიძის პოზიცია: „ჩემთვის ეს წერილი ძალიან მტკივნეულია, რადგან კარგად მოგეხსენებათ ჩემი საქველმოქმედო საქიანობის შესახებ ჩემს რაიონში, განსაკუთრებით კი, ნიგოზეთის თემში და მაინცადამაინც დღეს ამ თემის წინ წამოწევა რატომ გახდა აუცილებელი, ცოტა უცნაური და გულდასაწყვეტია. 2016 წლის 10-11 სექტემბერს ნიგოზეთის თემის სოფლებში – მერევსა და ბერეთისაში – ჩატარებული უფასო სამედიცინო გამოკვლევები ემსახურებოდა ქველმოქმედებას. მსგავსი აქციები ჩემგან არაერთხელ იყო განხორციელებული, მაგალითად, 2014 წლის სექტემბერში, 2015 წლის მარტსა და სექტემბერში, ასევე, 2016 წლის მარტსა და სექტემბერში (ეს აქციები შეგიძლიათ მოიძიოთ ადგილობრივი ტელევიზია „იმერვიზიის“ არქივში). აღნიშნულ აქციას არანაირი შეხება არ ჰქონია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დეპუტატობის კანდიდატ სულხან მახათაძის საარჩევნო კამპანიასთან. აქციაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე, არ ყოფილა არანაირი პოლიტიკური აგიტაცია. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს აქცია იყო წმინდა საქველმოქმედო ხასიათის, როგორც აქამდე არაერთგზის განხორციელებული ჩემი ყველა აქცია, რასაც, სავარაუდოდ, დამიდასტურებს ადგილობრივი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მე ყოველთვის ვცდილობ, გავაკეთო სიკეთე. 2012 წელსაც მქონდა სურვილი, დავხმარებოდი ნიგოზეთის თემში უკბილოდ დარჩენილ მოსახლეობას და გამეკეთებინა მათთვის უფასო პროთეზირება, რაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. 2016 წელს მეტი სამედიცინო გამოკვლევები აღარ იგეგმება. შემდეგი აქცია ჩატარდება 2017 წლის მარტში“. <u>მე-2 საკითხი:</u> **შსს:** „იხ. ცხრილის 49-ე საკითხის გადაწყვეტილება“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი:** „თენგო აბულაძე არ არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი“.

		კავშირის შესახებ „ქართულ ოცნებასთან“. ითხოვენ გამოძიებას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას. წერილში უკმაყოფილებაა გამოთქმული შს მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, თითქოს ოპოზიციური პარტიების მხრიდან არჩევნების შემდეგ იგეგმება პროვოკაციები, რაც, მათი აზრით, ქმნის წინასაარჩევნო დაძაბულობას. <u>მე-3 საკითხი:</u> 10 სექტემბერს ქ. სენაკში გაიმართა „ქართული ოცნების“ კანდიდატ ირაკლი ბერაიას შეხვედრა მოსახლეობასთან, რომელსაც ესწრებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები (კომისიის მდივანი პლანიშა ანთია, კომისიის წევრი ლერი ბესელია, წევრი რეუმერი ღვინჯილია, სენაკის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი კახაბერ ტორჩინავა).	<u>მე-3 საკითხი:</u> **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი განცხადება შესასწავლად გადაეგზავნა №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შესწავლილ იქნა საკითხი და ვინაიდან არ დადგინდა სამართალდარღვევის ფაქტი, განმცხადებელს წერილობით ეცნობა პასუხი. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრებისთანავე. შესაბამისად, განცხადებაში აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წინასაარჩევნო შეხვედრაში მონაწილეობის დღეს მათი უფლებამოსილება არ იყო დაწყებული“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი:** „10 სექტემბერი იყო შაბათი დღე (არასამუშაო პერიოდი)“.

		აღნიშნული ქმედება წარმოადგენს კანონდარღვევას და ითვალისწინებს ჯარიმას. მოთხოვნილია ზემოდასახელებული პირების დაჯარიმება.	
63	შორაპნის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელ ამირან გელეტაშვილის შეტყობინება წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 15.09.2016	შეტყობინების თანახმად, 2016 წლის 9 სექტემბერს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, შორაპნის საზოგადოებრივ ცენტრში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ კობა გოჩელეიშვილის ინიციატივით დეპუტატობის კანდიდატმა ილია კოკაიამ გამართა მხარდამჭერებთან შეხვედრა. შორაპნის საზოგადოებრივი ცენტრის შენობა ირიცხება გამგეობის ბალანსზე.	ინფორმაცია რეაგირებისათვის გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 29 სექტემბრის №042 წერილით პასუხი გაეცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომლითაც ეცნობა, რომ ჩატარებული მოკვლევის შედეგად არ იკვეთება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი, რის გამოც არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“.
64	ა(ა)იპ „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ალექსანდრე კობაიძე	წერილი ეხება წინასაარჩევნო კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს (მარიამ ჯაშის, გიორგი მოსიძის და შოთა ხაბარელის საარჩევნოდ შექმნილი	ინფორმაცია რეაგირებისათვის გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „აღნიშნულ საკითხს სწავლობს №6 სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე“.

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15681; 16.09.2016	ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდებიდან), თუ როგორ მონაწილეობენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლები მაჟორიტარი კანდიდატების სააარჩევნო აგიტაციაში.	
65	„უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“ იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15773; 19.09.2016	№4 მაჟორიტარულ ოლქში, დიდ დიღომში (პეტრე იბერისა და მირიან მეფის ქ.) საარჩევნო სუბიექტ ,,უსუფაშვილი - რესპუბლიკელების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ თამარ ხიდაშელის საარჩევნო პლაკატები მიზანმიმართულად დააზიანეს და დაფარეს საარჩევნო სუბიექტ ,,დავით თარხან-მოურავის, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი მაჟორიტარი კანდიდატის, ალექსანდრე ამზაშვილის, საარჩევნო პლაკატებით. ასევე, №6 მაჟორიტარულ ოლქში, საბურთალოს რაიონში, მიროტაძის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის ღობეზე, მაჟორიტარი დეპუტატობის	ინფორმაცია რეაგირებისათვის გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „„№4 მაჟორიტარულ ოლქში (პეტრე იბერისა და მირიან მეფის ქ.) სამართალდარღვევის ფაქტზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტის - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - შედგა სამართალდარღვევის ოქმები №000101 და №000033, ხოლო № 6 (მიროტაძის ქ.) მაჟორიტარულ ოლქზე – „ქართული იდეის“ მიმართ იმავე მუხლით ოქმი №000118“.

		კანდიდატ დავით უსუფაშვილის საარჩევნო პლაკატები დაფარეს საარჩევნო სუბიექტ ,,ქართული იდეის“ ერთ-ერთი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ალექსანდრე (სანდრო) ბრეგაძის საარჩევნო პლაკატებით. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მტკიცებულებად წარმოადგენენ ფოტომასალას.	
66	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1399/01 (18.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15792; 20.09.2016	წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავისმანში საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ბადრი ბასიშვილის მიმართ სამართალდამცავ პირთა თანდასწრებით წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოებისას ადგილი ჰქონდა ფიზიკურად ხელი შეშლის ფაქტს გორის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების მხრიდან. ფაქტი გაშუქებული იქნა 17 სექტემბერს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, შსს-ს. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 17 სექტემბერს შსს გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის №1 განყოფილებაში შევიდა შეტყობინება, რომ „112“-ის ოპერატიული მართვის სამსახურს დაუკავშირდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რომელმაც განაცხადა, რომ მოსახლეობასთან აქვს შეხვედრა და გამგებლები და მოჭიდავეები უშლიან ხელს. ადგილზე მისვლისას სოფელ ფლავისმანის ცენტრში პოლიციის თანამშრომლებს დახვდა ბადრი ბასიშვილი მის მხარდამჭერებთან ერთად, რომელიც მიუთითებდა მათგან დაახლოებით 100 მეტრში მდგარ პიროვნებებზე, რომ წინასაარჩევნო პლაკატების გაკვრაში ხელს უშლიდნენ ტყვიავის გამგებელი და რამდენიმე პიროვნება (აღნაგობიდან და ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, იყვნენ სპორტსმენებ)ი. პოლიციის ადგილზე მისვლისას ყველანაირი კონფლიქტი იყო აღმოფხვრილი, სიტუაცია განიმუხტა და ბადრი ბასიშვილმა განაგრძო როგორც პლაკატების გაკვრა, ისე მოსახლეობასთან შეხვედრა და წინასაარჩევნო ბუკლეტების დარიგება.

		მიერ საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ 12:00, 15:00, 18:00 სთ, დარღვევებში მონაწილე პირები, ასევე, დააფიქსირეს შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, თუმცა, ამ დრომდე რაიმე ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია. წერილის ავტორის მითითებით, დაპირისპირებისა და განზრახ ხელშეშლის ინიციატორი პირები არიან: ვახტანგ გიუნაშვილი - №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის დაქვემდებარებაში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; მალხაზ მეტრეველი - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტი ტყვიავის ტერიტორიულ ერთეულში. ლაშა აზალაძე - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტი. ამირან აზალაძე - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა(ა)იპ ფლავის საბავშვო ბაღის თანამშრომელი.	დათვალიერებულ იქნა სოფელ ფლავისმანის ცენტრი, რა დროსაც ნანახი იქნა, რომ, როგორც მოსახლეობის ღობეებზე, ისე იქვე ცენტრში მდგარ ჯიხურსა და ელექტროგანათების ბოძზე გაკრული იყო დეპუტატობის კანდიდატ ბადრი ბასიშვილის პლაკატები დაუზიანებელ მდგომარეობაში. მოხდა მათი ფოტოგრაფირება. გამოკითხულმა პირებმა განმარტეს, რომ არც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს და არც უკმაყოფილო ადგილობრივ მოსახლეობას ერთმანეთისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ასევე, აღნიშნეს, რომ ადგილზე სპორტსმენები არ ყოფილან – ყველა იყო ადგილობრივი მოსახლე, რომლებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მათ დაუკითხავად ღობეებზე პლაკატების გაკვრის გამო“. **ცესკო:** „საჩივრისა და მასზე დართული საქმის მასალების შესწავლის შედეგად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ №1582/01 საჩივარი (ცესკო-ში რეგისტრაციის №4887) №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ (26.09.2016) მიღებული სამართლებრივი აქტის (ოქმი №14/2016) ბათილად ცნობის ნაწილში. ასევე, არ დააკმაყოფილა №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი (26.09.2016) სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობის ნაწილში ასეთი აქტის არარსებობის გამო“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ №1399/01 (18.09.2016) საჩივრით (გამგეობის რეგისტრაციის №1449, 20.09.2016), ცენტრალური საარჩევნო კომისიის №01-02/2357 (19.09.2016) წერილითა და თანდართული დოკუმენტაციით (გამგეობის რეგისტრაციის №1456, 20.09.2016) მოწოდებული სოფელ ფლავი-ფლავისმანში აგიტაციის ხელშეშლის ფაქტზე გამგებლის №1-1321 (22.09.2016) ბრძანების საფუძველზე გამგეობის იურიდიულ სამსახურში („საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის, 93-ე მუხლის მე-4, მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 231-ე, 236-ე, 237-ე, 260-ე, 262-ე მუხლებით დადგენილი წესით დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა. მიმდინარე წლის 29 სექტემბერს იურიდიულ სამსახურში ჩატარდა პირველი მოსმენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლისა

		არჩილ (აჩიკო) ლაფაჩი - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფლავისმანის საბავშვო ბაღის თანამშრომელი. ნიკოლოზ მეტრეველი - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურის უფროსის ძმა. კახა მიდელაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფლავის საბავშვო ბაღის დირექტორის ძმა. წარმოდგენილი ინფორმაციით, ხსენებულ პირთა მხრიდან დაპირისპირებასა და წინასარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ხელშეშლის ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოჩანაწერით და ფოტომასალით.	და გამგეობის იმ თანამშრომელთა მონაწილეობით, რომლებზეც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საჩივარში უთითებს. მეორე მოსმენა/განხილვა დანიშნულია და ყველა დაინტერესებული პირისათვის ცნობილია, რომ ჩატარდება 3 ოქტომბერს. ამდენად, უფლებამოსილი ორგანო (გამგეობა/მუნიციპალიტეტი) ყველა მტკიცებულების, ბრალეულობის და სხვა გარემოებების გამოკვლების საფუძველზე (რომელსაც მნიშვნელობა ექნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის) კანონით განსაზღვრულ 15 დღის ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას სამართალდარღვევის ჩადენის არსებობის ან არარსებობის შესახებ“.
67	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1400/01 (18.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15788; 20.09.2016	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე საოლქო საარჩევნო კომისიებს დაეგზავნა ინსტრუქცია, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების, ასევე, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებისათვის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო:** „საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის ცესკო-ს მიერ გაგზავნილი ინსტრუქცია წარმოადგენდა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტს, რომელიც შეიცავდა ამონარიდებს „საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან“. კერძოდ, იგი მიუთითებდა დამკვირვებელთა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა იმ უფლებებსა და ვალდებულებებზე, რაც მათ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად აქვთ მინიჭებული. ხსენებული ინსტრუქციის საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაგზავნის მიზანი იყო მხოლოდ რეკომენდაციების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ საარჩევნო კოდექსის რომელი ნორმების მიხედვით უნდა იმოქმედონ საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში. განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობით პასუხი (წერილის №01-02/1937)“.

		ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ მინიჭებული უფლებების შეზღუდვის მიზნით. მიუთითებენ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში ხსენებული ინსტრუქციის გამო უფლებამოსილების განხორციელებას უზღუდავენ საარჩევნო ბლოკი „ენმ-ს“ მიერ დანიშნულ წარმომადგენლების, ასევე, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლებს, ხოლო სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში არიან ,,ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული წარმომადგენლები.	
68	,,ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 20.09.2016	მთაწმინდის რაიონში ,,ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გრიგოლ (გიგლა) ბარამიძის პლაკატი გადაფარულია ,,თავისუფალი დემოკრატების“ მაჟორიტარობის კანდიდატ ნიკოლოზ (კოკა) ფრუიძის პლაკატით. ზემოხსენებული	ინფორმაცია რეაგირებისათვის გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ წერილში მითითებული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მისამართი არ არის მითითებული“.

		მტკიცებულებების სახით დაფიქსირებულია ფოტოგადაღებით.	
69	ა(ა)იპ „ახალი თაობა - დემოკრატიული საქართველოსთვის“, ნატალია ხოხიაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 11.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> თითქმის ყველგან შეინიშნება ,,ქართული ოცნების" აქტივისტების მიერ ,,პატრიოტთა ალიანსის" სააგიტაციო პლაკატებზე გადაკვრის ფაქტები (გამოძახებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი და ზედამხედველობის სამსახური, მაგრამ ჯერ რეაგირება არ მომხდარა). <u>მე-2 საკითხი:</u> გლდანის მაჟორიტარ კანდიდატს აუკრძალეს პლაკატების გაკვრა ისეთ ადგილზე, სადაც სახელისუფლებო კანდიდატის პლაკატები იყო გაკრული და ამისთვის დააჯარიმეს. <u>მე-3 საკითხი:</u> ვაზისუბანშიც დადგინდა პლაკატების გადაკვრის	ინფორმაცია გადაეგზავნა თბილისის მერიას, შსს-ს და მთავარ პროკურატურას. <u>1-ლი საკითხი:</u> **თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ყოველდღიურად ახდენს თბილისის ტერიტორიაზე ინსპექტირებას და სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს“. <u>მე-2 საკითხი:</u> **თბილისის მერია:** „გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მამუკა ტუსკაძე პლაკატს აკრავდა კანონით აკრძალულ ადგილას, რის გამოც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 150-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000070“. <u>მე-3 საკითხი:</u>

		ფაქტი, ოღონდ ამჯერად „პატრიოტთა ალიანსის პლაკატებზე“ პარტიამ „სახელმწიფო ხალხისთვის“ გადააკრა თავისი პლაკატები. <u>მე-4 საკითხი:</u> ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონში, ყოფილი მე-40 სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატები ირაკლი ლატარია და გიორგი ბენაშვილი მართავდნენ შეხვედრას. პარალელურ რეჟიმში „ქართულმა ოცნებამაც“ გამართა შეხვედრა. ამით, ფაქტობრივად, მათი შეხვედრა ჩაიშალა. <u>მე-5 საკითხი:</u> დიდუბის მე-16 საარჩევნო ოლქშიც გადააკრეს „პატრიოტთა ალიანსის“ სააგიტაციო პლაკატზე „ქართული ოცნების“ პლაკატები, მაგრამ ზედამხედველობის სამსახურიდან რეაგირება ჯერ არ მომხდარა.	**თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ წერილში მითითებული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მისამართი არ არის მითითებული“. <u>მე-4 საკითხი:</u> გთხოვთ, იხილოთ უწყებათაშორისი კომისიის **2016 წლის 14 სექტემბრის** რეკომენდაცია (http://justice.gov.ge/Mi№istry/I№dex/487) . <u>მე-5 საკითხი:</u> **თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ წერილში მითითებული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მისამართი არ არის მითითებული“.

		<u>მე-6 საკითხი</u> ძალადობის ფაქტი გამოვლინდა ნაძალადევის ოლქში, სადაც „პატრიოტთა ალიანსიდან“ კენჭს ლალი მოროშკინა იყრის. მისი განმარტებით, პლაკატის გაკვრის გამო „ქართული ოცნების“ 25-მდე აქტივისტმა სცემა მისი ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელ შოთა ლორიას, რომელიც მძიმე დაზიანებებით მოთავსებულია საავადმყოფოში.	<u>მე-6 საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა, შსს:** „მიმდინარეობს გამოძიება შოთა ლორიას ცემის ფაქტზე სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. 2016 წლის 19 სექტემბერს „პატრიოტთა ალიანსის“ აქტივისტები, მათ შორის, შოთა ლორია, ც. დადიანის ქუჩაზე აკრავდნენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლალი მოროშკინას სააგიტაციო პლაკატებს, რა დროსაც სამმა პიროვნებამ მოუწოდა მათ, არ გაეკრათ პლაკატი ახლად შეღებილ ავტოფარეხის კარებზე. შელაპარაკებისას მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენეს შოთა ლორიას. საქმეზე დაკითხულია მოწმეები; დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, ჩატარდა ამოცნობები, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა (ექსპერტიზის დასკვნის პასუხი არ არის მიღებული). გრძელდება გამოძიება“.
70	„ეროვნული ფორუმი“ იუსტიციის სამინისტროს კანცელარია	წერილი შეეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელ კონსტანტინე მამისეიშვილის ბრძანების საფუძველზე წყალტუბოს	ინფორმაცია გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:**

	№ 01/15855; 21.09.2016	მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის, ბადრი ონიანის, უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტს. წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელ კონსტანტინე მამისეიშვილის 2016 წლის 29 აგვისტროს №31 1164 ბრძანება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან არ შეიცავს არავითარ მითითებას თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზების თაობაზე. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ბრძანების გამოცემის ერთადერთი მიზეზია ბადრი ონიანის მიერ 2016 წლის 08 ოქრომბერს გასამართ საპარლამენტო არჩევნებში „ეროვნული ფორუმის“ მაჟორიტარობის კანდიდატად მონაწილეობა წყალტუბოს №58-ე ოლქის 57-ე მაჟორიტარულ ოლქში. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე	„ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური დებულებით არის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების მოგვარებას. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, მათ შორის, ის ვალდებულია, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ გამოითხოვოს დაზუსტებული ინფორმაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული ბენეფიციარი ოჯახების შესახებ, რაც შესაძლებელს ხდის სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების სწორი მიმართულებით მობილიზებასა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხების ადეკვატურად გადანაწილებას. „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის“ უფროსის, ბადრი ონიანის, მიერ სამსახურებრივად მასზე დაკისრებული ფუნქციების არაჯეროვნად შესრულების შედეგად (თავის დროზე არ იქნა განსაზღვრული ბენეფიციართა რაოდენობა) 2016 წლის ბიუჯეტის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებულ ერთჯერადი ფულადი დახმარების მუხლში წარმოქმნილი ფინანსური დეფიციტის ფონზე შეუძლებელი გახდა 600 ბენეფიციარის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელთა სარეიტინგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-65000 არ აღემატება. ამასთან, „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური“ ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავს ადმინისტრაციული ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებებსა და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროფილის კორესპონდენციას. სამსახურის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული საქმის წარმოების დროს ათეულობით შემთხვევაში დაირღვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები და საქმის წარმოების კონკრეტული ვადები. კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის დროს სამსახურის უფროსის არაკომპეტენტური დამოკიდებულების გამო, მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირებას სამსახური ხშირ შემთხვევაში ახდენდა დაგვიანებით, რაც, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში იწვევდა უნდობლობასა და უკმაყოფილებას“. რაც შეეხება განთავისუფლების ბრძანების კანონიერების საკითხს, მუნიციპალიტეტის მხრიდან დაცული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებზე არ ვრცელდება) და „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მე-7 ნაწილი“.

		ითხოვენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.	
71	„პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ დანიელ დავითაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 21.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> მარნეულის საარჩევნო ოლქში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბანერის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ახმედ იმამკულიევის პლაკატების მარნეულში იმ ადგილებში გაკვრასთან დაკავშირებით, სადაც კანონით აკრძალულია (მათ შორის, მარნეულის გამგეობასთან). <u>მე-2 საკითხი:</u> თბილისის საბურთალოს №6 ოლქში დაფიქსირებული მაჟორიტარი დეპუტატობის	ინფორმაცია გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და თბილისის მერიას. <u>1-ლი საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან განხორციელდა „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობასა“ და იმავე პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ აკმამედ იმამკულიევის ბანერების განთავსება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ/ისეთ ადგილებში, რომლებიც საკრებულოს 2016 წლის 9 აგვისტოს №100 განკარგულებით საამისოდ არ არის გამოყოფილი, რამაც გამოიწვია მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება. ამასთან, საარჩევნო ბანერებზე არ იყო მითითებული დამკვეთი და დამამზადებელი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, მისი ტირაჟის და გამოშვების თარიღი, რაც, თავის მხრივ, არ შეესაბამება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნებს. ზემოხსენებულის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად იყო სააგიტაციო მასალის განთავსების მიზნით ისეთი ადგილები გამოყენებული, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 სექტემბრის №10651 ბრძანებით ეთხოვა მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ ,,სუფთა მარნეულს“ და მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურს, განეხორციელებინათ შესაბამისი ღონისძიებები სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით (მოეხდინათ ბანერებისა და პლაკატების უკანონო განთავსებაზე შესაბამისი რეაგირება). <u>მე-2 საკითხი:</u> **თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ წერილში მითითებული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მისამართი არ არის მითითებული“.

		კანდიდატ ალექსანდრე ბრეგაძის პლაკატებზე მათი ჩამოხევის შემდეგ გაკრულია სევდია უგრეხელიძის პლაკატი, ჩამოხეულ ა. ბრეგაძის პლაკატზე გაკრულია ფიზიკური პირების მობილური ტელეფონები რაღაცაზე შეღავათების შეთავაზებით.	
72	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1450/01 (21.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15869; 21.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქალაქ ხონში, **ხონისა და ვანის** „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გრიგოლ ლილუაშვილი აგიტაციას სკოლებში ატარებს. კერძოდ, ხონის რესურსცენტრის ხელმძღვანელის უშუალო ჩარევით ხონის მუნიციპალიტეტში მდებარე სკოლები წინასაარჩევნო სამზადისში ჩაერთვნენ. აგიტაციაში ჩართულნი არიან ხონის გამგებელი ჯემალ მებუკე, ხონის მუნიციპალიტეტის	ინფორმაცია გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, განათლების სამინისტროს, შსს-ს და მთავარ პროკურატურას. <u>1-ლი საკითხი:</u> **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში მოყვანილ საკითხს სწავლობს **ხონის** საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკითხი შესწავლის პროცესშია“. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, უფროსის - ჯულიეტა ქობალიას, განმარტებით, 15 სექტემბერს, ტრადიციულად, რესურსცენტრი და ადგილობრივი თვითმმართველობა სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს სკოლებს. იმ დღესაც, როცა რესურსცენტრის უფროსი ჯულიეტა ქობალია მისალოცად იმყოფებოდა სსიპ „მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლაში“, პარალელურად შემოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობა დეპუტატობის კანდიდატ გრიგოლ ლილუაშვილთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყების მისალოცად. ამ სკოლაში მე-2 წელია, ფუნქციონირებს მზაობის ჯგუფი, რომელსაც აფინანსებს ადგილობრივი თვითმმართველობა. მათ დაათვალიერეს აღნიშნული ჯგუფი და იქვე პირველკლასელებსაც მიულოცეს ახალი სასწავლო წელი. არავითარ საარჩევნო აგიტაციას ან მშობლებსა და მასწავლებლებთან შეხვედრას ადგილი არ ჰქონია.

		საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. ხონის საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა ყურაშვილსა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის უფროს მანანა გოქაძესთან ერთად სკოლებში გრიგოლ ლილუაშვილის წინასაარჩევნო აგიტაციას ახორციელებს. <u>მე-2 საკითხი:</u> მსგავსი ფაქტი ფიქსირდება **ახალციხის მუნიციპალიტეტში.** კერძოდ, ვალეს შესასვლელში მდებარე მეორე საჯარო სკოლაში. ხსენებულ სკოლას ორი ჭიშკარი აქვს, ორივე მათგანზე ახალციხე-ადიგენის ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი კოპაძის პლაკატებია გაკრული. მათი აზრით, ხსენებული ფაქტით ხდება სკოლის პოლიტიზება და ითხოვენ პრევენციული ღონისძიებების გატარებას.	ვინაიდან სსიპ „მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლაში“ 15 სექტემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობისა და დეპუტატობის კანდიდატ გრიგოლ ლილუაშვილის სტუმრობას ჰქონდა მხოლოდ ახალი სასწავლო წლის დაწყების მილოცვის მიზანი, აღნიშნული შემთხვევა ვერ ჩაითვლება წინასაარჩევნო აგიტაციად და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად“. <u>მე-2 საკითხი:</u> **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „სსიპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს №2 საჯარო სკოლის“ დირექტორ გვანცა გოგოლაძის განმარტებით, 12 სექტემბერს (ორშაბათს) სამსახურში გამოცხადებისთანავე მან შენიშნა სკოლის შემოსასვლელში ჭიშკარზე გარედან გაკრული საარჩევნო სააგიტაციო მასალა. გვანცა გოგოლაძისათვის უცნობია, ვის მიერ იქნა აღნიშნული მასალა გაკრული და განმარტავს, რომ სააგიტაციო მასალა, კანონმდებლობის შესაბამისად, უმოკლეს დროში იყო ჩამოხსნილი სკოლის შესასვლელიდან. ვინაიდან სსიპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეს №2 საჯარო სკოლის“ შესასვლელიდან უმოკლეს დროში მოხდა სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, აღნიშნული შემთხვევა ვერ ჩაითვლება წინასაარჩევნო აგიტაციად და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევად“.

		<u>მე-3 საკითხი:</u> განცხადებაში აღნიშნავენ **სიღნაღის** მუნიციპალიტეტში მომხდარ ფაქტს. კერძოდ, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საბავშვო ბაგა-ბაღის გამგემ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი შიოლაშვილს ჰკითხა, თუ რას ჰპირდებოდა მათი გუნდი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგნელებმა ბაგა-ბაღი გაურემონტეს). ხსნებეული შეკითხვის შემდეგ ირაკლი შიოლაშვილის დავალებით ბაგა-ბაღის გამგეს მუქარითა და დაშინებით ჩამოაკიდებინეს ბაღში „ქართული ოცნების“ დროშა.	<u>მე-3 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტი:** „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროს ბაგა-ბაღში მოხდა აღნიშნული ფაქტი, თუმცა, როგორც ბაგა-ბაღის გამგე ლენა უსუფაშვილის ახსნა-განმარტებიდან ჩანს, დროშის გამოფენა მისი პირადი გადაწყვეტილება იყო და მასზე არავითარ ზეწოლას და მუქარას ადგილი არ ჰქონია. დღეის მდგომარეობით, დროშა არ არის გამოფენილი და მუნიციპალიტეტის მიერ ბაგა-ბაღის გამგეს გამოცხადებული აქვს სიტყვიერი გაფრთხილება ზემოაღნიშნული ფაქტის გამო“. **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 27 სექტემბერს სააღმზრდელო დაწესებულება მაღაროს №21 ფილიალის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ 2016 წლის სექტემბერში დეკორაციის მიზნით საბავშვო ბაღის აივანზე სხვა დეკორაციებთან ერთად გამოფინა ,,ქართული ოცნების“ დროშა. მისთვის ცნობილი არ იყო, რომ არ შეიძლებოდა საბავშვო ბაღის შენობაზე პარტიული დროშის გამოფენა. იმავე დღეს მასთან მივიდა სოფელ მაღაროს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი, რომელმაც უთხრა, რომ საჯარო და სასწავლო დაწესებულებაზე პარტიული დროშის დამაგრება და გამოფენა კანონით იყო აკრძალული, რის შემდეგაც მან ჩამოხსნა დროშა. ქალბატონმა ლენამ იქვე განმარტა, რომ იგი არის ,,ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, თავისი სურვილით დაესწრო სოფელ მაღაროში მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი შიოლაშვილთან შეხვედრას, რომლის დროსაც ირაკლი შიოლაშვილისათვის გამგეს კითხვა არ დაუსვამს. გამოკითხვის დროს მან აღნიშნა, რომ მის მიმართ რაიმე სახის შანტაჟს, დაშინებას და მუქარას ადგილი არ ჰქონია“.
73	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1449/01 (21.09.2016)	ხსენებული წერილით წარმოადგენენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის	განმცხადებლის მიერ უწყებათაშორის კომისიაში წარმოდგენილი განცხადებები მოცემულია აღნიშნულ ცხრილში უწყებების მხრიდან განხორციელებული შესაბამისი რეაგირებებით და გადაწყვეტილებებით.

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15873; 21.09.2016	უწყებათაშორისი კომისიის სახელზე წარდგენილი საჩივრების სრულ ჩამონათვალს, რომელთაგან არცერთ მათგანზე არ მიუღიათ წერილობითი პასუხები. ამასთან, აცხადებენ, რომ ისეთ შემთხვევებში, სადაც იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, არცერთი პირი არ მიცემულა პასუხისგებაში. ზემოაღნიშნულს აფასებენ დამნაშავეების გამოვლენისა და დასჯის პოლიტიკური ნების არარსებობად.	
74	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1447/01 (21.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15871; 21.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> იორმუღანლოს ზონის სოფელ დუზაგრამაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, ლამბალოს სკოლის მასწავლებელი რახმან ჰუსეინოვი, 12 სექტემბერს დაიბარა ლამბალოს სკოლის დირექტორმა დავით როსტომაშვილმა და დაემუქრა სკოლიდან გათავისუფლებით.	ინფორმაცია გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, განათლების სამინისტროს, შსს-ს და მთავარ პროკურატურას. <u>1-ლი საკითხი:</u> **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამაში მცხოვრებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტსა და სსიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის“ დირექტორს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის, უფროსი მანანა ცუცქირიძე დაუყოვნებლივ დაუკავშირდა აღნიშნული სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ დავით როსტომაშვილს. დავით როსტომაშვილმა განმარტა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა სცილდება მის კომპეტენციას და ის არ გამოხატავს არანაირ ღია დამოკიდებულებას არცერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ. მისი თქმით, იგი ინდივიდუალურად შეხვდა სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რა დროსაც განიხილეს გასულ წელს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები

		წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ ხსენებული ფაქტი შეიცავს სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. <u>მე-2 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქალაქ ჭიათურაში გივი გოგატიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორ მაკა ჯანყარაშვილს. აცხადებენ, რომ გივი გოგატიშვილი არის ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენელი	და მათი გამოსწორების გზები. დავით როსტომაშვილმა, ასევე, განმარტა, რომ მისი მხრიდან სსიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის“ პედაგოგ რახმან ჰუსეინოვის დაბარებას და პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების მუქარას ადგილი არ ჰქონია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა არ დადასტურდა“. **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 27 სექტემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამაში მცხოვრებმა რ.გ.-მ გასაუბრებისას განმარტა, რომ 2012 წლიდან მუშაობს საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მდებარე ლამბალოს საჯარო სკოლაში მასწავლებლად. მისი თქმით, სკოლის მთელ პერსონალთან მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულების მქონეა და არავისთან არანაირი სახის კონფლიქტი არ აქვს. კარგი და მეგობრული დამოკიდებულება აქვს, ასევე, დ.რ.-თან. რ.გ. განმარტავს, რომ მის მიმართ არასდროს არანაირი სახის მუქარას ან იძულებას ადგილი არ ჰქონია, მით უმეტეს, ამ ბოლო დროს და თან პოლიტიკური ნიშნით. მას არ დამუქრებია არც სკოლის პერსონალი და არც სკოლის დირექტორი სამსახურიდან დათხოვნით. ის იქვე დასძენს, არ არის გაერთიანებული არცერთ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციაში, მისი დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების მიმართ იცის მხოლოდ თვითონ და ამის მიმართ არავის ინტერესი არ გამოუჩენია“. <u>მე-2 საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 28 სექტემბერს ჭიათურის შს რაიონული სამმართველოს მუშაკების მიერ გივი გოგატიშვილის მხრიდან შესაძლო ზეწოლის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებით მაკა ჯანყარაშვილმა განმარტა, რომ მაღაზიასთან შეხვდა გივი გოგატიშვილს. მაღაზიაში ყოფნისას გამოელაპარაკა გამყიდველი, რომელმაც ჰკითხა - რა ხდებოდა მის უბანში არჩევნებთან დაკავშირებით. პასუხად მან მიუგო, რომ ყველაფერი კარგად იყო და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევდა ხმას. საუბარში ჩაერთო გივი გოგატიშვილი, რომელმაც თქვა, რომ „ნაციონალების“ დრო წასული იყო და ჰკითხა, რატომ აძლევდა მათ ხმას. ჯანყარაშვილის განმარტებით, მათ შორის იყო მეზობლური საუბარი და ერთმანეთისათვის რაიმე სახის შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მეორე დღეს ყველაფერი ანალოგიურად უამბო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში და იქვე დაამატა, რომ ტოლსტოის ქუჩაზე პარტიას არ ჰყავდა მხარდამჭერები, რადგან მოსახლეობის უმრავლესობა და, მათ შორის, გივი გოგატიშვილი, მხარს არ უჭერდა.

		და კავშირი აქვს ადგილობრივი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან. ფაქტთან დაკავშირებით ითხოვენ გამოძიების დაწყებას და დასახელებული პიროვნების დაკითხვას. **<u>მე-3 საკითხი:</u>** საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ქალაქ ახალციხეში ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. კერძოდ, 2016 წლის 15 სექტემბერს ახალციხის მერის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზარდიაშვილი „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ ვლადიმერ ზედგინიძის მიერ გამართულ შეხვედრაზე მივიდა სამსახურებრივი მანქანით. ხსენებული ფაქტი შეფასებული აქვთ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევად. ითხოვენ ხსენებული პიროვნების დაჯარიმებას.	მაკა ჯანყარაშვილის განმარტებით, მის მიმართ რაიმე სახის ზეწოლას ან მუქარასა და შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია და არც ვინმესთვის უთქვამს ამის შესახებ. **<u>მე-3 საკითხი:</u>** **<u>ცესკო</u>**: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში მოყვანილ საკითხებს სწავლობს ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. **საკითხი შესწავლის პროცესშია“.** **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „2016 წლის 15 სექტემბერს მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ხორციელდებოდა ქალაქში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ტერიტორიების მონახულება, რა დროსაც (რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობისას) ხალხმრავლობის მიზეზის გაგების მიზნით მან შეაჩერა ავტომანქანა. ამასთან, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ხალხი შეკრებილი იყო „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ ვლადიმერ ზედგინიძესთან შესახვედრად, შეხვედრის დაწყებამდეე დატოვა ტერიტორია და ავტომანქანა ადმინისტრაციულ შენობასთან გააჩერა, მოგვიანებით კი შეხვედრაზე დაბრუნდა ავტომანქანის გარეშე. წინასაარჩევნო შეხვედრაზე მერის სამსახურებრივი მანქანით მისვლის (ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება) ფაქტი არ დადასტურდა.

75	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1448/01 (21.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/15872; 21.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> სარჩევნო კამპანიის ფარგლებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილის საარეკლამო ბანერი, რომელიც განთავსებული იყო პატარძეულის შესასვლელში, 19 სექტემბერს მეორედ დააზიანეს მისი სრული ჩამოხევით, რამაც გამოწვია ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება განადგურების თანხლებით. <u>მე-2 საკითხი:</u> ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით ნაფეტვარიძის პლაკატების დაფარვა; <u>მე-3 საკითხი:</u>	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, შსს-ს, მთავარ პროკურატურას და თბილისის მერიას. <u>1-ლი საკითხი:</u> **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 19 სექტემბერს დაიწყო გამოძიება ზურაბ ჭიაბერაშვილის საარჩევნო ბილბორდის დაზიანების ფაქტზე, სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებით დადგენილია, რომ 2016 წლის 19 სექტემბერს დააზიანეს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის შესასვლელთან არსებული საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილის საარჩევნო ბილბორდი. საქმეზე გამოკითხულია ერთი მოწმე, რომლისთვისაც უცნობია ფაქტის ჩამდენი პირის ვინაობა. სარეკლამო ბანერის ღირებულების დადგენისა და ზიანის ოდენობის განსაზღვრის მიზნით დაინიშნა საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა, რომლის დასკვნა მიღებული არ არის. გრძელდება გამოძიება“. <u>მე-2 საკითხი:</u> **შსს:** „მიმდინარე წლის 08 სექტემბერს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს III განყოფილების თანამშრომლების მიერ გამოვლენილ იქნა ნათელა ვაჟას ასული სახამბერიძე (პირადი №03001010612, დაბ. 27.11.1985, მცხ. თბილისი, ზაზიაშვილის ქ. პირველი შესახვევი №1), რომელმაც ქ. თბილისში, ც. დადიანისა ქუჩისა და მამრაძის ხევის კვეთასთან ჩამოხია საარჩევნო პლაკეტები. მომხდართან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს“. <u>მე-3 საკითხი:</u>

		ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ პეტრე ცისკარიშვილის პლაკატის დაფარვა; <u>მე-4 საკითხი:</u> თბილისში, ნაძალადევის რაიონში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლერი დემეტრაშვილის პლაკატის დაზიანება; <u>მე-5 საკითხი:</u> ქალაქ ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბექა ბასილაიას პლაკატების გადაფარვა; <u>მე-6 საკითხი:</u> ხობის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მამუკა ჭოხონელიძის პლაკატის დაზიანება;	**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური:** „ვინაიდან წერილში არ არის მითითებული საარჩევნო პლაკატების გადაფარვის ზუსტი ადგილმდებარეობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობა,ს მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ რაიონებში“. <u>მე-4 საკითხი:</u> **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური:** „ვინაიდან წერილში არ არის მითითებული საარჩევნო პლაკატების გადაფარვის ზუსტი ადგილმდებარეობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ რაიონებში“. <u>მე-5 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი არ არის“. <u>მე-6 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი არ არის“.

		<u>მე-7 საკითხი:</u> ქალაქ გორში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატგობის კანდიდატ ალექსანდრე გოგლიძის პლაკატის დაზიანება; <u>მე-8 საკითხი:</u> სიღნაღის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატგობის კანდიდატ ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო ბანერის დაზიანება მისი სრული ჩამოხევით; <u>მე-9 საკითხი:</u> ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით ჟღენტის პლაკატის დაზიანება; <u>მე-10 საკითხი:</u> გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი	<u>მე-7 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი არ არის“. <u>მე-8 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი: „**სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი არ არის“. <u>მე-9 საკითხი:</u> **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქ. სამსახური:** „ვინაიდან წერილში არ არის მითითებული საარჩევნო პლაკატების გადაფარვის ზუსტი ადგილმდებარეობა, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ რაიონებში“. <u>მე-10 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი არ არის“.

		დეპუტატობის კანდიდატ დავით ღვინიაშვილის პლაკატის დაფარვა; <u>მე-11 საკითხი:</u> „სიღნაღის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან ბეჟაშვილის პლაკატის დაფარვა“.	<u>მე-11 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი არ არის“. **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში მოყვანილი საკითხების შესწავლა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან მის მიერ უფლებამოსილი პირის კომპეტენციას. შესაბამისად, აღნიშნული განცხადება შესწავლისა და რეაგირებისთვის გადაეგზავნა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ქალაქ თბილისის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
76	„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ირმა პავლიაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 21.09.2016	<u>1-ლი საკითხი</u> 19 სექტემბერს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივნმა ირაკლი კობახიძემ გააკეთა განცხადება 19 სექტემბერს, გამთენიისას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების „ქართული ოცნების“	ინფორმაცია გადაეგზავნა ცესკო-ს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, შსს-ს, მთავარ პროკურატურას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. <u>1-ლი საკითხი:</u> **შსს:** „იხ. მედიამონიტორინგის ცხრილის მე-8 საკითხის გადაწყვეტილება“.

		მაჟორიტარობის კანდიდატ ლევან გოგიჩაიშვილის ოფისში შესვლასთან დაკავშირებით, რომელთაგან 2 წარმოადგენდა სევდია უგრეხელიძის შტაბის წევრს. კობახიძის განმარტებით, აღნიშნულ პიროვნებებს „ქართული ოცნების“ მაისურები ეცვათ და თან ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ. მათ მიზანს წარმოადგენდა ფაქტის ვიდეოგადაღება იმის საჩვენებლად, რომ „ქართული ოცნების“ შტაბში იკრიბებოდნენ კრიმინალური მიდრეკილების მქონე პირები. <u>მე-2 საკითხი</u> 13 სექტემბერს გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ოქრუაშვილის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა გორში, შინდისის გზატკეცილზე მდებარე №11, №13 და №15 კორპუსების მცხოვრებთ გადასცეს სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი. პროდუქტის დარიგებამდე	<u>მე-2 საკითხი:</u> **ცესკო:** „№32 გორის საოლქო საარჩევნო კომსიაში საჩივარი არ შესულა“. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** გამოკითხულია ირაკლი ოქრუაშვილი, მამუკა ნოზაძე და დასახლებაში მცოვრები 6 პირი. ინფორმაციის დაზუსტების თხოვნით გაიგზავნა წერილი გორის მუნიციპალიტეტში <u>მე-3 საკითხი:</u> **ცესკო:** „№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ შესულა“. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:**

		მოქალაქეებთან შეხვედრა ჰქონდა თავად გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ოქრუაშვილს. **<u>მე-3 საკითხი:</u>** „მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 18 სექტემბერს „ეროვნული ფორუმის“ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ოთარ ხარჩილავას დაფინანსებით და ამავე პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთის ინიციატივით ქალაქ ფოთში „ფერების ფესტივალი“ ჩატარდა. აღნიშნული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია და ღონისძიების ამსახველი ფოტომასალა კანდიდატის სააგიტაციო „ფეისბუკის“ გვერდზეც გავრცელდა. ფესტივალზე ფერადი ფხვნილი გაიცემოდა უფასოდ და ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი მსურველისთვის. ფესტივალში მონაწილეობდნენ როგორც სრულწლოვანი, ისე	„ინფორმაციის დაზუსტების თხოვნით წერილი გაეგზავნა ეროვნულ ფორუმს, რომელზეც პასუხი ჯერ არ მიგვიღია“.

		არასრულწლოვანი პირები. ღონისძიების ორგანიზატორებს (მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ოთარ ხარჩილავას ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს) ეცვათ სააგიტაციო მაისურები. ღონისძიებაში მონაწილეობდა თავად კანდიდატი. **<u>მე-4 საკითხი:</u>** „ასევე, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე დღეა, ფოთის ქუჩებში ვრცელდება ფლაერები, რომელთა მიხედვითაც, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ოთარ ხარჩილავას „ახალგაზრდული ფრთა“ იწვევს 17-დან 30 წლამდე ფოთელ ახალგაზრდებს სხვადასხვა სახის გასართობ ღონისძიებაში (ექსკურსია, კარაოკე, ფოტოსესია და სხვა) მონაწილეობის მისაღებად. სტატიაში აღნიშნულია, რომ ხარჯებს	**<u>მე-4 საკითხი:</u>** **ცესკო:** „№70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივარი არ შესულა“. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „ინფორმაციის დაზუსტების თხოვნით წერილი გაეგზავნა ეროვნულ ფორუმს, რომელზეც პასუხი ჯერ არ მიგვიღია“. **<u>მე-5 და მე-6 საკითხები:</u>** კომისიამ 2016 წლის 21 სექტემბერს იმსჯელა ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“) მიერ წამოჭრილ საკითხებზე, რომელთა თანახმადაც, სამეგრელოში (მარტვილში) ადგილობრივი

		სრულად „ეროვნული ფორუმი“ ფარავს. <u>**მე-5 საკითხი:**</u> საია-თვის სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აწარმოებენ ამომრჩეველთა პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) აღრიცხვას, თუმცა, ისინი არ განმარტავენ აღნიშნული მონაცემების შეგროვების მიზანს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პირების სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და დევნილი მოქალაქეები. <u>**მე-6 საკითხი:**</u> საია-ს მონიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამეგრელოში ადგილობრივი თვითმმართველობის	თვითმმართველობის წარმომადგენელმა, ერთ-ერთი ა(ა)იპ სამსახურის ყველა თანამშრომელს – 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე 10-10 მხარდამჭერი ამომრჩევლის მიყვანა, მანამდე კი, ამ პირთა პირადობის მოწმობების ასლების მიტანა დაავალა. მისივე განცხადებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო უგულებელყოფით ხდება რიგი პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამომრჩეველთა პერსონალურ მონაცემთა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) აღრიცხვა, თუმცა, ისინი არ განმარტავენ ამ მონაცემების შეგროვების მიზანს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა შალვა ხუციშვილმა ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის მიერ მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, კერძოდ, სამეგრელოს შემთხვევაზე, მიმართა, დაეზუსტებინა, კონკრეტულად რომელ ა(ა)იპ-ს გულისხმობდა, რადგან ასეთი ზოგადი სახის განცხადებით შეუძლებელი იყო რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება; რაც შეეხება პოლიტიკური გაერთიანებების მხრიდან პერსონალურ მონაცემთა მოპოვებას, ბატონი შალვას განცხადებით, საკითხი უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის შესწავლის საგანს წარმოადგენდა, რომელსაც კომისიის მიერ უკვე მიწოდებული ჰქონდა აღნიშნული ინფორმაცია.

		წარმომადგენელმა ერთ-ერთი ა(ა)იპ სამსახურის ყველა თანამშრომელს 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე 10-10 მხარდამჭერი ამომრჩევლის მიყვანა, ხოლო მანამდე კი ამ პირთა პარადობის მოწმობების ასლების მიტანა დაავალა. **<u>მე-7 საკითხი:</u>** 19 სექტემბერს გაზეთ „გურია ნიუსში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ბელა შათირიშვილმა მონაწილეობა მიიღო სოფელ შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ წინასაარჩევნო კამპანიაში სამუშაო საათების დროს.	**<u>მე-7 საკითხი:</u>** **<u>ცესკო:</u>** „მიმდინარე წლის 21 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნული საკითხი შეისწავლა თავმჯდომარემ. მოკვლეული მასალების საფუძველზე არ დადგინდა სამართალდარღვევის ფაქტი. აქედან გამომდინარე, თავმჯდომარემ არ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამის შესახებ №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წერილობით აცნობა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოცაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელ თამაზ ტრაპაიძეს“.
77	„პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ დანიელ დავითაშვილი	წარმოადგენს წინადადებებს, ცესკო-მ გამოსცეს დადგენილება, რომლიც შეეხება: **<u>1-ლი საკითხი:</u>**	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **<u>1-ლი საკითხი:</u>**

	წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 22.09.2016	სპეციალურ სიაში არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენლების და ადგილობრივი დამკვირვებლების შეყვანას; **<u>მე-2 საკითხი:</u>** საარჩევნო ბიულეტენების კონვერტში მოთავსების საკითხი.	**ცესკო:** „ცესკო-ს თავმჯდომარის 2016 წლის 5 სექტემბრის №01-02/2127 წერილით განმცხადებელს ეცნობა კომისიის პოზიცია ხსენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით“. **<u>მე-2 საკითხი:</u>** **ცესკო:** „საკითხი შეეხება ცესკო-ს მიერ რეკომენდაციების გაცემას, რაც გულისხმობს ცესკო-ს მიერ დადგენილებით დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცებას, რომლის მიხედვითაც, ამომრჩეველი ვალდებული იქნება, კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდგომ ცალ-ცალკე დაკეცოს ბიულეტენები და ისე მოათავსოს ისინი სპეციალურ კონვერტში, რათა დამკვირვებელ ორგანიზაციებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დააკვირდნენ, თუ რა რაოდენობის ბიულეტენს ათავსებს ამომრჩეველი კონვერტში, რათა არ მოხდეს ბიულეტების კენჭისყრის შენობიდან გატანა. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) 63-ე მუხლის მე-19 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენსა და სპეციალურ კონვერტებს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, პასპორტის, ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისათვის - ასევე, დევნილის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი სპეციალური კონვერტი და შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი. ამას ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს, ისევე, როგორც ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტების მიღებას. კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის პროცედურები ტარდება განსაზღვრული წესების დაცვით და მითითებულია პროცედურები; ხსენებული საკითხი, ასევე, გაწერილია და განსაზღვრულია „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ცესკო-ს 2016 წლის 27 ივლისის №52/2016 დადგენილებით.

			საარჩევნო კოდექსი იმპერატიულად და ნათლად განსაზღვრავს ამომრჩევლისთვის პროცედურას ბიულეტენების დაკეცვისა და სპეციალურ კონვერტში მოთავსებასთან/ განთავსებასთან დაკავშირებით, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა უფლებებსა და შესაძლებლობებს დაკვირვების სრულფასოვან განხორციელებასთან მიმართებით. არ არსებობს საჭიროება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საკითხის დამატებით დარეგულირებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ხსენებული საკითხი დარეგულირებულია და განსაზღვრულია საარჩევნო კანონმდებლობით განმცხადებლის საყურადღებოდ აღნიშნავენ, რომ „იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისიის უფლებამოსილებას არ განეკუთვნება რეკომენდაციების გაცემა საარჩევნო ადმინისტრაციისთვის ისეთ საკითხებზე, მათ შორის, სამართლებრივი შინაარსის პროცედურულ საკითხებზე, რომლებიც, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული საკითხებისა, წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციას და უფლებამოსილებას“.
78	„პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“, დანიელ დავითაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 22.09.2016	წარმოდგენილია ფოტო ბახტრიონის 7ა -ში პლაკატის შესაძლო გადაფარვის თაობაზე.	გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გადამოწმების შედეგად ბახტრიონის №7ა-ში სამართალდარღვევის ფაქტი არ დადგინდა, ხოლო ბახტრიონის №11-ში მსგავსი ფაქტი მოხდა, თუმცა, ადგილზე გადამოწმებისას სამართალდარღვევა უკვე გამოსწორებული იყო, რის გამოც სამართალდარღვევის ოქმი არ იქნა შედგენილი“.
79	„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ირმა პავლიაშვილი	ქ. ლანჩხუთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც განთავსებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ა(ა)იპ,	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს. **ცესკო**: „აღნიშნულ საკითხს განიხილავს №61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საკითხი შესწავლის პროცესშია“.

	წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 24.09.2016	დაფიქსირებულია საარჩევნო სააგიტაციო მასალა, რომელიც ა(ა)იპ „ტექსერვისის“ (დირექტორი ირაკლი ჩხაიძე) ოთახების კარებზეა გამოკრული. სააგიტაციო მასალას წარმოადგენს „ქართული ოცნების“ სტიკერები, შემოხაზული №41-ით.	
80	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1467/01 (21.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16078; 26.09.2016	საბიუჯეტო უწყებებში დასაქმებულთ ხელმძღვანელები ავალებენ, რომ 2016 წლის 8 ოქტომბერს ხმა მისცენ „ქართულ ოცნებას“, ხოლო ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ფოტო გადაუღონ საარჩევნო ბიულეტენში მათ მიერ შემოხაზულ №41 რიგით ნომრად მყოფ საარჩევნო სუბიექტს და დღის 14:00 საათამდე გადაუგზავნონ მათ ხელმძღვანელებს. წერილის ავტორი ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან ითხოვს შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებას, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისიის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და მთავარ პროკურატურას. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ ჯალიაშვილის განცხადებით, საჩივარში მოყვანილი საკითხი არ შეესაბამება სიმართლეს. აღნიშნულ საკითხზე განცხადება შესულია პროკურატურაში და დაწყებულია გამოძიება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ დასტურდება არაკანონიერი დავალების მიცემა საჯარო მოსამსახურეებისთვის“. **მთავარი პროკურატურა:** „მიმდინარეობს შემოწმება მითითებულ ფაქტზე, რომელიც ეხება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მხრიდან გაცემულ დავალებას; გამოკითხულ იქნა ეს უკანასკნელი და იგი კატეგორიულად უარყოფს თანამშრომლებისათვის რაიმე დავალების მიცემას არჩევნებთან დაკავშირებით“.

		ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი იქნებიან, უზრუნველყონ ამომრჩევლის კაბინაში შესვლა მობილური ტელეფონის გარეშე. წერილში, ასევე, საუბარია „ქართული ოცნების“ მხრიდან საოლქო საარჩევნო კომისიებზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ, კერძოდ: საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს მიეცათ მითითება, 2016 წლის 8 ოქტომბერს, კენჭისყრის დღეს, ისე მოაწყონ კენჭისყრის ოთახი, რომ დამკვირვებელი ორგანიზაციისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის შეუძლებელი იყოს საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისა და საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა აღრიცხვიანობაზე დაკვირვება. წერილის ავტორს, ასევე, მიაჩნია, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულმა პირებმა	

		ხელმძღვანელისაგან მიიღეს დავალება, რომ არჩევნების დღეს „ქართული ოცნების“ ხმის მიცემისას საარჩევნო ბიულეტენებთან ერთად კონვერტში უნდა მოათავსონ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის დღემდე დარიგებული სახელობითი ამომრჩევლის ბარათი, რათა ხმის დათვლის დროს მმართველი პარტიის მხრიდან მოხდეს ამომრჩევლის იდენტიფიცირება და დარწმუნდეს კონკრეტული საჯარო მოხელის პარტიულ ერთგულებაში.	
81	საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 26.09.2016	შეტყობინების თანახმად, წალკაში ადგილი აქვს „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელზე ზეწოლას. კერძოდ, 2016 წლის 26 სექტემბერს წალკაში დაგეგმილი იყო ნინო ბურჯანაძის შეხვედრა მოსახლეობასთან. როგორც განმცხადებლისთვის გახდა ცნობილი, შეხვედრის წინა ღამეს რაიონის გამგებტლ ილია საბაძის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და შსს-ს. **შსს:** „2016 წლის 27 სექტემბერს წალკის რაიონულ სამმართველოში მარნეულის რაიონული პროკურატურიდან შემოვიდა „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ წერილი წინასაარჩევნოდ წალკის რაიონში პარტიის კოორდინატორებზე მუქარისა და ზეწოლის შესახებ. „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე თ.მ.-მ განმარტა, რომ 2016 წლის 25 სექტემბერს ქ. წალკაში ჩამოსული იყო პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე და ჰქონდათ დაგეგმილი შეხვედრა მოსახლეობასთან უშუალოდ ოფისში და შემდეგ წალკის რაიონის სოფელ კიზილ-კილისაში. იგი წალკაში ნინო ბურჯანაძის ჩამოსვლისთანავე შეხვედრების დასრულებამდე პირადად ახლდა პარტიის ლიდერს და მასთან საუბარი იმის შესახებ, რომ შეხვედრის წინა ღამეს წალკის რაიონის სოფლების გამგებლის თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან

		ორგანიზებით წალკის რაიონის სოფლების გამგებლების მხრიდან ადგილი ჰქონდა ,,ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ მხარდამჭერების/კოორდინატორების მიმართ მუქარებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ორგანიზებას გაუკეთებდნენ მოსახლეობის შეკრებას და შეხვედრას პარტიის ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან. კოორდინატორებს - თემურ ანთაძესა და ამირან ართმელაძეს, ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ემუქრებოდნენ საცხოვრებელი სახლების დაკარგვითა და ქუჩაში დატოვებით. ითხოვენ კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის რეაგირებას, ასევე, საკითხის შეტანას კომისიის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.	ადგილი ჰქონდა პარტიის მხარდამჭერის/კოორდინატორების მიმართ მუქარებს ან მოსახლეობის შეკრებისა და ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის ორგანიზების შემთხვევაში კოორდინატორების (თ.ა.-სა და ა.ა.-ს) მიმართ საცხოვრებელი სახლების დაკარგვისა და ქუჩაში დატოვების მუქარას, ადგილი არ ჰქონია. ნინო ბურჯანაძის ჩამოსვლის დღეს თ.ა. შეხვედრაზე საერთოდ არ იმყოფებოდა. რაც შეეხება ა.ა.-ს, შეხვედრაზე დაგვიანების მიზეზად დაასახელა ის, რომ სოფლის სამარშრუტო მანქანები ემსახურება „ქართული ოცნების“ კოორდინატორებს, სხვა მანქანა კი ვერ იპოვა. თ.ა. და ა.ა. არიან „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ კოორდინატორები და ამ პიროვნებებს არც მოუმართავს და არც უთქვამთ, რომ მათ ემუქრებიან ან ზეწოლას ახდენენ მათზე რომელიმე პარტიის, კერძოდ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ა.ა.-მ გასაუბრებისას აჩვენა, რომ მუშაობს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად, წარმოადგენს ფრაქცია „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობას“ და მის მიმართ საარჩევნო კამპანიის მომზადებისას არცერთი პარტიის მხრიდან, კონკრეტულად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობის მხრიდან, არანაირი სახის მუქარას, ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. თუ რატომ არის მითითებული „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობიდან“ შემოსულ წერილში მისი სახელი და გვარი, მისთვის უცნობია“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია საბაძე კატეგორიულად უარყოფს განცხადებაში მოყვანილ საკითხს. ამასთან, აკონკრეტებს, რომ ყოველწლიურად სექტემბრის თვის მესამე-მეოთხე კვირის ბოლოს იმართება ეთნიკურად სომეხი, ადგილობრივი სახალხო პოეტ გუსეინ ავასის ხსოვნის პატივსაცემი ღონისძიება, სადაც ყოველთვის მოწვეულნი არიან სომხეთის რესპუბლიკიდან მუსიკალური ანსამბლები, ლიტერატურული წრის და სომხური სათვისტომოს წარმომადგენლები. ღონისძიებაში მონაწილეობენ ადგილობრივი და მოწვეული ქართული ფოლკლორული ანსამბლებიც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 25 სექტემბერს დაიგეგმა აღნიშნული ღონისძიების ჩატარება, რაც წალკის მუნიციპალიტეტის გამგებლის ორგანიზებით მიმდინარეობდა. აღნიშნულ დღეებში დილის ცხრა საათიდან საღამოს შვიდ საათამდე დაკავებული იყო „ავასობის“ დღესასწაულის ორგანიზებით და არა რაიმე სახის მუქარებით მოხელეებზე, მიმდინარეობდა სამუშაო თათბირები“.

82	საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 26.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> მთაწმინდის რაიონში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, გიგლა ბარამიძის პლაკატი გადაფარულია ნიკა რურუას („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) პლაკატით; <u>მე-2 საკითხი:</u> გლდანის რაიონში (მუხიანის მე-2 მკრნ, მე-4 კორპ.) ბესო დანელიას პლაკატი გადაფარულია მირზა კენკიშვილის („თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“) პლაკატით.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** <u>1-ლი საკითხი:</u> „თაბუკაშვილის ქუჩაზე კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში შენობის ფასადზე პლაკატის განთავსებისთვის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 150-ე მუხლის III ნაწილის შესაბამისად, შედგენილია შესაბამისი ოქმები („ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ - №000281, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - №000349 და „დავით თარხან-მოურავი, ირმა იანაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ №000348)“. <u>მე-2 საკითხი:</u> მუხიანის მე-2 მიკრორაიონის მე-4 კორპუსის ფასადზე პლაკატის გაკვრისთვის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 150-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, შედგენილია შესაბამისი ოქმები („ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“ - №000347, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - №000328, „მამული, ენა, სარწმუნოება“ - №000094, „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ - №000346, №000092, „დავით თარხან-მოურავი, ირმა იანაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი გაერთიანებული ოპოზიცია“ - №000329, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - №000330 და №000071).
83	„ლეიბორისტული პარტია“, ნინო მეტრეველი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 26.09.2016	წერილში საუბარია „ლეიბორისტული პარტიიდან“ გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნინო მეტრეველის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არამართლზომიერ ქმედებაზე. კერძოდ, როგორც	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „2016 წლის 20 იანვარს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს ,,გარდაბანგანათების, კომუნალური განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №11 გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის და დაზიანების შემთხვევაში აღდგენის თაობაზე. ამავე ხელშეკრულების

		განმცხადებელი აღნიშნავს გარდაბნის ზედამხედველობის სამსახურმა მოსთხოვა „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ ნომრიან ბოძებზე გაკრული მათი კანდიდატის პლაკატებისათვის ადგილის ჩანაცვლება, რაც, პარტიის წარმომადგენელთა აზრით, არ თავსდება არავითარ სამართლებრივ ჩარჩოში, ვინაიდან ცესკო-ს და გარდაბნის საკრებულოს დადგენილებებით პლაკატების გაკვრა დასაშვებია განათების ბოძებზე და იქ არანაირ ნომრებზე საუბარი არ არის. აღნიშნულ ფაქტს მიიჩნევენ „ქართული ოცნების“ ზეწოლად.	მე-3 მუხლის 3.5 პუნქტის საფუძველზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები. ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან კონტროლის განხორციელება გულისხმობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარეგანათების ქსელის პერიოდულ მონიტორინგს (დათვალიერება), აღმოჩენილი დაზიანების შემთხვევაში კი (გადამწვარი ნათურა, დაზიანებული ბოძი და ა.შ.), შესაბამისი აქტის შედგენას და იმ ადგილის დაფიქსირებას, სადაც მოხდა დაზიანება. მაგალითად, ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. გარეგანათების ბოძი 5/47 დაზიანებულია ნათურა. შესაბამისად, ბოძების ნუმერაცია გვაძლევს გარეგანათების ქსელის კონტროლის ბევრად ეფექტურ საშუალებას. თავის მხრივ, დაზუსტებული კოორდინატების არსებობისას უფრო სწრაფად ხდება დაზიანების აღმოფხვრის სამუშაოები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მორიგი მონიტორინგის დროს ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე გარეგანათების ბოძების დანომვრის ადგილებზე გამოვლინდა საქართველოს 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე „ლეიბორისტული პარტიის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გაკრული სარეკლამო პლაკატები. ვინაიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გარეგანათების ბოძები ჩასმული იყო წინასაარჩევნო სააგიტაციო პლაკატების გასაკრავ-გამოსაფენ ობიექტთა ნუსხაში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, ქალბატონ ნინო მეტრეველთან, სატელეფონო კომუნიკაცია და ეთხოვა, რომ მოეხდინა მისი საარჩევნო პლაკატების გაკვრა არა ნუმერაციის ადგილზე. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მხრიდან კანდიდატის სააგიტაციო მასალის კანონდარღვევით მოხსნის ან რაიმე სახით ზეწოლის ფაქტი არ დადასტურდა“.
84	„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“, თამარ ზურაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -	,,ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის" საბურთალოს მაჟორტარი დეპუტატობის კანდიდატ მიხეილ ხომერიკის პლაკატის ,,რესპუბლიკური პარტიის" პლაკატით გადაფარვის	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვერ ავლენს სამართალდარღვევის ფაქტს, რადგან მისამართის დაუზუსტებლობის გამო სამართალდაღვევის ადგილის იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა ბახტრიონისა და გამრეკელის კვეთაზე იყო პლაკატის გადაკვრის ერთი ფაქტი. ზედამხედველობის

	ზე ელექტრონული სახით 26.09.2016	ფაქტის თაობაზე (მის.: საბურთალო, ბახტრიონისა და საბურთალოს ქუჩების კვეთა.) ითხოვენ აღნიშნული საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანასა და შესაბამის რეგიარებას.	სამსახურმა გასცა სიტყვიერი მითითება და სამართალდამრღვევმა მოხსნა აღნიშნული პლაკატი, რის გამოც არ შედგა სამართალდარღვევის ოქმი“.
85	“პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ დანიელ დავითაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 27.09.2016	წარმოადგენს ფოტომასალას თბილისში (ბახტრიონის ქუჩა №4ბ) საარჩევნო სუბიექტების პლაკატების გადაფარვის თაობაზე.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „აღნიშნულ ფაქტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ბახტრიონის ქ. №4-ში სამართალდამრღვევი პარტიების მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმები („ქართული იდეა“ - №000360, „ეროვნული ფორუმი“- №000371, „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ - №000372, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - №000373, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ - №000374 და „დავით თარხან-მოურავი, ირმა იანაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ - №000375) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 150-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.
86	საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია, თავმჯდომარე გიორგი ჭინჭარაული წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 27.09.2016	საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიას ცესკო-მ ორ დღეზე მეტი ვადა არ მისცა ხარვეზის (პარტიული სიის წევრთა პირადობის მოწმობის ასლები) შესავსებად, რითაც დაარღვია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნები და პარტია მოხსნა არჩევნებიდან. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში არასწორ ინფორმაციას აწვდიდა პარტიის	განცხადება დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. **ცესკო:** „პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიას“ ხარვეზის შეუვსებლობის გამო ცესკო-ს თავმჯდომარის 2016 წლის 16 სექტემბრის №174/2016 განკარგულებით გაუუქმდა რეგისტრაცია. პოლიტიკურმა გაერთიანება „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიამ“ **ცესკო-ს თავმჯდომარის განკარგულება გაასაჩივრა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში.** ცესკო-ს თავმჯდომარის ზემოაღნიშნული 2016 წლის 16 სექტემბრის №174/2016 **განკარგულება ძალაში დატოვა ორივე ინსტანციამ“.**

		ხელმძღვანელობას, რაც დაფიქსირებულია სატელეფონო საუბრებში. მიუხედავად პარტიის მესვეურთა მცდელობისა, სასამართლოს გამოეთხოვა სატელეფონო საუბრების ხმოვანი ჩანაწერები, ეს მოთხოვნა სასამართლომაც არ შეასრულა. სასამართლომ არ გამოიყენა მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. პირველი ინსტანციის სასამართლო აპირებდა ამ უფლების გამოყენებას მხარეთა შორის მორიგების მოთხოვნით, რის გამოც სხდომაც გადადო, მაგრამ, ცესკო-დან უარი მიიღო, რაც, მათი აზრით, ნიშნავდა ზემდგომი ძალების მიერ პარტიის მოხსნის მითითებას.	
87	არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე“, ნინო ოკუჯავა წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით	„საუნჯე“ აღნიშნავს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალურ	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. **ცესკო:** „შესაბამისი საოლქო კომისიის მიერ შესწავლილ იქნა საკითხი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (2 000 ლარის ოდენობით), რომელიც განსახილველად გადაგზვნილია სასამართლოში“.

	27.09.2016	„ფეისბუქის“ გვერდზე მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრების ამსახველი მასალები, სურათები და ვიდეორგოლია გამოქვეყნებული. სამინისტროს ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდი წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულების მიერ დაფინანსებულ რესურსს. მათი თქმით, მართალია, სოზარ სუბარი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, თუმცა, მას აგიტაციის დროს არ აქვს უფლება, გამოიყენოს სამინისტროს ამ ტიპის რესურსი. ითხოვენ მოცემული შემთხვევის გამოკვლევას და რეაგირებას, რეკომენდაციებს, რომ საჯარო მოსამსახურეებმა გამოიყენონ საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციული რესურსი - „ფეისბუქის“ გვერდი თუ სხვა სოციალური გვერდები, რომლებიც საინფორმაციო რესურსია მხოლოდ კანონით ნებადართული საქმიანობისათვის და არა	**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო:** „სამინისტროს მიერ განხილულ იქნა საკითხი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენების სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით. ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსდა შეცდომით - არა მიზანმიმართულად. ზემოაღნიშნული ფაქტის აღმოჩენისთანავე, შესაბამისი მასალები აღებულ იქნა სამინისტროს „ფეისბუქის“ გვერდიდან“.

		წინასაარჩევნო კამპანიისათვის.	
88	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1576/01 (27.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16210; 27.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> ქალაქ **თბილისში** მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნიკა რურუას პლაკატების დაზიანება, კერძოდ, პლაკატები ჩამოხეულისა, დაფარულია საღებავით ან გადაკრულია პარტია „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატებით. <u>მე-2 საკითხი:</u> ქალაქ **გორში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ალექსანდრე გოგლიძის პლაკატების დაზიანება, ჩამოხევა და გადაფარვა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატებით.	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა თბილისის მერიას, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, შსს-ს და ცესკო-ს. <u>1-ლი საკითხი:</u> **თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ წერილში მითითებული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მისამართი არ არის მითითებული“. <u>მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7 საკითხები:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „პლაკატების დაზიანება/ჩამოხევა/გადაფარვის ფაქტებზე მუნიციპალიტეტებს ამ ეტაპზე სამართალდამრღვევი პირები არ ჰყავთ გამოვლენილი“.

		<u>მე-3 საკითხი:</u> საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილის პლაკატები ს დაზიანება, კერძოდ, პლაკატების ნაწილის ჩამოხევა, ნაწილის გადაფარვა „პატრიოტთა ალიანსის“ პლაკატებით. **<u>მე-4 საკითხი:</u>** გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით ღვინიაშვილის პლაკატები დაფარულია „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატებით. **<u>მე-5 საკითხი:</u>** ქალაქ მცხეთაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ზერიშვილის პლაკატების	

		დაზიანება, კერძოდ, პლაკატები ჩამოხიეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა და გააკრეს თავიანთი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატები. აღნიშნული ფაქტი დასტურდება ვიდეომასალით. **<u>მე-6 საკითხი:</u>** სიღნაღის მუნიციპალიტეტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო ბანერის დაზიანება. კერძოდ, ბანერს წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს, რამაც გამოიწვია ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება განადგურების თანხლებით. **<u>მე-7 საკითხი:</u>** ქალაქ ბოლნისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სამირა ისმაილოვას პლაკატების დაზიანება.	**<u>მე-6 საკითხი:</u>** **შსს:** „2016 წლის 27 სექტემბერს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ხანძრის შედეგად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბანერის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 188-ე მუხლის II ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო „112“-ის სამსახურიდან შემოსული მოქალაქის სატელეფონო შეტყობინება იმის შესახებ, რომ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე არსებულ დენის ბოძს ეკიდა ცეცხლი. საქმეზე მიმდინარე გამოძიებით დადგინდა, რომ 2016 წლის 27 სექტემბერს, დაახლოებით, 06:05 საათზე, ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში, წრიული მოძრაობის ადგილთან, ტროტუარის კიდეზე მდებარე ელექტროგადამცემ ბოძს და მასზე დამაგრებულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან ბეჟაშვილის საარჩევნო ბანერს გაუჩნდა ცეცხლი, რის შედეგადაც დაზიანდა საარჩევნო ბანერი. ხანძრის მიზეზების დადგენის მიზნით საქმეზე იმავე დღეს დაინიშნა სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა. დაიკითხნენ ხანძრის გაჩენის მომენტისათვის წრიული მოძრაობის ადგილთან მყოფი მოქალაქეები. გამოძიების ამ მომენტისათვის შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტის თვითმხილველი პირი არ არსებობს. მიმდინარეობს გამოძიება“.

		კერძოდ, პლაკატები დაფარულია საღებავებით. <u>მე-8 საკითხი:</u> ქალაქ რუსთავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით კირკიტაძის სააგიტაციო მასალების გავრცელებაში ხელის შეშლა, კერძოდ, ქალაქ რუსთავში 26 სექტემბერს იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც, წერილის ავტორის მოსაზრებით, შეხვედრის დასრულების შემდეგ ქალაქის მერიას დაავალა რუსთავის ცენტრალურ ქუჩაზე დავი თ კირკიტაძის ბანერების აღება, რაც შემდეგში შეასრულა მერიის შესაბამისმა სამსახურმა.	<u>მე-8 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „განცხადებაში ფორმულირებული გარემოებები მცდარი სახითაა წარმოდგენილი. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების მე-3 პუნქტით (დანართი №3-ით) განსაზღვრულია იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზეც აკრძალულია სააგიტაციო მასალების განთავსება. აკრძალული ადგილებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს შარტავასა და ხალხთა მეგობრობის გამზირების რეაბილიტირებული შუა გამყოფი ზოლი. სწორედ ის ადგილი, სადაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ “ განათავსა სააგიტაციო მასალა (წარმოადგენს სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის აკრძალულ ადგილს ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის). „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სააგიტაციო მასალა განათავსა კანონმდებლობით განსაზღვრულ და საკრებულოს მიერ აკრძალულ ადგილას, შესაბამისად, აღნიშნულ კანონდარღვევასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისმა სამსახურებმა მოხსნეს აკრძალული ადგილიდან განთავსებული სააგიტაციო მასალა. ამასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდა არა მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განთავსებული სააგიტაციო მასალის მოხსნა, არამედ სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ განთავსებული სააგიტაციო მასალების აღება (ამდენად, აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს კონკრეტული საარჩევნო ბლოკისთვის ხელშეშლას).

			ქალაქ რუსთავის მერიის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის სააგიტაციო მასალის კანონდარღვევით მოხსნის ფაქტი არ დადასტურდა“. პლაკატების დაზიანება/ჩამოხევს ფაქტებზე, უმეტეს შემთხვევაში, მიმდინარეობს გამოძიება. რაც შეეხება გადაფარვის ფაქტებს, ამ კონკრეტულ შემთხვევებზე მუნიციპალიტეტებს სამართალდამრღვევი პირები არ ჰყავთ გამოვლენილი“.
89	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1575/01 (27.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16209; 27.09.2016	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიუთითებს, რომ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დღიდან საქართველოში ლიცენზირებული სატელევიზიო მაუწყებლის მიერ გადასახადის გადამხდელების ფულით - სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, წინასაარჩევნოდ მიმდინარეობს ,,ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების რეკლამირება (თანდართულია ვიდეომასალა). ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ,,მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ჰ[7]“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სატელევიზიო კლიპი სახელწოდებით - ,,სივრცითი მოწყობა, ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის“ - არ	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ცესკო-ს. **კომუნიკაციების ეროვნულ კომისია:** „მიმდინარეობს საკითხის შესწავლა. გამოთხოვილია ინფორმაცია მაუწყებლებიდან“. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „გაიგზავნა წერილი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს სახელზე, სადაც მოთხოვნილია სარეკლამო რგოლის მიზნები და გაწეული ხარჯის ინფორმაცია“. **ცესკო:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილ ვიდეორგოლში ასახული ინფორმაცია არ შეიცავდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტს, ვინაიდან აღნიშნული ვიდეორგოლი არ ეწინააღმდეგება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, რომლის დარღვევაც, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოცემული შემთხვევისთვის წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას. განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი პასუხი“.

		შეიძლება განიხილონ როგორც სოციალური რეკლამა. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ სატელევიზიო კლიპი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სამთავრობო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამუშაოების დემონსტრირებაზე არ არის თავსებადი „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და იღებს ,,ქართული ოცნების“ მხარდასაჭერი წინასაარჩევნო სააგიტაციო რეკლამის სახეს.	
90	საარჩევნო ბლოკი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიცია“ დავით თარხან - მოურავი	წერილის თანახმად, 19 სექტემბერს №22 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი ლევან კობერიძე და თბილისის მერი დავით ნარმანია ამავე მაჟორიტარული ოლქის საზღვრებში მდებარე სპორტული ბაზის	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **ცესკო:** „ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისის მერიის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა. ოქმის შედგენის მიზეზი გახდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე ქ.თბილისის მერიის მიერ კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა – ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება რაც, საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლის საფუძველზე ამავე კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

	წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 28.09.2016	სამშენებლო სამუშაოებს დაესწრნენ. ბაზის მშენებლობა მერიის დაფინანსებით მიმდინარეობს. ბაზის მონახულების შემდეგ მაჟორიტარმა კანდიდატმა და მერმა გლდანის მე-3 მიკრორაიონის მე-8 კორპუსთან მდებარე სკვერში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს. განცხადებაში მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევას და სახეზეა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ითხოვენ შესაბამის რეაგირებას.	ცესკო-ს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სამართალდარღვევის ოქმი შედგა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიციის“ საჩივრის განხილვისას. სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც 2000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოს“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „2016 წლის 19 სექტემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ნარმანიამ დაათვალიერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით წარმოებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ამგვარი უფლებამოსილება პირდაპირ გამომდინარეობს მისი, როგორც თანამდებობის პირის, სამსახურებრივი ფუნქციიდან. მნიშვნელოვანია, რომ დედაქალაქის მერი ადგილზე ათვალიერებს მიმდინარე ინფრასტრუქტურულ თუ სხვა სამუშაოებს წლის ნებისმიერ დროს, ასევე, პირადად ხვდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ/მცხოვრებ მოქალაქეებს მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, ასევე, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების გაცნობის მიზნით. 2016 წლის 19 სექტემბერს ქალაქის მერი ახორციელებდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ადგილი არ ჰქონია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ აგიტაციას, შესაბამისად, არ არსებობს და შეუძლებელია, არსებობდეს ზემოაღნიშნულის მტკიცებულება. ამასთან, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, დაესწროს ქალაქის მერის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის პროცესს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მესამე პირების მხრიდან შეიძლება ამგვარი ღონისძიების მიმართ არსებობდეს მისი სააგიტაციო პროცესად აღქმის ალბათობა, გასათვალისწინებელია, რომ შეხვედრა და სამუშაოების დათვალიერება შედგება სამუშაო დროის გასვლის შემდეგ (იხილეთ ამონარიდი მერის დღის განრიგიდან), ამასთან, ქალაქის მერი შეხვედრაზე არ მისულა სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებით. 2016 წლის 19 სექტემბერს მერმა მუხიანში სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და მოსახლეობას გაესაუბრა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არასამუშაო დროს, კერძოდ, 18.00 საათის შემდგომ. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას. ყურადღება უნდა გამახვილდეს საჩივარში მითითებულ შემდეგ უხეშ შეცდომებზე:

			1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მოქმედება, რადგან ის არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე. 2. ამასთან, სამუშაოს განმახორციელებელი სუბიექტის თანამშრომლები - მშენებლობაზე დასაქმებული მუშები, ვერ ჩაითვლებიან მერისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებად“.
91	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიცია“, დავით თარხან - მოურავი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 28.09.2016	წერილის თანახმად, 24 სექტემბერს №22 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან კობერიძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა განათლების სფეროში მომუშავე საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორებს და პედაგოგებს შეხვდნენ. ღონისძიებას ჰქონდა საარჩევნო აგიტაციის ხასიათი. დარბაზში განთავსებული იყო საარჩევნო სუბიექტ „ქართული ოცნების“ დროშები და მაჟორიტარი	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. **ცესკო:** „დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა. შესაბამისად, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი პასუხი“. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, №22 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან კობერიძისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას 2016 წლის 24 სექტემბრის შეხვედრა პედაგოგებთან არ იყო ორგანიზებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან მინისტრის მიერ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის №167/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების“ მე-5 მუხლის „ბ“, „გ“ და „ნ“ პუნქტების თანახმად, აღნიშნული დეპარტამენტის კომპეტენციას წარმოადგენს უფლებამოსილების ფარგლებში სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის მართვა, საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს მიერ განხორციელებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილი სიახლეების, პროგრამების, პროექტების შესახებ. ზემოაღნიშნულ კორესპონდენციასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 29 სექტემბრის №1167344 წერილით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს - გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, ეთხოვა, მოეწოდებინა ინფორმაცია წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით, რის პასუხადაც აღნიშნული რესურსცენტრის უფროსის, ხათუნა ლოდიას, 2016 წლის 29 სექტემბრის №1167374 წერილით გადმოგზავნილ იქნა 4 სკოლის დირექტორებისა და

		კანდიდატი ეწეოდა საარჩევნო აგიტაციას. მინისტრმა შეხვედრაზე მისი უწყების დაქვემდებარებაში მყოფ პირებს მიაწოდა ინფორმაცია განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებსა და სამომავლო გეგმებზე. მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევას და სახეზეა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ითხოვენ შესაბამის რეაგირებას.	პედაგოგთა ახსნა-განმარტება, საიდანაც ირკვევა, რომ მათთვის საჩივარში მითითებული ღონისძიებაზე, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრაზე ინფორმაცია ცნობილი გახდა რიგ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ აქტივისტებისგან, რიგ შემთხვევაში - სავარაუდოდ, საარჩევნო შტაბის წევრებისგან, რომლებიც ქუჩაში მოუწოდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე დასწრების თაობაზე. ამასთან, ხათუნა ლოდიას 2016 წლის 30 სექტემბრის №1169223 წერილით წარმოდგენილი განმარტების თანახმად, თავად გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი არ იყო ინფორმირებული 2016 წლის 24 სექტემბერს გლდანის რაიონში გამართული შეხვედრის თაობაზე და აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია რესურსცენტრის უფროსისათვის ცნობილი გახდა მეორე დღეს. ამდენად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ აგიტაციაში მონაწილეობა არ წარმოადგენს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც ამ მუხლის მიზნებისთვის გულისხმობს: სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას. რაც შეეხება საჩივრებით წარმოდგენილ საკითხს იმის თაობაზე, რომ ადგილი ჰქონდა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ აკრძალვას, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტების კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც ამ მუხლის მიზნებისთვის გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე (მათ

			შორის, მინისტრზე). ამდენად, მინისტრი არ არის შეზღუდული სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას, გაწიოს წინასაარჩევნო აგიტაცია. შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მხრიდან ადგილი არ ჰქონია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას“.
92	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1566/01 (26.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16234; 28.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> №50 თერჯოლის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი ზედა საზანოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თენგიზ გიორგაძე დაესწრო „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრას მოსახლეობასთან და საჯაროდ, ადგილობრივი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მოუწოდა ამომრჩეველებს, ხმა მიეცათ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის სასარგებლოდ. <u>მე-2 საკითხი:</u> №32 თეთრიწყაროს მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №32.26.32 საუბნო საარჩევნო კომისიაში „ქართული ოცნების“	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს და შსს-ს. <u>1-ლი, მე-2, მე-3 საკითხები:</u> **ცესკო:** „აღნიშულ საკითხებს სწავლობენ №2 ვაკის, №26 თეთრიწყაროს და №49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები“. **საკითხი მე-4:** „დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა. შესაბამისად, არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. განმცხადებელს გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი პასუხი“.

		კოორდინატორმა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლია თვალჭრელიძეს და კომისიის წევრ ჟენია ჭალიძეს საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში მიუტანა პარტია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო მასალები და დაავალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს მათი დარიგება და გაკვრა საარჩევნო უბნის სამოქმედო ტერიტორიაზე - თეთრიწყაროს მუნიციალიტეტის სოფელ კლდეისში. პლაკატები ინახებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში და დასტურდება სააგიტაციო მასალის დარიგების ფაქტიც. **<u>მე-3 საკითხი:</u>** №02 ვაკის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №02.02.76 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი როენა მაისურაძე ამომრჩევლის ბარათების დარიგებასთან ერთად არიგებდა „ქართული ოცნების“ სააგიტაციო მასალას, რაც დადასტურებულია ფოტო მასალით.	

		<u>**მე-4 საკითხი:**</u> №25 სიღნაღის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №25.13.10 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნინო ყაჯრიშვილი 2016 წლის 24 სექტემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. წნორში ესწრებოდა „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრას ამომრჩევლებთან, სადაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშილმა №25 სიღნაღის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატად წარადგინა ირაკლი შიოლაშვილი. <u>**მე-5 საკითხი:**</u> „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ №6 სამგორის საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბეჟან გუნავას მომხრე	<u>**მე-5 საკითხი:**</u> **შსს:** „2016 წლის 05 ოქტომბერს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილებაში შსს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოდან შემოვიდა წერილი №2500460, სადაც აღნიშნულია, რომ „პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიციის“ სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბეჟან გუნავას ორხევის დასახლების საარჩევნო ოფისის თანამშრომელი ალექსანდრე ნანობაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორხევის ოფისის წევრებს აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას.

		ალეკო ნანობაშილი ორხევის დასახლებაში ავიწროებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, საჯაროდ აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, რასაც აქვს სისტემური ხასიათი და შესაძლოა, გადაიზარდოს ფიზიკურ დაპირისპირებაში. <u>მე-6 საკითხი:</u> სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. წნორში ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ქ. წნორში თამაზ მათეშვილმა წნორის ცენტრში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს. მან ჟურნალისტი	აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოკითხულ იქნა პარტია „პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიის“ სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბეჟან გუნავას ორხევის დასახლების საარჩევნო ოფისის თანამშრომელი ალექსანდრე ნანობაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ ის არის „პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიის“ სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბეჟან გუნავას საარჩევნო ოფისის მონიტორინგის უფროსი. მისი განმარტებით, მთელი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში დაცული იყო საარჩევნო კოდექსის ყველა ნორმა, ასევე, ზოგადი ქცევის ეთიკის ნორმები; მისი მხრიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ორხევის ოფისის თანამშრომლების მიმართ რაიმე სახის შეურაცხყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და მათთან რაიმე სახის ურთიერთობა არ გააჩნია - არც სამსახურეობრივი და არც პირადი. მისი განმარტებით, ის არჩევნების დასრულებამდე და შემდგომ პერიოდშიც დაიცავს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა ნორმას და, ზოგადად, ქცევის ეთიკის წესებს სხვა პარტიიბის წევრებთან ურთიერთობის დროს“. <u>მე-6 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ქ. წნორში სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელ თამაზ მათეშვილსა და ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს შორის მომხდარ ინციდენტზე გამგებლის წარმომადგენელმა დაწერა განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ასევე, აღსანიშნავია ვიდეომასალა, სადაც ბოდიშს იხდის გამგებლის წარმომადგენელი მომხდარი ინციდენტის გამო“. **შსს:** „2016 წლის 24 სექტემბერს შს სიღნაღის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 154-ე მუხლის მეორე ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო შეტყობინება იმის შესახებ, რომ 2016 წლის 24 სექტემბერს ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს ქ. წნორის გამგებელმა თამაზ მათეშვილმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობის მუქარით უკანონოდ შეუშალა ხელი პროფესიული საქმიანობის შესრულებაში. გამოძიებით დადგენილია შემდეგი: 2016 წლის 23 სექტემბერს, საღამოს საათებში, კახეთის საინფორმაციო ცენტრის რედაქტორი და ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი იმყოფებოდა ქ. წნორში და

			ტელეკამერის საშუალებით აშუქებდა რუსთაველის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას. ამ დროს იქ მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მისთვის უცნობი მამაკაცი, რომელიც გაეცნო როგორც ქ. წნორის გამგეობის წარმომადგენელი. ამ უკანასკნელმა ჰკითხა, თუ რატომ იღებდა სამუშაოების მიმდინარეობას კამერით. გელა მთივლიშვილმა თამაზ მათეშვილს უთხრა, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა ღამის საათებში და ირღვეოდა იქ მომუშავეთა უფლებები, რაზეც მას პროვოკატორი უწოდეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ამ დროს მას თამაზ მათეშვილმა სახის მარცხენა ნაწილში დაარტყა მუშტი. ამის შემდეგ იგი ჩაჯდა ავტომობილში და დატოვა შემთხვევის ადგილი. დარტყმის შედეგად გელა მთივლიშვილს ტკივილი არ განუცდია, არც დაზიანება მიუღია და არც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას საჭიროებს. ამ ეტაპზე დაკითხულია თვით გელა მთივლიშვილი, თამაზ მათეშვილი, დათვალიერებულია ვიდეოჩანაწერი. გამოკითხულია შემთხვევის ადგილზე მყოფი მუშების ნაწილი და ამჟამად მიმდინარეობს დანარჩენ მოწმეთა გამოკითხვა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“.
		<u>მე-7 საკითხი:</u> №8 ნიუ-იორკის საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე თავმჯდომარედ არჩეულ იქნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი წევრი ნინო ბორჩხაძე, ხოლო არჩევიდან რამდენიმე დღეში 2016 წლის 24 სექტემბრის სხდომაზე საუბნო საარჩევნო კომისიამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით გადააყენა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ის, როგორც კომისიის	<u>მე-7 საკითხი:</u> **ცესკო:** „აღნიშნული საკითხი სხდომაზე განიხილა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ. 2016 წლის 28 სექტემბერს მიღებულ იქნა №492/2016 განკარგულება. ცესკო-მ არ დააკმაყოფილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო. კომისიამ ძალაში დატოვა 2016 წლის 08 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი №8 საუბნო საარჩევნო კომისიის 2016 წლის 24 სექტემბრის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება ამავე კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ (ამავე კომისიის 2016 წლის 24 სექტემბრის №4/2016 და №5/2016 განკარგულებები). ცესკო-ს გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. ცესკო-ს გადაწყვეტილება ორივე ინსტანციამ დატოვა ძალაში“.

		წევრი, წარდგენილი იყო საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან. ცესკო-ში წარდგენილი საჩივრით მათ მოითხოვეს ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ყოფილიყო ცნობილი 24 სექტემბრის სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და №4 და №5 განკარგულებიები, თუმცა, ცესკო-ს მხრიდან საკითხზე რეაგირება არ ყოფილა. <u>მე-8 საკითხი:</u> წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავისმანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს გორის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ბადრი ბასიშვილს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გორის რაიონული ორგანიზაციის მხარდამჭერებს, სამართალდამცავ პირთა თანდასწრებით წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოებისას, ასევე, ამომრჩევლებთან შეხვედრისას, ხელი	<u>მე-8 საკითხი:</u> **შსს, მთავარი პროკურატურა:** „„იხ. ცხრილის 66-ე საკითხის გადაწყვეტილება“. **ცესკო:** „საჩივრისა და მასზე დართული საქმის მასალების შესწავლის შედეგად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ №1582/01 საჩივარი (ცესკო-ში რეგისტრაციის №4887) №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 26.09.2016 წ. მიღებული სამართლებრივი აქტის (ოქმი №14/2016) ბათილად ცნობის ნაწილში. ასევე, არ დააკმაყოფილა №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 26.09.2016 წ. მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ ბათილად ცნობის ნაწილში ასეთი აქტის არარსებობის გამო“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ №1399/01 (18.09.2016) საჩივარზე (გამგეობის რეგისტრაციის №1449,20.09.2016 წ.) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის №01-02/2357 წერილის (19.09.2016 წ.) და თანდართული დოკუმენტაციის (გამგეობის რეგისტრაციის №1456, 20.09.2016 წ.) სოფელ ფლავი-ფლავისმანში აგიტაციის ხელშეშლის ფაქტზე გამგებლის №1-1321 ბრძანების (22.09.2016 წ.) საფუძველზე გამგეობის იურიდიულ სამსახურში („საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის, 93-ე მუხლის მე-4, მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 231-ე, 236-ე, 237-ე, 260-ე და 262-ე მუხლებით დადგენილი წესით) დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა.

		შეუშალეს, სააგიტაციო მასალების გავრცელება-განთავსება აუკრძალეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა, გორის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებმა, გორის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების თანამშრომლებმა, გორის საოლქო საარჩევნო კომისიის დაქვემდებარებაში შემავალ №42.32.93 საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირმა და მათი ოჯახის წევრებმა. აღნიშნული ფაქტი დღემდე არ განუხილავს ცესკო-ს და საოლქო საარჩევნო კომისიას.	მიმდინარე წლის 29 სექტემბერს იურიდიულ სამსახურში ჩატარდა პირველი მოსმენა „ერთიანი ნაციონალური მოიძრაობის“ წარმომადგენლისა და გამგეობის იმ თანამშრომელთა მონაწილეობით, რომლებზეც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საჩივარი უთითებს; ხოლო მეორე მოსმენა/განხილვა დანიშნულია და ყველა დაინტერესებული პირისათვისაც ცნობილია, რომ ჩატარდება 3 ოქტომბერს. ამდენად, უფლებამოსილი ორგანო (გამგეობა/მუნიციპალიტეტი) ყველა მტკიცებულების, ბრალეულობის და სხვა გარემოებების გამოკვლების საფუძველზე (რომელსაც მნიშვნელობა ექნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის) კანონით განსაზღვრული 15 დღის ვადაში მიიღებს გადაწყვეტილებას სამართალდარღვევის ჩადენის არსებობის ან არარსებობის შესახებ“.
93	„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“, თამარ ზურაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 28.09.2016	ფანასკერტელის ქ.№6-ში ,,ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ პლაკატების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატ სევდია უგრეხელიძის პლაკატით გადაფარვის ფაქტის თაობაზე. წარმოადგენენ ფოტომასალას ითხოვენ შესაბამის რეაგირებას.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ფანასკერტელის ქუჩაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000392 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 150-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად“.

94	"პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი" დანიელ დავითაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 28.09.2016	წარმოადგენს ფოტომასალას პეკინის გამზირზე (№2, №16, №75) სააგიტაციო მასალის გადაფარვის თაობაზე.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა თბილისის მერიას. **თბილისის მერია:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პეკინის გამზირი № 2-ში სამართალდამრღვევების - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", „საქართველოს რესპუბლიკური პარტია", „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის" და „სახალხო პარტია" - მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 150-ე მუხლის III ნაწილის შესაბამისად. პეკინის № 75-ის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა, ხოლო პეკინის № 16 - ში გადამოწმებისას არ აღმოჩნდა საარჩევნო პლაკატი".
95	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", განცხადება №1593/01 (28.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16268; 28.09.2016	წარმოდგენენ შემთხვევას, როდესაც მსხვერპლი ღიად საუბრობს მასზე განხორციელებულ ზეწოლაზე, კერძოდ, დევნილებთან გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მონაწილეობა 5-სულიანი ოჯახის უფროსისთვის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა (კომპანია „თელასიდან"). „თელასის" განცხადებით, ზვიად ნებიერიძის სამსახურიდან გათავისუფლება ალკოჰოლის მიღების გამო მოხდა. თუმცა, თავად ნებიერიძე და მისი მეუღლე აცხადებენ, რომ ის ჯანმრელობის მდგომარეობის გამო ალკოჰოლს საერთოდ არ იღებს და იგი	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავარ პროკურატურას. **მთავარი პროკურატურა:** „ინფორმაციის გადამოწმების მიზნით გამოკითხულ იქნენ ზვიად ნებიერიძე და მისი მეუღლე მანანა პაპიტაშვილი, რომლებმაც გამოკითხვისას განმარტეს, რომ ზვიად ნებიერიძე 2014 წლიდან 2016 წლის 21 სექტემბრამდე მუშაობდა სააქციო საზოგადოება „თელასში" მუშად. 2016 წლის 21 სექტემბერს იგი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გამოცხადდა სამსახურში, რის გამოც დამსაქმებლის მიერ მისი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. მომხდარს არანაირი პოლიტიკური სარჩული არ უდევს და ფაქტზე ვინმეს მიმართ პრეტენზია არ გააჩნია".

		გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით, რადგან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან. დევნილთა დასახლებაში ჩასულ კახა კალაძე, ზვიად ნებიერიძე დაუპირისპირდა კრიტიკული კითხვით, რის შემდეგაც ის გაათავისუფლეს სამსახურიდან.	
96	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1594/01 (28.09.2016) იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16269; 28.09.2016	<u>1-ლი საკითხი:</u> 26 სექტემბერს გამგეობის ზედამხედველობის თანამშ რომლებმა მოხსნეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ აჰმედ იმამკულიევის საარჩევნო ბილბორდი/ბანერი. ფაქტი დასტურდება წარმოდგენილი ვიდეომასალით და ითხოვენ მის გაშუქებას უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე.	განცხადება რეაგირებისთვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, ცესკოს, შსს-ს, მთავარ პროკურატურას, ფინანსთა სამინისტროს, თბილისის მერიას. <u>1-ლი საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „განცხადებაში ასახული გარემოებები მცდარი სახითაა წარმოდგენილი. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან განთავსდა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ამავე პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ აკმამედ იმამკულიევის ბანერები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ/ისეთ ადგილებში, რომელიც საკრებულოს 2016 წლის 9 აგვისტოს №100 განკარგულებით საამისოდ არ არის გამოყოფილი. ამან გამოიწვია მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება. ამასთან, საარჩევნო ბანერებზე არ იყო მითითებული დამკვეთი და დამამზადებელი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, მისი ტირაჟის და გამოშვების თარიღი, რაც, თავის მხრივ, არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნებს. ზემოხსენებულის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად იყო სააგიტაციო მასალის განთავსების მიზნით ისეთი

		27 სექტემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში გამგებლის წარმომადგენელმა ვახიდ ხალილოვმა და მისმა თანამშრომელმა ლია ჯაფარიძემ გადააკრეს „ქართული ოცნების“ კანდიდატის პლაკატები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატებზე.	ადგილები გამოყენებული, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 სექტემბრის №10651 ბრძანებით ეთხოვა მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ ,,სუფთა მარნეულს“ და მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურს, განეხორციელებინათ შესაბამისი ღონისძიებები სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით (მოეხდინათ ბანერებისა და პლაკატების უკანონო განთავსებაზე შესაბამისი რეაგირება). კონკრეტულ შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა გადაადგილებისას შეამჩნიეს დაზიანებული ბანერი, რომელიც იყო პოლიტიკური სააგიტაციო შინაარსის და შესაბამისი სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სათანადო ღონისძიებების გატარება (კერძოდ, ხორციელდებოდა მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებები). აღნიშნული ფაქტის დაფიქსირების მიზნით მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები გამოცხადდნენ ადგილზე და მოიძიეს კონკრეტული ინფორმაცია - იყო თუ არა სახეზე „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. რაც შეეხება მე-2 ფაქტს, მოქალაქე ლია ჯაფარიძე არ არის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი, ხოლო გამგებლის წარმომადგენელი შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში ვახიდ ხალილოვი კონკრეტული ფაქტის დროს მოქალაქეს მიუთითებდა სააგიტაციო მასალის განთავსების მიზნით გამოყოფილი ადგილების არსებობის თაობაზე. მუნიციპალიტეტის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო ბილბორდის კანონდარღვევით მოხსნის ფაქტი არ დადასტურდა. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ სააგიტაციო მასალის გავრცელებაში ხელის შეშლის (გადაკვრა) ფაქტი არ დადასტურდა“.
		<u>მე-2 საკითხი:</u> ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში	<u>მე-2 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:**

		დაზიანებულ იქნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატების პლაკატები მათი სრული ჩამოხევით; ასევე, ფიქსირდება შემთხვევები, სადაც მათ პლაკატებზე გადაკრულია „ქართული ოცნების „მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატები. <u>მე-3 საკითხი:</u> ქალაქ თბილისში გადაფარულ იქნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ალექსანდრე ჩაფიჩაძის პლაკატები „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატებით. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სამგორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ხახნელიძის პლაკატები დაზიანებულ იქნა საღებავით და ჩამოხევით.	„სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე გამოვლენილი არ არია (მსგავსი ფაქტების ან/და მათი ჩამდენის დადგენა ძნელდება იქიდან გამომდინარე, რომ ფაქტები, ძირითადად, ხდება ღამის საათებში). <u>მე-3 საკითხი:</u> **თბილისის მერია:** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ აღნიშნულ წერილში მითითებული ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან ობიექტის მისამართი არ არის მითითებული. სამგორის რაიონში მერიის ზედამხედველობის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს დარღვევის ადგილი, დამრღვევის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა“.

		წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ქმედება გ ანახორციელეს მერიის იმ სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებ მაც ამავე სკვერში შეღებეს გასართობი კონსტრუქციები. **<u>მე-4 საკითხი:</u>** მიუთითებენ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, კერძოდ, ხელვაჩაურის გამგებლის მოადგილე ზვიად ხალვაში სამსახურებრივი მანქანით იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში, რაც დასტურდება აჭარის ტელევიზიასთან გაკეთებულ კომენტარში.	**<u>მე-4 საკითხი:</u>** **ცესკო:** „აღნიშნულ საკითხზე დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება. საკითხს იხილავს №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „განცხადებაში ასახული გარემოებები მცდარი სახითაა წარმოდგენილი“. 24 სექტემბერს (შაბათი) აღნიშნული პირი იმყოფებოდა სამსახურში (სამსახურებრივ საკითხზე), კერძოდ, ახორციელებდა სტიქიის სალიკვიდაციო და შემსწავლელ ღონისძიებებს. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მის, როგორც გამგებლის მოადგილის, უფლებამოსილებას, რაც გამგებლის ბრძანებითვე აქვს დაკისრებული. იგი ამავე დროს არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის თავჯდომარე. სექტემბერში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსულმა ძლიერმა წვიმებმა გამოიწვია სტიქიური მოვლენები, რომელთა სალიკვიდაციო ღონისძიებები დღესაც მიმდინარეობს. 24 სექტემბერს აღნიშნული პირი გეოლოგებსა და კომისიის წევრებთან ერთად ახორციელებდა დამეწყრილი კერების შესწავლას, რაც, ასევე, დასტურდება სატელევიზიო სიუჟეტებით (აჭარის ტელევიზია).

		<u>მე-5 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ადგილი აქვს ქ. თბილისის მერიის მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვას, რაც დასტურდება იმით, რომ 2016 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში გაიმართა პირველი საერთაშორისო ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“, რომელიც დაფინანსდა თბილისი მერიის მიერ. ღონისძიება ვარკეთილის მ აჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი მოსიძემ გამოიყენა წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. <u>მე-6 საკითხი:</u> ქალაქ სამტრედიაში საარჩვნო კამპანიის ფარგლებში ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურ	დასახელებულმა პირმა ამავე დღეს, ჩაიარა რა „ქართული ოცნების‘‘ ოფისთან (გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე), შეაჩერა მანქანა და ნახა საარჩევნო შტაბიდან გამოსული მეგობარი. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა“. <u>მე-5 საკითხი:</u> **ცესკო:** „მოსყიდვის ფაქტთან დაკავშირებით ცესკო-ს თავმჯდომარემ წერილობით უპასუხა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელს. წერილით ეცნობა განმცხადებელს, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 47-ე მუხლში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებს, საარჩევნო ადმინისტრაცია არ სწავლობს, არც იკვლევს და, შესაბამისად, ვერც იღებს გადაწყვეტილებებს. საარჩევნო ადმინისტრაცია მოსარჩელე შესაძლებელია იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულად ფლობს დადასტურებულ ფაქტს. „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის, ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამ მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში. ასევე, განმცხადებელს განემარტა, რომ, თუ განმცხადებელი ჩათვლის, რომ ამ და ამგვარი ხასიათის სხვა შემთხვევებზე მასალები საკმარისია სასამართლოში საქმის წარსამართად, მანვე უნდა გამოიყენონ ეს უფლება, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე“. <u>მე-6 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ განცხადებაში ასახული გარემოებები მცდარი სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული პირი ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სამსახურებრივი ავტომანქანით (VPV-423) იმყოფებოდა დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის

		სის გამოყენებას, კერძოდ, სამტრედიის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია სამსახურებრივი მანქანით იმყოფებოდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში. <u>მე-7 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტში „ავერსის“ კლინიკის მიერ ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები, დარიგდა უფასო წამლები. თვითმხილველთა განცხადებით, გამოკვლევის ჩატარებისას მოხდა მოსახლეობის ინფორმირება, რომ აღნიშნული გამოკვლევები ტარდებოდა „ქართული ოცნების“ მიერ.	შეკეთების სამუშაოების შემოწმების მიზნით (ამ დროს მიმდინარეობდა დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის შეკეთებითი სამუშაოები). „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი მდებარეობს სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩის იმავე პერიმეტრზე, სადაც მიმდინარეობდა წყალარინების სისტემის დაზიანებული მონაკვეთის შეკეთებითი სამუშაოები (საარჩევნო შტაბთან ახლოს). ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა“. <u>მე-7 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „განცხადებაში ასახული გარემოებები მცდარი სახითაა წარმოდგენილი. ასპინძის მუნიციპალიტეტში „ავერსის კლინიკი“ს მიერ ჩატარებული უფასო კვლევის აქციის ფარგლებში „ავერსის კლინიკის“ დირექტორი დაუკავშირდა ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას და ინფორმაციის მიღების მიზნით სთხოვა, მიეთითებინა იმ მრავალრიცხოვანი სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელსაც შედარებით ადვილად უკავშირდება რამდენიმე სოფელი. ასპინძის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ასეთი სოფელია ხიზაბავრა, რომელიც არის მრავალრიცხოვანი და უკავშირდება ხუთი სოფელი. აქცია ჩატარდა მუნიციპალიტეტისაგან დამოუკიდებლად, თვითმმართველი ერთეულის მხარდაჭერის გარეშე და „ავერსის კლინიკის“ პოპულარიზაციისათვის. ვინაიდან ამბულატორია იყო მცირე ზომის, „ავერსის კლინიკის“ თანამშრომლები, სოფელ ხიზაბავრაში ასვლისა და ამბულატორიის ნახვის შემდეგ დაუკავშირდნენ გამგებელს და სთხოვეს შუამდგომლობა ფართის გამო (ამბულატორიის მცირე ფართიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მათი (პერსონალის) სრულად განთავსება). გამგებელი ავიდა სოფელ ხიზაბავრაში და სთხოვა ადგილობრივ კათოლიკურ ორგანიზაციას (საბავშვო ბაღი) ნახევარი დღით კლინიკის პერსონალისათვის ფართის დათმობა (რამდენიმე სოფლის მოსახლეობის (ძირითადად, მოხუცებულები და შუა ხნის ადამიანები) დიდი ნაწილი უკვე მისული იყო და ელოდებოდა აქციის დაწყებას). ამვე დროს მოხდა ინტერვიუს ჩაწერა გამგებელ ლევან ცაბაძესთან, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ,ავერსის კლინიკას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის

		<u>მე-8 საკითხი:</u> საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დაბა ვალეში დააზიანეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ვაჟა ჩიტიშვილის პლაკატები. ვალეს მცხოვრებთა განცხადებით, პლაკატები ჩამოხიეს 26 სექტემბერს, გვიან ღამით, რადგან დილით იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ჩადიოდა დაბა ვალეში. ადგილობრივმა თვითმმართველობამ მიიღო დავალება, რაიონი გასუფთავებულიყო	სამედიცინო მომსახურების გაწევისათვის (რაც წარმოადგენდა მადლიერების გამოხატვას კლინიკისა და პერსონალის მიერ გაწეული სამიანობისთვის). იმავე დროს არანაირ წინასაარჩევნო განცხადებებს, პარტიულ სიმბოლიკას, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლო ან საწინააღმდეგო განცხადებებს ან დაპირებებს ადგილი არ ჰქონია. წინასაარჩევნო აგიტაციის ან ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი არ დადასტურდა“. <u>მე-8 საკითხი:</u> **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე გამოვლენილი არ არის (ფაქტების ან/და მათი ჩამდენის დადგენა ძნელდება იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ფაქტები, ძირითადად, ხდება ღამის საათებში).

		ოპოზიციური პარტიების პლაკატებისაგან. **<u>მე-9 საკითხი:</u>** ქალაქ სენაკში საარჩევნო კამპანიის ფარგლები ადგილი აქვს სააგიტაციო მასალის აკრძალულ შენობებში განთავსებას, კერძოდ, სენაკის შემოსავლების სამსახურის შენობაში, სადაც განთავსებულია საჯარო რეესტრიც, გაკრულია „ქართული ოცნ ების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ბერაიას პლაკატები. **<u>მე-10 საკითხი:</u>** ქალაქ ოზურგეთის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით მჟავანაძის პლაკატები გადაიფარა „ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ არჩილ თალაკვაძის პლაკატებით.	**<u>მე-9 საკითხი:</u>** **ცესკო:** „ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნული განცხადება გადაუგზავნა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვინაიდან უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი“. **<u>მე-10 საკითხი:</u>** **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „სამართალდამრღვევი პირ(ებ)ი ამ ეტაპზე გამოვლენილი არ არის (ფაქტების ან/და მათი ჩამდენის დადგენა ძნელდება იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი ფაქტები, ძირითადად, ხდება ღამის საათებში)“.

97	არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯე“, ნინო ოკუჯავა წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 27.09.2016	ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის“ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა შენობა 2015 წლის 25 სექტემბერს გამოყენებულ იქნა წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის, კერძოდ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბროშურები სწორედ ამ შენობაში მიიტანეს და შემდეგ გადაიტანეს პარტიის შტაბში. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ბროშურების გადაზიდვაში ზემოაღნიშნული ა(ა)იპ-ის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. განმცხადებელი მიუთითებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე და ითხოვს შესაბამის რეაგირებას.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **ცესკო:** „საკითხს სწავლობს გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი**: „აღნიშნულ ფაქტზე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ჩამორთმეულ იქნა ახსნა-განმარტებები ბაღების გაერთიანების დირექტორ გიორგი გელაშვილსა და ამავე გაერთიანების თანამშრომელ ლაშა მჭედლიძისათვის. სადაც აღნიშნავენ, რომ გასულ სიუჟეტში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება და ჯერ „ქართლი.გე“-ს ჟურნალისტმა და შემდეგ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა დაამახინჯა რეალურად მომხდარი ფაქტები. ირკვევა, რომ ამ ორი მედიასაშუალების მიერ მიზანმიმართულად მოხდა გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისა და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გორის ოფისის დადანაშაულება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში. კერძოდ, ირკვევა, რომ მომხდარი ფაქტის დღეს ბაღების გაერთიანების თანამშრომლებმა გვიანობამდე იმუშავეს იმის გამო, რომ მიმდინარეობდა რაიონში არსებული 37 საბავშვო ბაღის გახსნის სამუშაოები და ბაღების ოფისიდან გაერთიანების თანამშრომლების გამოსვლის შემდეგ, რომელიც მდებარეობს პარტიის შტაბიდან რამდენიმე მეტრში, ლაშა მჭედლიძე ფიზიკურად მიეხმარა შტაბის წევრებს პარტიის ოფისში ტვირთის შეტანაში, რაც, თავისთავად, კანონის დარღვევას არ წარმოადგენს. ამის შესახებ მან ინტერვიუში კიდევაც განუცხადა ჟურნალისტს, თუმცა, როგორც ჩანს, ჟურნალისტმა ეს ფაქტები განზრახ დაამახინჯა და ინტერვიუ გავიდა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზების სახით, რასაც მჭედლიძეც ადასტურებს. ასევე, არ დასტურდება რაიმე სააგიტაციო მასალის არსებობა გაერთიანების ოფისში, რაზეც აპელირებდა ჟურნალისტი. სავარაუდოდ, ჟურნალისტმა არასწორად დააკავშირა ერთმანეთთან ბაღების გაერთიანების ოფისის გვიანობამდე მუშაობა და „ქართული ოცნების“ შტაბში სააგიტაციო მასალის შეტანა, რომელიც ერთმანეთს დროში დაემთხვა და ეს ორი ფაქტი მიზანმიმართულად მცდარი ინტერპრეტაციით იქნა გაშუქებული. რეალურად „ქართული ოცნების“ გორის შტაბს ქალაქში აქვს დაქირავებული 5 საკმაოდ კარგად აღჭურვილი ოფისი საჭიროზე მეტი ფართით და საკმარისად ჰყავს შრომითი რესურსიც. აქედან გამომდინარე, ბაღების გაერთიანების და ნებისმიერი სხვა ფართით სარგებლობას პარტია სრულიად არ საჭიროებს.“.

98	„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ISFED – ის აღმასრულებელი დირექტორი- მიხელი ბენიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 03.10.2016	წარმოადგენენ „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო მონიტორინგის მე-4 და ბოლო შუალედურ ანგარიშს 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის. აღნიშნული ანგარიში მოიცავს 2 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს. ორგანიზაციის დაკვირვებით საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების 3; ზეწოლა მუქარის 11; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 12; კამპანიისთვის ხელის შეშლის 8; ფიზიკური დაპირისპირების 6; ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 4; პარტიული ოფისის დაზიანების 2; სააგიტაციო მასალების დაზიანების 37; სიძულვილის ენის გამოყენების 4; არაუფლებამოსილი პირის მიერ აგიტაციაში მონაწილეობის 8 ფაქტი.	ანგარიში დაუყოვნებლივ გაეგზავნა კომისიის ყველა წევრს. აღნიშნულ ანგარიშში მოცემულ ფაქტების ნაწილზე ცხრილში მოცემულია შესაბამისი ინფორმაცია, ხოლო ნაწილს უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავენ შესაბამისი კომპეტენტური უწყებები.
99	„მემარცხენე ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის	საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ადგილი აქვს „მემარცხენე ალიანსის “ მაჟორიტარი დეპუტატობის	ინფორმაცია გაეგზავნა თბილისის მერიას.

	კანდიდატები-ელზა ჯმუხაძე და ბაკურ სვანიძე წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge -ზე ელექტრონული სახით 03.10.2016	კანდიდატების მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის და საარჩევნო კამპანიაში ამ კანდიდატების საზიანოდ სახელისუფლო რესურსის გამოყენების სავარაუდო ფაქტებს. კერძოდ, 2016 წლის 28 და 30 სექტემბერს პგ „მემარცხენე ალიანსს“ ჩაბარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხვედველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ორი ოქმი ელზა ჯმუხაძის, ხოლო ერთი ოქმი-ბაკურ სვანიძის სახელზე. სამივე ოქმის თანახმად, „მემარცხენე ალიანსის“ კანდიდატები დაჯარიმებულნი არიან საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატის არასათანადო ადგილზე განთავსებისთვის. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მათ მიერ საარჩევნო პლაკატების გაკვრა ჯდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის ფარგლებში და უმყარებს საფუძვლიან ეჭვს , რომ მათი დასჯა-	

		დაჯარიმება და მათთვის ხელოვნური პრობლემების შექმნა საარჩევნო კამპანიის წარმოების დროს პირდაპირ ემსახურება მათი ყველა დანარჩენი სხვა კონკურენტის ინტერესებს. აშკარაა, რომ რეალურად, მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ გააჩნია სახელისუფლო რესურსი საიმისოდ, აშაკარად და რეალური კონკურენტების წინააღმდეგ გამოიყენოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხვედველობის საქალაქო სამსახური და დააწერინოს ჯარიმები მათ სახელზე.	
100	„თავისუფალი დემოკრატები“ ირაკლი ალასანია იუსტიციის სამინისტროს კანცელარია №01/16269; 04.10.2016	საქართველოს მასშტაბით ჩატარებული, **კენჭისყრის დღისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების მონიტორინგს,** რაც მიზნად ისახავდა საარჩევნო ადმინისტრიციისათვის ინფორმაციის მიწოდებას არსებულ ვითარებაზე, რა დროსაც გამოვლენილ იქნა ხარვეზები. კერძოდ, უმრავლესი საარჩევნო უბანი დღემდე არ არის უზრუნველყოფილი	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკოს.

		ელექტრო ენერგიითა და სველი წერტილებით. კენჭისყრის დღისათვის გამოყოფილი ოთახის ფართობი ხშირ შემთხვევაში არ არის ადეკვატური საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობისა, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ქაოსი და არეულობა, შეუძლებელი გახდება საარჩევნო კოდექსით გათავლისწინებული პროცედურების ჩატარება. კენჭისყრისათვის გამოყოფილია ისეთი ადგილები, რომლებიც არის ღია /არაიზოლირებული, როგორიცაა სკოლის ფოიეები, კულტურის სახლები, რომელსაც გააჩნია ორი და ორზე მეტი შესასვლელ/ გამოსასვლელი, რაც შესაძლებელია გახდეს ეჭვის საფუძველი არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით და გამოიწვიოს არჩევნებში ჩართული მხარეების უნდობლობა ჩატარებული არჩევნებისადმი.	

101	„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“, თამარ ზურაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 04.10.2016	შეტყობინებით წარმოადგენენ, ,,ნინო ბურჯანაძე- დემოკრატიული მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატების პლაკატების გადაკვრის ამსახველ ფოტოებს (ქ. გორში, სტალინის ქ. 17-19 და ქ. თბილისში, მუხიანში, ნონეშვილის ქუჩაზე).	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაეგზავნა თბილისის მერიას, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს.
102	არასამთავრობო ორგანიზაცია - ,,ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის " ნატალია ხოხიაშვილი წერილი შემოვიდა iatf@justice.gov.ge - ზე ელექტრონული სახით 05.10.2016	წარმოადგენილია ფოტომასალა ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატების, მარიამ ჯაშისა და გიორგი მოსიძის ამომრჩველეთან შეხვედრებზე საჯარო მოხელეების მონაწიეობის თაობაზე.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტსადა ცესკოს.
103	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1695/01 (05.10.2016)	წერილი ეხება წინასაარჩევნო პერიოდში, საქართველოში ლიცენზირებული სატელევიზიო მაუწყებლის მეშვეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე პარტია "ქართული ოცნების" რეკლამირებას.	რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გაეგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ცესკოს-ს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს.

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16700; 05.10.2016	კერძოდ, ამჟამად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების სატელევიზიო კლიპების რეკლამირება ნაციონალური არხების საშუალებით, სახელწოდებით „სივრცით ი მოწყობა, ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის“ და „პროექტი - ახალი თბილისი“. შეუძლებელია აღნიშნული კლიპების სოციალურ რეკლამად განხილვა. ეს კლიპები ემსახურება სამთავრობო დაწესებულებების მიერ განხორციელებული სამუშაოების რეკლამირებას და აქვს პარტია „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერი წინასაარჩევნო სააგიტაციო რეკლამის სახე, რაც მიზნად ისახავს პარტია „ქართული ოცნების“ მიმართ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვებას.	
104	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, განცხადება №1696/01 (05.10.2016)	საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატის ელენე ხოშტარიას სარეკლამო	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს, შსს-ს, მთავარ პროკურატურას და თბილისის მერიას.

	იუსტიციის სამინისტროს კანცელარია № 01/16701; 05.10.2016	ბანერი, რომელიც განთავსებული იყო წყნეთში კერძოდ, წყნეთის გზაზე, 2 სექტემბერს დააზიანეს საღებავით. ბანერი არ ექვემდებარება აღდგენას. წერილის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბანერების, ბილბორდებისა და პლაკატების დაზიანების ფაქტები ფიქსირდება მთელი საქართველოს მაშტაბით, რაც ბადებს ეჭვს, რომ ქმედებები მიზანმიმართულად ხორციელდება მთავარი ოპოზიციური ძალის წინააღმდეგ. ქალაქ თელავის და ყვარლის მუნიციპალიტეტების ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **გიორგი ბოტკოველის პლაკატების დაზიანება,** კერძოდ, ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატები დაფარულია საღებავით, პლაკატები არ ექვემდებარება აღდგენას.	

		გურჯაანის მუნიციპალიტეტის ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **გიორგი ღვინიაშვილის პლაკატების დაზიანება.** კერძოდ, მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატების ნაწილი ჩამოხეულია, ნაწილი დაფარულია პარტია“ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის დავით სონღულაშვილის პლაკატე ბით. წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **ბაკურ მგელაძის პლაკატების** დაზიანება. კერძოდ, ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატებზე გადაკრულია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატები. ქალაქ მცხეთის ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **ირაკლი ბერიაშვილის პლაკატების დაფარვა.** კერძოდ, ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატებზე გადაკრულია პარტია“ ქართული	

		ოცნების” მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატები ქალაქ ქუთაისის ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **გიორგი თევდორაძის პლაკატების დაფარვა** . კერძოდ, ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატებზე გადაკრულია პარტია ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატები. ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, მესტიის მუნიციპალიტეტების ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **ოთარ სირაძის პლაკატების დაზიანება.** კერძოდ ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატებზე გადაკრულია პარტია “ქართული ოცნების” მაჟორიტარი კანდიდატის გოჩა ენუქიძის პლაკატები, ნაწილი პლაკატებისა ჩამოხეულია. ქალაქ ბოლნისის მაჟორიტარი კანდიდატის **სამირა ისმაილოვას პლაკატების დაზიანება,** კერძოდ მაჟორიტარი	

		კანდიდატის პლაკატები სრულად ჩამოხეულია. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ენმ-ის მაჟორიტარი კანდიდატის **ნუგზარ წიკლაურის პლაკატების დაფარვა.** კერძოდ, მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატები დაფარულია პარტია“პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატებით. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო პლაკატების ენმ-ის ჩუღურეთის მაჟორიტარი კანდიდატის **ირაკლი ჩოლოყაშვილის პლაკატების** დაფარვა. ქალაქ თბილისში ენმ-ის მთაწმინდის მაჟორიტარი კანდიდატის **ნიკა რურუას პლაკატების დაზიანება.** კერძოდ, მაჟორიტარი კანდიდატის პლაკატები დაფარულია დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატის სალომე ზურაბიშვილის პლაკატებით. ნიკა რურუას	

		აქტივისტემბა ასევე მოახდინეს „პატრიოტთა ალიანსის“ მთაწმინდის მაჟორიტარი კანდიდატის ვლადიმერ სადღობელაშვილის აქტივისტების იდენტიფიცირება, რომლებიც საღებავების გამოყენების გზით აზიანებდნენ ნიკა რურუას პლაკატებს. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პლაკატებით ენმ-ის ისნის მაჟორიტარი კანდიდატის **ზაზა კედელაშვილის პლაკატების დაფარვა.**	

ცხრილი №2. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომების დროს მედიამონიტორინგის შედეგად დღის წესრიგით განხილული საკითხები:

№	მედიასაშუალება / შეტყობინების თარიღი	ინფორმაციის შინაარსი	რეაგირება / გადაწყვეტილება
1.	„მაესტრო“ 23.08.2016	**ტელევიზია** **„ბრძოლა წესების გარეშე მარტვილის 65-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში“** ინციდენტის მთავარი პერსონაჟი სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის, ზაზა გოროზიას, რძალია. ოლგა ჩურკანოვა კოლეგებს („ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს) ფიზიკურად გაუსწორდა, მოხვდა გამშველებელსაც. დაპირისპირების მიზეზი საარჩევნო კომისიაში უბანზე დასანიშნ პირთა სიები გახდა. ჩურკანოვამ კოლეგას სიები წაართვა და სცემა. კოლეგების გაზავება კომისიის მდივანმა სცადა, თუმცა, ჩურკანოვა ფიზიკურად მასაც შეეხო. არსებობს ვარაუდი, რომ ინციდენტის დროს ჩურკანოვა არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ინციდენტს ცესკო სწავლობს. მოკვლევა შს სამინისტრომაც დაიწყო.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა შსს-ში, პროკურატურასა და ცესკო-ში. **შსს, მთავარი პროკურატურა:** „2016 წლის 21 აგვისტოს დაიწყო გამოძიება ელგა ცანავას ცემის ფაქტზე, სსკ 125-ე მუხლის I ნაწილით. დადგენილია, რომ 2016 წლის 21 აგვისტოს მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში კომისიის წევრმა ოლგა ჩურკანოვამ შელაპარაკების ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე კომისიის წევრს და კომისიის მდივანს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ერთმა დაზარალებულმა მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, ხოლო მეორეს სხეულზე გარეგნულად რაიმე სახის მექანიკური დაზიანებისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშანი არ აღენიშნება. თავად ოლგა ჩურკანოვამ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. 2016 წლის 17 სექტემბერს ოლგა ჩურკანოვას წარედგინა ბრალდება სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი). 2016 წლის 19 სექტემბერს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. დღეის მდგომარეობით, საქმეზე გრძელდება გამოძიება“. **ცესკო:** „2016 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ ბართაიას, თავმჯდომარის მოადგილე პეტრე მანტუას, კომისიის მდივან ნინო დანელიას, კომისიის წევრების – ლიკა გაგუას და ელგა ცანავას – ახსნა-განმარტებითი ბარათი (ცესკო-ში რეგისტრაციის №3070; 22.08.2016), სადაც საუბარი იყო კომისიის

			წევრების მხრიდან კანონმდებლობის დარღვევებზე, რის გამოც ცესკო-ს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაწყებულ იქნა სამსახურებრივი შემოწმება №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და წევრების ახსნა-განმარტებით ბარათში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით. შესწავლისა და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, 2016 წლის 9 სექტემბერს ცესკო-მ გამოსცა №416/2016 განკარგულება, რომლითაც №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრ ოლგა ჩურკანოვას მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, ხოლო ამავე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პეტრე მანტუას და წევრ დავით ჯამბურიას მიმართ – გაფრთხილება. ცესკო-ს აღნიშნული განკარგულება გასაჩივრდა ოლგა ჩურკანოვას მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და ის სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. ამ შემთხვევაშიც მოსარჩელე ოლგა ჩურკანოვას სააპელაციო საჩივარიც არ დაკმაყოფილდა და ძალაში იქნა დატოვებული ცესკო-ს №416/2016 განკარგულება.
2.	Kvira.ge (10.09.2016)	**სააგენტო** **„ქართული ოცნება“ იმ ვიდეომასალას აქვეყნებს, რომელზეც პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ისაუბრა“** როგორც კობახიძემ დღევანდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, აჭარაში „ქართული ოცნების“ კანდიდატებს, ფატი ხალვაშსა და ვახტანგ წულაძეს, ჰქონდათ შეხვედრა ამომრჩეველთან	**კონტრაქციებთან დაკავშირებულ საკითხებზე უწყებათაშორისმა კომისიამ იმსჯელა და 2016 წლის 14 სექტემბერს გამოსცა რეკომენდაცია** (გთხოვთ, იხილოთ ბმული: http://justice.gov.ge/Mi№ istry/I№ dex/487).

		ბარცხანაში, სადაც მივიდნენ ნაზი ფუტკარაძე, საკრებულოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი, ვინმე ივანიძე, ერთ-ერთი ყოფილი რწმუნებულის ქალიშვილი და მოაწყვეს პროვოკაცია. „პროვოკაცია საკმაოდ მძიმე ფორმას ატარებდა. ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც იქ გაისმა, არის ის, რომ იყვნენ ღირსნი ცოცხებისა და „დუბინკების“. ასეთი მძიმე ფრაზა გაისმა ამ შეხვედრაზე, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა რეაქცია ჩვენი აქტივისტების მხრიდან, თუმცა, ეს რეაქცია იყო ღირსეული. მადლობა მინდა, გადავუხადო ჩვენს აქტივისტებს, რომ არ აჰყვნენ პროვოკაციებს და შემოიფარგლენ მხოლოდ ღირსეული პასუხით. აქვე მინდა, ვთქვა, რომ ვიდრე სანდრა რულოსვის პირით „ნაციონალები“ ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ „დუბინკები“ და ცოცხები აღარ იქნება, მათი აქტივისტები, მათი თანაპარტიელები რეალურად საპირისპიროში გვარწმუნებენ. გუშინდელი ფრაზაც ამის კიდევ ერთი დასტური იყო“, - აღნიშნა კობახიძემ. http://kvira.ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9d%e1%83%aa%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%90%e1%83%ad%e1%83%90%e	

		1%83%a0%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%9b/	
3.	„რუსთავი 2“ 07.09.2016	**ტელევიზია** **„სახელმწიფო ხალხისთვის“ მაჟორიტარი კანდიდატის შეხვედრა მოსახლეობასთან სიტყვიერი დაპირისპირებით დასრულდა“** მუქარით და სიტყვიერი დაპირისპირებით დასრულდა პარტიის - **„პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შეხვედრა მოსახლეობასთან. სოფელ უბისასა და სოფელ ბორითში ხარაგაული-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარობის კანდიდატის და შტაბის ხელმძღვანელი პირების შეხვედრის ჩაშლა ერთი და იმავე პიროვნებამ სცადა. მომხდართან დაკავშირებით პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე შინაგან საქმეთა სამინისტროსგან შესაბამის რეაგირებას ითხოვს. „არ არის ნორმალური, როცა კანდიდატი დადის შეხვედრებზე და მას კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები დაჰყვებიან და	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა შსს-ში. **შსს:** „2016 წლის 06 სექტემბერს ხარაგაულის რაიონულ სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება პოლიტიკური პარტიის - ,,პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ - ხარაგაული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი გლუნჩაძისაგან ხარაგაულის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტზე. 2016 წლის 06 სექტემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ უბისაში პოლიტიკური პარტიის - „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ - ხარაგაული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ხარაგაულის რაიონის სოფელ უბისაში მოსახლეობასთან მართავდა შეხვედრას და ატარებდა აგიტაციას. შეხვედრის დასრულებამდე შეხვედრაზე მყოფმა ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში მცხოვრებმა ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კოორდინატორმა გ.ტ.-მ გიორგი გლუნჩაძეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მის პოლიტიკურ პარტიას და დაემუქრა ფიზიკური ანგარიშსწორებით, კერძოდ, ცემით, თუ განაგრძობდა აგიტაციას მოსახლეობასთან, ხოლო ხარაგაულის რაიონის სოფელ უბისაში მცხოვრებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბორითის ტერიტორიული ერთეულის სპეციალისტმა მ. ს.-მ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა მის პოლიტიკურ შეხედულებას, უწოდა „წინა ხელისუფლების ნარჩენები“ და უცენზურო სიტყვებით ლანძღავდა პოლიტიკურ პარტიას - ,,პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“. ამის შემდეგ გიორგი გლუნჩაძე მოსახლეობასთან აგიტაციის ჩასატარებლად გაემართა ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში. ადგილზე მისვლისას კვლავ დახვდა გ. ტ., რომელიც დაემუქრა ფიზიკური ანგარიშსწორებით, თუ განაგრძობდა მოსახლეობასთან შეხვედრას, კერძოდ, ცემით და შეხვედრის ჩაშლით,

		მოსახლეობას აშინებენ, რომ არ გამოვიდნენ შეხვედრაზე და რომ არ ჰქონდეთ კომუნიკაცია ჩვენს კანდიდატთან“, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ. http://rustavi2.com/ka/news/56024	უცენზურო სიტყვებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, უწოდა „წინა ხელისუფლების ნარჩენები“. გიორგი გლუნჩაძის განმარტებით, აღნიშნული ინციდენტი გადაიღო მისმა თანმხლებმა პირმა, რომელმაც წარმოადგინა CD დისკი. მისი თქმით, მასზე აღბეჭდილია ინციდენტი, თუმცა, წარმოდგენილ დისკზე რაიმე სახის ძალადობის ფაქტი არ არის დაფიქსირებული. გიორგი გლუნჩაძემ ხარაგაულის რაიონის სოფელ უბისასა და სოფელ ბორითში მოსახლეობასთან შეხვედრა ჩაატარა სრულად. ჩაშლას ადგილი არ ჰქონია. გ.ტ.-მ და მ.ს.-მ გამოკითხვისას შეხვედრაზე არსებობის ფაქტი დაადასტურეს, თუმცა, უარყვეს რაიმე სახით გიორგი გლუნჩაძის მიმართ განხორციელებული მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი. ხარაგაულის რაიონულ სამმართველოში შემოსული შეტყობინებიდან ათ წუთში ინციდენტის ადგილზე გამოცხადნენ ხარაგაულის რაიონული სამმართველოს ბორითის პოლიციის განყოფილების თანამშრომლები. ზემოაღნიშნული ფაქტის ირგვლივ გამოიკითხნენ გიორგი გლუნჩაძე, გ.ტ. და მ.ს., ასევე, სხვა პირები. წარმოდგენილ იქნა CD დისკზე ვიდეოჩანაწერი, სადაც რაიმე ძალადობის ფაქტი დაფიქსირებული არ არის. მოცემულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობის გამო“.
4.	„ინტერპრესნიუსი“ 07.09.2016	**სააგენტო** **„ბექა ბასილაია - ფოთის მუნიციპალიტეტში არჩევნები შესაძლოა გაყალბდეს“** „ფოთის მუნიციპალიტეტში არჩევნები შესაძლოა გაყალბდეს“, - ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქალაქო ორგანიზაციაში განაცხადეს. პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ბექა ბასილაიას	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცესკო-ს და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს. **ცესკო:** „ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქ. ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ დარცმელიძის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები მონაწილეობდნენ 5 სექტემბერს გამართულ შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს, განსახილველ შემთხვევაში კი, შეხვედრაში მონაწილე საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების ვადები დაიწყო 7-8 სექტემბერს.

		ინფორმაციით, მერიის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები და ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლები საუბნო საარჩევნო კომისიების უპარტიო წევრებს სამუშაო საათებში იბარებენ და მითითებებს აძლევენ, თუ როგორ უნდა გაყალბდეს არჩევნები. ამასთან დაკავშირებით პარტიის ოფისში წარადგინეს ფოტოვიდეომასალა. ,,ფოთის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ზვიად შუბითიძე, ,,ქართული ოცნების“ მთავარი გამყალბებელი ბატონი ზაალ კუჭუხიძე „ქალთა კონსულტაციის ცენტრში“ საუბნო საარჩევნო კომისიის თავისუფალ წევრებს იბარებდნენ და უტარებდნენ ინსტრუქტაჟს, თუ როგორ აირჩიონ უბნის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. ასევე, აძლევდნენ კონკრეტულ მითითებას, როგორ უნდა იქნეს 8 ოქტომბერს არჩევნები გაყალბებული. მინდა, ვუთხრა ბატონებს - შუბითიძეს და კუჭუხიძეს, რომ ნუ შეასრულებთ ბიძინა ივანიშვილის ბინძურ დაკვეთას. ჩვენ ისინი გამოვააშკარავეთ. ისინი მთელი 24 საათის განმავლობაში შეყუჟული იყვნენ ,,ქალთა კონსულტაციის ცენტრში“, ეს და სხვა საჯარო მოხელეები, მათ მიერ ორგანიზებული და თავმოყრილი კომისიის თავისუფალი წევრები, ასევე, ,,ქართული ოცნების“ მიერ	საკითხის შესწავლის შემდგომ ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიმდინარე წლის 20 სექტემბრის №31 განკარგულებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე განმცხადებელ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს უსაფუძვლობის გამო. ამასთან, ამავე პირის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქ. ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ვახტანგ დარცმელიძე) მიერ 2016 წლის 22 სექტემბერს ცესკო-ში შემოვიდა საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილი იყო №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2016 წლის 20 სექტემბრის №31 განკარგულების გაუქმება. საჩივრისა და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის №31 სადავო განკარგულება გამოცემულია 2016 წლის 20 სექტემბერს, რისი გასაჩივრებაც მხარეს შეეძლო მითითებული დღის მომდევნო დღეს, ანუ 2016 წლის 21 სექტემბერს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო, პოლიტიური გაერთიანების წარმომადგენლის საჩივარი განუხილველად იქნა ცესკო-ს მიერ დატოვებული (ცესკო-ს 23 სექტემბრის №470/2016 განკარგულება)“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „ზვიად შუბითიძე აცხადებს, რომ მეორე დღეს, ანუ 6 სექტემბერს, ვინაიდან იყო „ფაზისობის“ დღესასწაული, ქალაქში საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ბევრს მოძრაობდა. იმ ტერიტორიაზე რამდენიმე წუთით იმყოფებოდა პირად საქმეზე, კერძოდ, შეიარა საკანცელარიო მაღაზიაში და „ლიბერთი ბანკში“, რადგან ქალაქში „ლიბერთი ბანკის“ სულ ორი ბანკომატია - ერთი მერიასთან, სადაც რიგი იყო, და მეორე სწორედ იმ ადგილზე, სადაც ბანკია. თემურ დუნდუა მიჰყვა მეუღლეს - ბუტა ნაცვლიშვილს, ქალთა კონსულტაციის განყოფილებაში და ელოდებოდა გარეთ. გიორგი ნადარეიშვილი არის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი და ვინაიდან მეორე დღეს „ფაზისობის“ დღესასწაული იყო, ასრულებდა სამსახურებრივ საქმიანობას, კერძოდ, არიგებდა ოფისებში მოსაწვევებს, რა დროსაც მას შეუცვივდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კამერებით. მან მათ განუცხადა, რომ არიგებს ფლაერებს, რა დროსაც მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება.

		კონტროლირებადი ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წევრი კომისიაში. ეს იყო სრულიად უკანონო თავშეყრა, ეს იყო ინსტრუქციების გაცემა სრულიად უკანონოდ, რადგან ზვიად შუბითიძეს და ზაალ კუჭუხიძეს არაფერი არ ესაქმებათ საუბნო კომისიის თავისუფალ წევრებთან“, - განაცხადა ბექა ბასილაიამ. http://www.interpressnews.ge/ge/erthiani-nacionaluri-modzraoba/395665-beqa-basilaia-fothis-municipalitetshi-archevnebi-shesadzloa-gayalbdes.html	ნიკა კორშია საერთოდ არ იმყოფებოდა შენობაში. ზაალ კუჭუხიძე ხშირად დადის იმ შენობაში, რადგან იქ მისი დედის მფლობელობაში არსებული საოფისე ფართებია. მიუხედავად იმისა, რომ ზაალ კუჭუხიძე იმ მომენტში იქ არ იმყოფებოდა, მას ჟურნალისტები შეუცვივდნენ პარტიის ოფისში, სადაც კუჭუხიძემ დაუფიქსირა, რომ იქ მისი ოჯახის წევრის კერძო საკუთრებაა და დილის საათებში შეიარა დარაჯისთვის გარკვეული დავალების მისაცემად. კუჭუხიძე არსად არ არის დაფიქსირებული. მიუხედავად ამისა, მას არ დაუმალავს, რომ იმყოფებოდა იქ სხვა მიზნით და არაფერი ჰქონდა საერთო კომისიის წევრებთან. ინგა ბერულავა არის შპს „ინფრასტრუქტურა 2008“-ის თანამშრომელი, საკრებულოს წევრ თამაზ სოსელიას მეუღლე, რომელიც იყო იქ მცირეწლოვან შვილთან ერთად პირად საქმეზე, რაც კადრშიც არის დაფიქსირებული. ყველა აღნიშნული საჯარო მოხელე უარყოფს იმ კადრებში დაფიქსირებულ ხალხთან რაიმე კონტაქტს. ზოგადად, ეს შენობა და მიმდებარე ტერიტორია ქალაქში არის ყველაზე საქმიანი უბანი, სადაც 40-მდე ოფისია - სხვადასხვა მაღაზია, ბანკები, რესტორნები, კაფეები და კიდევ უამრავი დაწესებულება. შესაბამისად, პირადი საქმისთვის ბევრი ფოთელი მოძრაობს. ზოგიერთი მოქალაქე ნამდვილად აღმოჩნდა კომისიის წევრი, მაგრამ იმ შენობაში ყოველდღიურად ასობით და ათასობით მოქალაქე მიდის, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ საარჩევნო კომისიებთან, და კომისიის რამდენიმე წევრის იქ ყოფნა გასაკვირი არ უნდა იყოს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვიდეოში დაფიქსირებული 24 პირიდან, რომლებიც სხვადასხვა დროს მოძრაობდნენ ქალაქის ცენტრალურ და ხალხმრავალ ადგილას, საჯარო სამსახურში დასაქმებულია 13 პირი“.
5.	„სპექტრი“ 14.09.2016	**სააგენტო** **„გურჯაანსა და ჩალაუბანში „ქართული ოცნების“ პლაკატები ჩამოხიეს“** ქალაქ გურჯაანსა და სოფელ ჩალაუბანში „ქართული ოცნების“	**ინფორმაცია დაუყოვნებლივ გაიგზავნა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შსს-ში.** **შსს:** „2016 წლის 14 სექტემბერს გურჯაანის რაიონული სამმართველოს მიერ იტერნეტპორტალ „spectri.ge“-ს დათვალიერებისას ნანახი იქნა ქ.

		მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით სონღულაშვილის სააგიტაციო მასალები ჩამოხიეს. როგორც „speqtri.ge“-ს პარტიაში განუცხადეს, ისინი დღეს გურჯაანის საოლქო კომისიას საჩივრით მიმართავენ. „აღნიშნული ფაქტი გამოვლინდა გურჯაანში, ცხრა აპრილის ქუჩაზე, და სოფელ ჩალაუბანში. ჩამოხეულია თითქმის ყველა პლაკატი, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. ამას საარჩევნო კოდექსი არეგულირებს. მოვუწოდებ ყველა საარჩევნო სუბიექტს, მსგავსი ქმედებებისგან თავი შეიკავოს. „ქართული ოცნება“ ამგვარი საქციელით არ აპირებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებას. დღესვე მივმართავთ საოლქო საარჩევნო კომისიას. ამის უკან ალბათ კონკურენტი პარტიის საარჩევნო სუბიექტი დგას“, - აღნიშნა „speqtri.ge“-თან „ქართული ოცნების“ გურჯაანის შტაბის საარჩევნო სპეციალისტმა ზაქრო ქაჩლიშვილმა. http://www.speqtri.ge/politika/thvithmmarthveloba/archevnebi-2016/article/25038-gurjaansa-da-chalaubanshi-qqarthuli-ocnebis-plakatebi-chamokhies-photo	გურჯაანში, 9 აპრილის ქუჩაზე, და ამავე რაიონის სოფელ ჩალაუბანში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით სონღულაშვილის ჩამოხეული სააგიტაციო მასალების (პლაკატების) ფაქტი. 2016 წლის 14 სექტემბერს ქ.გურჯაანში, 9 აპრილის ქუჩაზე, და სოფელ ჩალაუბანში ადგილზე დათვალიერებისას გაირკვა, რომ ქ. გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით სონღულაშვილის საარჩევნო მასალები (პლაკატები) ნამდვილად იყო ჩამოხეული, რაზეც შედგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ, ადგილზე გამოცხადების ოქმები, და გადაღებულ იქნა ფოტომასალა“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „გურჯაანის მუნიციპალიტეტში გამგებლის სახელზე შესულია 4 მიმართვა სამართალდარღვევის ფაქტის - სააგიტაციო მასალების დაზიანების შესახებ, რომლებსაც ერთვოდა დაზიანებული მასალების ფოტოსურათები. გამოირკვა, რომ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეუძლებელია დადგენა, თუ ვის მიერ არის ჩადენილი სამართალდარღვევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდარღვევის ოქმი ამ ეტაპზე არ შედგენილა“.
6.	„რეპორტიორი“ 13.09.2016	**სააგენტო** **„დიმიტრი ხუნდაძე: ცეზარ ჩოჩელმა დეპუტატობის კანდიდატად დარეგისტრირების შემდეგ საგურამოს სკოლას 12 145 ლარი გადაურიცხა“**	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური:** „ცეზარ ჩოჩელის კომპანიის მიერ სკოლის დაფინანსების საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის

		„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დიმიტრი ხუნდაძემ ცეზარ ჩოჩელის მიერ საარჩევნო პერიოდში გადარიცხული თანხების შესახებ დოკუმენტები გაასაჯაროვა. ცეზარ ჩოჩელი 37-ე ოლქში დამოუკიდებელ მაჟორიტარად 2016 წლის 15 აგვისტოს დარეგისტრირდა. ამ დროისათვის ცეზარ ჩოჩელი წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება „ქართული ლუდის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ანუ მმართველი ორგანოს უმაღლეს პირს. ამ კომპანიამ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს საჯარო სკოლას 2016 წლის 17 აგვისტოს ფინანსური მხარდაჭერის სახით გადაურიცხა 12 145 ლარი. „ეს გადარიცხვა მოხდა მას შემდეგ, რაც ცეზარ ჩოჩელი უკვე დარეგისტირირებული იყო მაჟორიტარობის კანდიდატად. მსურს, მივმართო უწყებათაშორის კომისიას, ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელს, შეისწავლონ ეს ფაქტი და გააკეთონ დასკვნა“, - აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ. http://reportiori.ge/inside.php?menuid=2&id=22291	სამსახურმა ინფორმაცია გამოითხოვა სს „ქართული ლუდის კომპანიიდან“. წარმოდგენილ ინფორმაციაში მითითებულია გადარიცხვის საფუძვლები (სკოლის დირექტორის მოთხოვნა) და ქველმოქმედების პრაქტიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომელიც 8 ფურცლად არის წარმოდგენილი და მოიცავს მრავალ საქმიანობას. აღნიშნული მონაცემების შესწავლის შედეგად არ დაფიქსირებულა წინასაარჩევნო პერიოდში ღონისძიებების მატება და 2016 წელს განხორციელებულ ქველმოქმედებაში დახარჯული თანხები წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შესწავლის პროცესში დარღვევა გამოვლენილი არ არის, მაგრამ შესწავლა ჯერ არ დასრულებულა და მიმდინარეობს წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის პროცესი“.

7.	„რუსთავი 2“ 19.09.2016	**ტელევიზია** **„პისტოლეტები ქამარში“ – „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ პროვოკაციის მოწყობაში ადანაშაულებს** ცეცხლსასროლი იარაღით მოწყობილი პროვოკაცია - **„ქართული ოცნება“** კვლავ **„ნაციონალურ მოძრაობას“** ადანაშაულებს. პარტიის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ოპოზიციური პარტიის აქტივისტებმა დღეს, გამთენიისას, ლევან გოგიჩაიშვილის საარჩევნო შტაბში პროვოკაცია მოაწყვეს. **„ნაციონალური მოძრაობის** სამი აქტივისტი ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ლევან გოგიჩაიშვილის ოფისში. ესენი იყვნენ სევდია უგრეხელიძის შტაბის წევრები, ერთ-ერთი უბნის კოორდინატორი იყო. ორ მათგანს **„ქართული ოცნების“** მაისურები ეცვა, ორივე მათგანს ქამარში პისტოლეტები ჰქონდათ ჩადებული. როგორც გაირკვა, პროვოკაციის მიზანი იყო ამ ფაქტის გარედან გადაღება, შემდეგ ტელევიზიის საშუალებით იმის ჩვენება, რომ თითქოს **„ქართული ოცნების“** შტაბებში შეიარაღებული და კრიმინალური მიდრეკილებების ადამინები იკრიბებიან“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ში. **მთავარი პროკურატურა, შსს :** „ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2016 წლის 18 სექტემბერს. დადგენილია, რომ 2016 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისში, ბალანჩივაძის ქ. №14-ში მდებარე „ქართული ოცნების“ ოფისში მივიდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ 2 აქტივისტი, რომლებსაც ეცვათ „ქართული ოცნების“ მაისურები და ითხოვეს ოფისში შესვლა. ამ პერიოდისათვის ოფისში იმყოფებოდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტები, ქვეშტაბის თავმჯდომარე და წევრები. ოფისში შესვლისას მისულებსა და იქ მყოფ პირებს შორის გაიმართა საუბარი, რა დროსაც „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა ეჭვი შეიტანეს მისული პირების პოლიტიკურ ორიენტაციაში, რის გამოც მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობების წარდგენა. ერთ-ერთს საფულედან ID ბარათთან ერთად ამოჰყვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრობის დამადასტურებელი მოწმობა. აღნიშნული დოკუმენტის დანახვისას „ქართული ოცნების“ წევრებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია, რაც არ გადაზრდილა ფიზიკურ დაპირისპირებაში. დაახლოებით, 2-3 წუთიანი კამათის შემდეგ, ორივე აქტივისტი გაიქცა ოფისიდან, გაქცევისას კი ერთ-ერთს საქამრიდან ამოუვარდა აირის პისტოლეტი, რომელიც დავარდა ოფისში იატაკზე. დგინდება, რომ აღნიშნულ პიროვნებას ინციდენტის დროს თან ჰქონდა შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული აირის პისტოლეტი, რომელიც არ წარმოადგენს ცეცხლსასროლ იარაღს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე 2016 წლის 27 სექტემბერს შეწყდა გამოძიება დანაშაულის არარსებობის გამო“.

		http://rustavi2.com/ka/news/56909	
8.	„იმედი“ 16.09.2016	**ტელევიზია** **„ქრონიკა“ 20.00 სთ-ზე** **„ქართული ოცნების“ და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ერთმანეთს სოფელ გამარჯვებაში დაუპირისპირდნენ“** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებით, მათთან „ქართული ოცნების“ ორი აქტივისტი მივიდა - ლაშა ხაჟვანი და გიორგი ჩილაშვილი. ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ ნიკოლოზ მჭედლიძეს და მის დას. ინციდენტის მონაწილეები პოლიციაში არიან გადაყვანილი და იკითხებიან. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თქმით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა თავიანთი პლაკატები ნუგზარ წიკლაურის პლაკატებზე გადააკრეს, რაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვიდეოფირზე აღბეჭდა და ცენტრალურ ოფისს მიაწოდა. სწორედ ეს გახდა ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი. ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ ფიზიკურ დაპირისპირებამდე მისი პარტიის წარმომადგენლებს ვიდეოს გადაღებისათვის ემუქრეოდნენ.	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ში. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „მიმდინარეობს გამოძიება ნიკოლოზ მჭედლიძის ცემის ფაქტზე, სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. დადგენილია, რომ 2016 წლის 16 სექტემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები „ქართული ოცნების“ აქტივისტი გიორგი წიკლაური, იყო რა განაწყენებული ამავე სოფელში მცხოვრებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქვეკოორდინატორ ნიკოლოზ მჭედლიძეზე, 2016 წლის 13 სექტემბერს მის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ნუგზარ წიკლაურის სარეკლამო პლაკატზე „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატ გოდერძი ჩანქსელიანის სარეკლამო პლაკატის გადაკვრის პროცესის გადაღებისა და შემდეგ სოციალურ ქსელში ატვირთვის გამო მეორე პიროვნებასთან ერთად მივიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის ეზოში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ნიკოლოზ მჭედლიძე, ხელის არაერთჯერადი დარტყმით სცემა მას და მიაყენა დაზიანებები ექსკორიაციების სახით. 2016 წლის 27 სექტემბერს გიორგი წიკლაურს წარედგინა ბრალი სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო“.

		კომენტარს აკეთებს „ქართული ოცნებაც“: „აღნიშნული დაპირისპირება „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის არ მომხდარა“. შსს განცხადებით, იყო ცემის ფაქტი და ძიება 125-ე მუხლით დაიწყო. განცხადება გაავრცელა „ქართულმა ოცნებამაც“. ის პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს თავშეკავებისაკენ მოუწოდებს.	
9.	„ინტერპრესნიუსი“ 16.09.2016	**სააგენტო „ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელი ბეჟან ჭურღულია სცემეს“** ბეჟან ჭურღულიას, ზუგდიდის გამგებლის წარმომადგენელს უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში, სცემეს. როგორც ახალსოფლის რწმუნებული ლადო ქვარცხავა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განმარტავს, ბეჟან ჭურღულიასთან შელაპარაკება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტ გიგა მაქაციარიას და მის მეგობარ ნიკა ჭურღულიას მოუვიდა. „ვისხედით ჩვენს სამუშაო ოთახში, რა დროსაც ბეჟან ჭურღულიას დაუძახეს და გარეთ გავიდა. შემდეგ შემოგვესმა ჩოჩქოლის ხმა და როდესაც გამოვედით, ვნახეთ, რომ ჭურღულიას ორივე სცემდა. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ნიკა ჭურღულიას	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ში. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „მიმდინარეობს გამოძიება ბეჟან ჭურღულიას ცემის ფაქტზე სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებით დადგენილია, რომ 2016 წლის 16 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში არსებულ გამგეობის ეზოში ნიკა ჭურღულიამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბეჟან ჭურღულიას დაარტყა ფეხი გულმკერდის არეში, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბეჟან ჭურღულიას სხეულზე გარეგნულად რამე სახის მექანიკური დაზიანებისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნები არ აღენიშნებოდა. 2016 წლის 24 სექტემბერს ნიკა ჭურღულიას წარედგინა ბრალდება სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით; აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო - 2000 ლარი“.

		ბეჟანთან ჰქონია პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ბეჟანმა ის „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერად მოიხსენია. შეხლა-შემოხლა ხალხის მისვლის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა, შევძელით მათი გაშველება“, - განაცხადა ქვარცხავამ. http://www.interpressnews.ge/ge/regioni/397302-zugdidis-gamgeblis-tsarmomadgeneli-bezhan-tcurghulia-scemes.html	
10.	tspress.ge 16.09.2016	**სააგენტო** **ფოთში „ქართული ოცნების“ კანდიდატის პლაკატები ჩამოხიეს** ფოთში, რუსთაველის რკალზე, „ქართული ოცნების“ კანდიდატ ირაკლი ხახუბიას თითქმის ყველა პლაკატი ჩამოხეულია და მის გვერდზე გაკრული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ბექა ბასილაიას პლაკატები კი ხელშეუხებელია. „მეორე დღესვე დაიწყეს ჩამოხევა. ყოველთვის ვტოვებთ პლაკატებს შორის ადგილებს, რომ სხვებსაც მიეცეთ გაკვრის საშუალება. რა თქმა უნდა, პროვოცირებულია ოპოზიციური პარტიების მიერ და, ალბათ, საპასუხო რეაგირებას ელოდებიან, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ მათივე მეთოდებით პასუხის გაცემას. კონკრეტულ პარტიას ვერ მივუთითებთ, რადგან არ გვქონია	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა შსს-სა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტში. **შსს:** „2016 წლის 16 სექტემბერს ქ. ფოთის საქალაქო სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება ქ. ფოთში, რუსთაველის რკალზე მდებარე ყოფილი სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაკრული „ქართული ოცნების“ კანდიდატის პლაკატების ჩამოხევის ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ მიერ დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, კერძოდ, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლის ფაქტზე. გამოკითხულ იქნა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ხახუბიას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ე. ჩ., ქ. ფოთის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ხახუბიას ახალგაზრდული საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი შ. ს., ქ. ფოთის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ზაალ კვინჩია, ქ. ფოთის მერიის კულტურის ძეგლთა დაცვის და სკოლამდელი განათლების კულტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გ. ნ. .

		მონიტორინგი, მაგრამ დღეიდან ჩვენი სპეციალური ჯგუფები დაიწყებენ მონიტორინგს, ადგილზე გამოვავლენთ კანონდამრღვევებს და ძალიან მკაცრად მოეთხოვებათ პასუხი კანონის ფარგლებში“, - აცხადებს ხახუბიას საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი კატო ჩუთლაშვილი „TSpress“-თან საუბრისას. http://www.tspress.ge/ka/site/import/15460/	გამოკითხვებით დადინდა, რომ 2016 წლის 16 სექტემბერს მათთვის უცნობი პირების მიერ ჩამოხეულ იქნა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ირაკლი ხახუბიას პლაკატები. ქ. ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიმდინარეობს სამართალდამრღვევი პირის ან პირების გამოვლენა. დადებით შემთხვევაში, მასალები გადაეგზავნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შემდგომი რეაგირებ ისათვის“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი:** „მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალზე, ადგილი ჰქონდა „ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის პლაკატების ჩამოხევის ფაქტებს, რაც წარმოადგენს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-7' პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. გამომდინარე იქიდან, რომ სამართალდარღვევის ფაქტს ადგილი ჰქონდა ღამის საათებში, არ არის დადგენილი მისი ჩამდენი პირი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს კანონით გათვალისწინებული სანქციების დაკისრებას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის თანამშრომლებმა დააფიქსირეს ზემოხსენებული დარღვევები და განახორციელეს სამართალდამრღვევების გამოსავლენად ღამის საათებში ინსპექტირება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ინსპექტირებისას ვერ მოხერხდა სამართალდამრღვევთა გამოვლენა და იდენტიფიცირება. აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეების განმავლობაში მსგავსი სახის დარღვევები არ დაფიქსირებულა. დარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამსახური განაგრძობს ინსპექტირებას დღისა და ღამის საათებში არჩევნების დასრულებამდე, რათა გამოვლენილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირები“.

11.	GDS 27.09.2016	**ტელევიზია** **„აჭარაში პაატა ბურჭულაძის პარტიის ოფისი დააზიანეს“** ოფისს გვიან ღამით უცნობმა პირებმა ქვები დაუშინეს. დაზიანებულია საარჩევნო ბანერი, ჩამსხვრეულია ოფისის შესასვლელი კარის მინა. ფაქტის შესახებ ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ამირან ბერიძემ განაცხადა. მის თქმით, ეს ფაქტი შეგნებულად ოპონენტმა პოლიტიკურმა პარტიებმა ჩაიდინეს, რადგან ისინი ძლიერი კონკურენტები არიან. ამირან ბერიძეს კონკრეტულად არცერთი პარტია არ დაუსახელებია. ფაქტი შტაბის წევრებმა დილით აღმოაჩინეს და პოლიციას მიმართეს. ამ დრომდე ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. http://2030.news/index.php?newsid=14929	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ში. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 27 სექტემბერს დაიწყო გამოძიება ქ. ბათუმში, მახინჯაურის დასახლებაში, პოლიტიკური გაერთიანების – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – საარჩევნო შტაბის მინის ჩამტვრევის და პაატა ბურჭულაძის წინასაარჩევნო ბანერის დაზიანების ფაქტზე სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. ბათუმში, მახინჯაურის დასახლებაში, თამარის გზატკეცილი №16-ში, პოლიტიკურ გაერთიანებას – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – საარჩევნო შტაბისთვის დაქირავებული აქვს რესტორან „მახინჯაურის“ შენობა. 2016 წლის 27 სექტემბერს დილით დარაჯმა აღმოაჩინა შესასვლელი კარის ერთი ფანჯარა ქვით ჩამტვრეული და პაატა ბურჭულაძის ბანერზე ნახვრეტი. შემთხვევის ადგილას აღმოჩენილ იქნა პატარა ზომის ქვები. ტარდება საგამოძიებო მოქმედებები, ქონების დამზიანებელი პირი ამ ეტაპზე დაუდგენელია. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაზიანებული ბანერის საბაზრო ღირებულება აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით შეადგენს 225 ლარს, ხოლო რესტორნის კარის დაზიანებული მინის ღირებულება აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინებით შეადგენს 3.96 ლარს. გრძელდება გამოძიება“.
12.	„რუსთავი 2“ 23.09.2016	**ტელევიზია** **„კურიერი“ 21.00 სთ**	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა თავდაცვის სამინისტროში, ცესკო-ში.

		„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი ვარაუდობს, რომ სამხედროების დისლოკაციის ადგილი ერთ-ერთი სპეცუბანი იქნება, სადაც ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას შეეცდება - საუბარია სოფელ პალდოს სამხედრო ბაზაზე. ინაშვილი პარალელს საგარეჯოს არჩევნებთან ავლებს. **ირმა ინაშვილი:** „ბაზაზე შეიყვანეს 130-ზე მეტი კონტრაქტორი, ასე იწყებოდა მუხროვანი. ამავე ბაზაზე არის 30 კონტრაქტორი, რომლებიც 7 ოქტომბერს ამთავრებენს ვადას, მაგრამ მათ არ ათავისუფლებენ“. დავით ჯანდიერი („პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“) ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ იმ ხერხებს იყენებს, რასაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა. ზურაბ ჭიაბერაშვილი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) განმარტავს, რომ გაყალბების სურვილი ხელისუფლებას აქვს, თუმცა, ჯარისკაცების განწყობა ამის საშუალებას არ მისცემს. უმრავლესობაში ამბობენ, რომ საარჩევნო სპეცუბნებზე პრობლემური საკითხი უკვე გადაჭრა შეცვლილმა საარჩევნო კანონმდებლობამ. „ქართულ ოცნებაში“ არჩევნების გაყალბებას გამორიცხავენ.	**თავდაცვის სამინისტრო:** „სოფელ პალდოს სამხედრო ბაზაზე ე.წ. სპეცუბანი არ იხსენება. ამ ეტაპისათვის ეროვნული გვარდიის საველე ბანაკ „პალდოში“ 2016 წლის 19 სექტემბრიდან 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პრაქტიკულ მეცადინეობებს გადის სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ იუნკერთა ბატალიონის I კურსის 124 (ას ოცდაოთხი) იუნკერი, რომლებიც სწავლების დასრულების შემდეგ (2016 წლის 30 სექტემბერს) დაბრუნდებიან დისლოკაციის ადგილზე, კერძოდ, ქ. გორში. ეროვნული გვარდიის საველე ბანაკ „პალდოში“ იმყოფება, ასევე, 23 ვადიანი სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც სამხედრო სამსახურის ვადა ეწურებათ მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს და სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილს დატოვებენ 2016 წლის 8 ოქტომბერს, დილით. აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები არ არიან გათვალისწინებულნი/მიმაგრებულნი ახლომდებარე საარჩევნო უბნებზე, ვინაიდან, ფაქტობრივად, ისინი ნაწილს დატოვებენ არჩევნების დაწყებამდე. ეროვნული გვარდიის საველე ბანაკ „პალდოში“ იმყოფება, აგრეთვე, მუდმივ შტატზე დანიშნული მოსამსახურეთა შემადგენლობა - 2 ოფიცერი (7 სერჟანტ-კაპრალთა შემადგენლობიდან) და 1 სამოქალაქო პირი, რომლებიც არჩევნების დღეს ხმას მისცემენ მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. შესაბამისად, სპეციალურ სიებში არც ეს კატეგორია არ არის შეყვანილი“. **ცესკო:** „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“, 12 ივლისს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის დანაყოფებში/ნაწილებში, გამონაკლისი უბნები, ე.წ. სპეცუბნები, აღარ შეიქმნება, გარდა კოდექსით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. ამასთან, ამავე კანონით განსაზღვრულ შესაბამისი კომისიის მომართვის ვადებში, რომლებიც გასულია, შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის სამხედრო პირების სპეცსიებში შეყვანის თაობაზე არ შემოსულა“.

13.	transparency.ge 22.09.2016	**მუნიციპალური SMS-ები მმართველი პარტიის სამსახურში** ბოლო პერიოდში საქართველოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოები მოქალაქეებს მოკლე ტექსტური შეტყობინებისა (sms) და ელექტრონული ფოსტის სერვისით აქტიურად უგზავნიან ინფორმაციას მათ ტერიტორიაზე დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. არჩევნებამდე 2-3 კვირით ადრე მოქალაქეებს მსგავსი შეტყობინებები მიუვიდათ ბათუმის, ქობულეთის, ქუთაისის, ხაშურის, წყალტუბოს, მარტვილის, ზუგდიდის, თელავის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ქედის, ფოთის, სენაკის და ახალციხის მცხოვრებთ. ამასთან, ქალაქ ზუგდიდის მერიამ გამოსცა სპეციალური გაზეთი „მერია News“, რომლის მიზანია, ამომრჩევლებს თვითმმართველობის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სამუშაოების (განახლებული მინისტადიონების მშენებლობაზე, ნიჭიერ სტუდენტთა დაფინანსებაზე, კომუნალური მოსაკრებლების განაწილებასა და სხვა მომსახურების დანერგვაზე) დეტალური ინფორმაცია მიაწოდოს. გაზეთის გამოსაცემად ქალაქ	ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, პრესონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, ცესკო-ში, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტში. **კომუნიკაციების ეროვნული კომისია**: „მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების მიერ მოსახლეობისთვის სხვადასხვა პროექტის წარმატებით დასრულების შესახებ ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახითა და ელექტრონული ფოსტის სერვისის მეშვეობით გაგზავნის ფაქტი, რომელიც, განმცხადებლის შეფასებით, წარმოადგენს წინასაარჩევნოდ პარტიის ირიბ რეკლამას, ან შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველზე პირდაპირი გავლენის მცდელობა, შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას-შესწავლა და მასზე რეაგირება სცილდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომპეტენციას“. **ცესკო:** „თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოქალაქეებისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ელფოსტის დაგზავნა, რომელშიც საუბარია დასრულებულ ინსფრასტრუქტურულ პროექტებზე, და მსგავსი ქმედებები არ წარმოადგენს არც აგიტაციას და არც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, რის გამოც ცესკო-ს თავმჯდომარე/ცესკო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოკლებულია შესაძლებლობას, მოახდინოს საკითხის შესწავალა და მასზე რეაგირება“. **მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტი**: 1. განცხადებაში ასახული გარემოებები მცდარი სახითაა წარმოდგენილი. მუნიციპალიტეტის ორგანოები კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებული არიან მოსახლეობის წინაშე. მოკლე ტექსტური შეტყობინებების მიზანია მუნიციპალიტეტში საზოგადოების

		ზუგდიდის მერიამ წელს ტენდერი გამოაცხადა (27.06.2016), გაფორმდა ხელშეკრულება გამომცემლობა „კოლორთან", რომლის ღირებულება იყო 8 886 ლარი. მისასალმებელია, რომ მუნიციპალიტეტებმა მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის საშუალება აირჩიეს, თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი გააქტიურება რამდენიმე მიმართულებით კითხვებს აჩენს. განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მაშინ, როდესაც არჩევნებამდე სულ ცოტა დრო არის დარჩენილი, შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველზე პირდაპირი გავლენის მცდელობა; მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში არ არის მოწოდება მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ცხადია, რომ მოქმედი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროექტებზე საუბარი ირიბად მაინც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს შეიცავს, მითუმეტეს, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მსგავსი სერვისის გამოყენება მხოლოდ ახლა - წინასაარჩევნო პერიოდის დასასრულს დაიწყეს.	ინფორმირებულობის გაზრდა, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში აქტიური ჩართვა. ამ და სხვა ინოვაციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება მუნიციპალიტეტებში მომავალშიც გაგრძელდება და დაინერგება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და წახალისების ერთ-ერთი ფორმა. კონსოლიდირებული ტენდერი შესაბამისი მომსახურების შესასყიდად გამოცხადდა 2016 წლის დასაწყისში და არავითარი კავშირი არ აქვს მიმდინარე არჩევნებთან. ადმინისტრაციული რესურსების პარტიული მიზნით გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა. **2.** გარემოებები მცდარი ფორმითაა წარმოდგენილი. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და, შესაბამისად, მერიაც, 2014 წლის 14 ივლისიდან არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მერიამ წარმატებით განახორციელა არაერთი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, ჯანდაცვის, სოციალური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის პროექტი, რომელთა თაობაზეც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებისა და მერის მრჩეველთა ახალგაზრდული საბჭოს წევრების მიერ ჩატარებული საზოგადოების პერიოდული გამოკითხვებით (ანკეტის ფორმით, პირისპირ გამოკითხვის მეთოდით) შესაძლებელი გახდა ინტერნეტის მომხმარებელი მოსახლეობის ნაწილობრივი ინფორმირება. თუმცა, მოქალაქეების სატელეფონო გამოკითხვის შედეგად (გამოიკითხა 380 მოქალაქე შემთხვევითი შერჩევის გზით) ნათელი გახდა, რომ მედიააქტივობის ეს ფორმა არასაკმარისი აღმოჩნდა და ვერ მოიცვა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. მერის მრჩეველთა საბჭოს წევრების პერიოდული რეკომენდაციები მერთან შეხვედრის ფორმატში საზოგადოებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობების აქტიურად, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებითა და საზოგადოებასთან უშუალო შეხვედრებით მოსახლეობის ინფორმირებას ეხებოდა.

		კითხვის ნიშნებს იწვევს თავად ამ შეტყობინების მიმღებთა პერსონალური ინფორმაციის ხელშეუხებლობაც: მუნიციპალიტეტებს არ განუმარტავთ, რა წყაროებით მოიპოვეს კონკრეტულ მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული პირების პირადი სატელეფონო ნომრები. http://www.transparency.ge/blog/municipaluri-smsebi-mmartveli-partiis-samsakhurshi	ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქალაქ ზუგდიდის მერი და მერიის სამსახურები ყოველთვიურ პერიოდულ შეხვედრებს მართავდნენ და მართავენ მოსახლეობასთან (როგორც მერიის შენობაში, ისე მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში). აღნიშნულ შეხვედრებზე მოსახლეობა გამოხატავდა და გამოხატავს სურვილს - ყველა ოჯახს, ყველა მოქალაქეს ჰქონოდა/ჰქონდეს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ, ხოლო ინფორმაციის მიწოდების ფორმად ისინი ტელევიზიას, გაზეთს, საინფორმაციო ბროშურებს და ბუკლეტებს, რადიოგადაცემებს ასახელებდნენ/ასახელებენ. სწორედ ამაზე დაყრდნობით გადაწყდა მერიის მიერ მოცემული საინფორმაციო საშუალებების გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის საქმიანობის ამსახველი ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების ინფორმირების კუთხით ქალაქ ზუგდიდში არასახარბიელო მდგომარეობაა, რადგან ქალაქ ზუგდიდში პერიოდულად არ გამოიცემა ადგილობრივი გაზეთი, ხოლო ინტერნეტგამოცემები, რადიოები, ადგილობრივი ტელევიზია და ცენტრალური ტელევიზიები, ხელმძღვანელობენ რა დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით, საკუთარი შეხედულებისამებრ, შერჩევით და რიგ შემთხვევებში ფრაგმენტულად აშუქებენ თვითმმართველობის ამა თუ იმ აქტივობას. საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებას, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში აქტიურ ჩართულობას მოსახლეობა სწორედ ამ გზით შეძლებს. მათ ექნებათ ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია, რისი უფლებაც კანონითაა გარანტირებული. საბიუჯეტო სახსრების პარტიული ან საარჩევნო ინტერესებისათვის გამოყენების ფაქტი არ დადასტურდა“.
14.	„ლაივპრესი“ 02.10.2016	**შსს-მ დიდინეძში მომხდარზე გამოძიება დაიწყო** 22:01 / 01.10.2016 „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეძში „ქართული	ინფორმაცია გადაიგზავნა მთავარ პროკურატურასა და შსს-ში. **მთავარი პროკურატურა, შსს:** „2016 წლის 01 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინეძში მომხდარი ცემის ფაქტზე. დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის I ნაწილით.

		ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო“, – ამის შესახებ „ლაივპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს. „დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125 -ე მუხლით, რაც ცემას ითვალისწინებს“, – განაცხადეს სამინისტროში. როგორც „ლაივპრესთან“ პარტიის წარმომადგენელმა თამარ ჯიქიამ აღნიშნა, ინციდენტის პროვოცირება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა მოახდინეს, მაშინ, როცა ახალგაზრდები „კარდაკარის“ ფარგლებში საინფორმაციო ბუკლეტებს არიგებდნენ. ინციდენტის შედეგად დაზარალებული ლიკა დემეტრაძე და თემურ მიქავა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში იმყოფებიან. http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/16414-shssmdidinedzshimomkhdarzegamodziebadaitsyo.html	მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო „112“-დან შემოსული მერი შენგელაიას შეტყობინება იმის შესახებ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა სცემეს და სხეულის დაზიანება მიაყენეს ლ.დ., თ.მ. და ი.ძ. ჩატარებულ იქნა შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები: დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, მოწმის სახით გამოკითხულ იქნა 26 პირი; დაზარალებულად ცნობილ იქნა 5 პირი - გ.პ., ლ.ქ., მიაყენეს ლ.დ., თ.მ. და ი.ძ. დაიკითხნენ დაზარალებულის სახით; ამოღებულ იქნა მათი ტანსაცმელი, რაც დათვალიერდა. ასევე, ამოღებულ იქნა ოპელის მარკის ავტომანქანა და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა. ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე დანიშნულია საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა. ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის დადგენის მიზნით დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები; აღებულ იქნა სისხლის ექსპერიმენტალური ნიმუშები მ.ქ. და პ.კ.-გან მანუჩარ ქირიასაგან და პაპუნა კუკავასაგან, დანიშნულია ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზები; ჩატარდა პირის ამოცნობები,; დათვალიერდა ვებგვერდ „YOTUBE“-ზე განთავსებული ინფორმაცია; მიღებულ იქნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე ზუგდიდის რაიონული პროკურატურის მიერ 2016 წლის 04 ოქტომბერს გამოტანილ იქნა დადგენილება კახა ქირიას და პაპუნა კუკავას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ სსკ 162' მუხლის პირველი ნაწილით, რაც 2016 წლის 04 ოქტომბერს წარედგინათ ბრალდებულებს – კახა ქირიას და პაპუნა კუკავას“. ორივე მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 5000 ლარი“.

15.	***<u>რუსთავი-2; კურიერი. 21.00სთ.</u>*** 04.10.2016	გივი თარგამაძის ავტომობილი აფეთქდა. მანქანაში ამ დროს გივი თარგამაძე იმყოფებოდა. შემთხვევა კოლმეურნეობის მოედანზე მოხდა. სავარაუდოდ, ასაფეთქებელი ნივთიერება მანქანის უკანა ნაწილში იყო დამონტაჟებული. აფეთქების შედეგად გივი თარგამაძემ, სავარაუდოდ, კონტუზია მიიღო. ამის შესახებ განცხადება ნუგზარ წიკლაურმა რუსთავი2-თან საუბრისას გააკეთა. მისივე ინფორმაციით, დაშავებულია თარგამაძის მძღოლი და ორი გამვლელი, რომელთა მდგომარეობა უმძიმესია. შემთხვევის ადგილზე საპატრულო და კრიმინალური პოლიციაა მობილიზებული. რუსთავი-2. კურიერი 21.00 სთ.	ინფორმაცია რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ გადაეგზავნა შსს-სა და მთავარ პროკურატურას. მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო მოქმედებები. **მთავარ პროკურატურა:** „2016 წლის 4 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება გივი თარგამაძისა და სხვათა მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ მე-19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით. გამოძიებით დადგინდა შემდეგი: 2016 წლის 04 ოქტომბერს ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობისას გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი საშუალების ამოქმედების შედეგად აფეთქდა ავტომანქანა, რომლითაც მგზავრობდა გიორგი თარგამაძე და მისი მძღოლი დავით ვარდოსანიძე; აფეთქების შედეგად გიორგი თარგამაძემ, მისმა მძღოლმა დავით ვარდოსანიძემ და მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფმა სხვა პირებმა მიიღეს ჯანმრთელობის დაზიანებები. ასევე, დადგენილია რომ შემთხვევის შემდეგ დავით ვარდოსანიძეს სამედიცინო დახმარება გაეწია საავადმყოფო „ნიუ ჰოსპიტალში“. საქმეზე ტარდება ინტენსიური გამოძიება: იკითხება მოწმეები, დანიშნულია ექსპერტიზები“.